პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№157 (12 836) 7 ივლისი სამშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰექტორის ვექტორი ახლებისკენ

## რამ გაახარა კუპერი?



>> გვერდი 2

სანაკრებო თემაზე

### დღეს ნომერში...

ფეხბურთი



**კარლსრუე თარგამაძეზე ისევ ფიქრობს**

>> გვერდი 5

ფეხბურთი



**რატომ უნდა შევიცვალო მოქალაქეობა?**

>> გვერდი 5

ჭიდაობა



**მუტრუკებმა FILA-ც შეაწუხეს**

>> გვერდი 11

# CR9 ბერნაბეუზე დაეშვა...

## კრისტიანო რონალდოს 80 ათასი ფანი შეეგება



მადრიდი კიდევ ერთმა ვარსკვლავმა გაანათა - „სანტიაგო ბერნაბეუზე" **კრისტიანო რონალდოს** პრეზენტაცია მოეწყო, უფრო მასშტაბური და ემოციური, ვიდრე ერთი კვირის წინათ, როცა ლეგენდარულ არენაზე შეკრებილი 50 ათასამდე ინჩასი **კაკას** უკრავდა ტაშს...

გუშინ კი „ბერნაბეუ" სავსე იყო - რონალდოს წარდგენამ 80 ათას კაცს მოუყარა თავი. პორტუგალიელმა ამითიც „აჯობა" კაკას - მასში ხომ 131 მილიონი დოლარი გადაიხადეს. „რეალმა" კრისტიანოს 9-ნომრიანი მაისურა მისცა. ის ამ ზაფხულის გმირია და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს დარჩება მოუხსნელი მსოფლიოს სატრანსფერო რეკორდი. კიდევ ერთხელ გავიმეოროთ - 131 მილიონი დოლარი!

**ფლორენტინო პერესი** ახალ „გალაქტიკოს" აშენებს და ამ საქმეში უკვე 300 მილიონი დოლარი „გაისროლა" - **კაკა, კრისტიანო რონალდო, ქარიმ ბენზემა, რაულ ალბიოლი**... და იცით, ალბათ, ამბობენ - მალე **ფრანკ რიბერისაც** „ბერნაბეუზე" უკრავენ თავსო...

ვნახოთ. მანამდე კი 24 წლის რონალდოს პატარა სიტყვა პრეზენტაციაზე - არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ მაინც: *„მადრიდში ყოფნით ბედნიერი ვარ. „რეალში" გადასვლამ ბავშვობის დროინდელი ოცნება ამიხდინა. დაუჯერებელია, რომ სტადიონი გაივსო და ამდენი ხალხი მხოლოდ ჩემს სანახავად მოვიდა".*








ქართული ფეხბურთი

დინამო

# დღეს კარლ ცაისია

ორი დღეც და თბილისის „დინამოს“ გერმანული შეკრება დასრულდება. ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ახალი სეზონისათვის ნაყოფიერად ემზადება და ვიმედოვნებთ, რომ ეს შეკრება „დინამოს“ ერთობ წაადგება ევროპის ლიგის მატჩებისთვის. შეგახსენებთ, რომ **კახა კაჭარავას** გუნდის მეტოქე ლატვიური „მეტალურგსია“. ოფიციალურ მატჩებამდე კი, როგორც უკვე გითხარით, „დინამო“ გერმანიაში აგრძელებს მზადებას და უკვე სამი საკონტროლო შეხვედრაც ჩაატარა. პირველი და მეორე მატჩი „დინამომ“ მოიგო, მესამეში კი ფრედ ითამაშა - გერმანიის რეგიონალლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ „ჰესენთან“ (კასელი). აღსანიშნავია, რომ ამ გუნდს გასულ სეზონში მესამე ბუნდესლიგაში გადასასვლელად სულ ცოტა დააკლდა და თავის ზონაში მეორე ადგილზე გავიდა. ეს მატჩი ქალაქ კასელში ჩატარდა - საკმაოდ შორს იმ ადგილიდან, სადაც „დინამოა“ დაბინავებული. სხვათა შორის, მატჩის დღეს დინამოელებმა ივარჯიშეს და მერე გაემგზავრნენ საკონტროლო მატჩის ჩასატარებლად. ამ ფაქტორზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ მატჩის დროს ჩვენი ფეხბურთელების მოქმედებებში, მგზავრობით გამოწვეული დაღლილობის კვალი აშკარად იგრძნობა; შეხვედრის საწყისი წუთები მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და ჩვენს კართან სამჯერ შეიქმნა სახიფათო მომენტი. ანგარიში კი 26-ე წუთზე გაიხსნა - **ბეხლერი** „დინამოს“ მეკარე **გიორგი ლორიასთან** პირისპირ დარჩა და ეს შანსი გამოიყენა. ერთი წუთიც არ იყო გასული, „დინამომ“ ანგარიში რომ გაათანაბრა - **დონალდ ჯუისის** ნამოწყებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით **მათე ვაწაძემ** დაასრულა. პირველი ტაიმის დარჩენილი დრო ქართველი ფეხბურთელების უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ჯერ ვაწაძემ, მერე კი **ლევან ხმალაძემ** თავიანთი შანსები ვერ გამოიყენეს.

მეორე ტაიმიც „დინამოს“ შეტევებით დაიწყო, მაგრამ ერთ ეპიზოდში მასპინძლებმა სწრაფი კონტრიერიში განახორციელეს და **ბუშმა** ახლო მანძილიდან „ჰესენი“ წინ გაიყვანა. ეს ყველაფერი 52-ე წუთზე მოხდა, მას შემდეგ კი „დინამოს“ არაერთი ჩინებული მომენტი ჰქონდა, მაგრამ ანგარიშის გათანაბრებას ვერ ახერხებდა. ხმალაძესაც შეეძლო გოლის გატანა, **ალექსანდრე კოშკაძემ** ძელს გაარტყა ბურთი, **შოთა კაშიას** თავური დარტყმაც უაღრესად სახიფათო იყო. სხვათა შორის, ერთ ეპიზოდში „დინამოს“ ახალწვეულს, მეკარე **გიორგი სომხიშვილსაც** მოუხდა თამაშში ჩართვა, როცა მეტოქის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მოიგერია. კახა კაჭარავამ მეორე ტაიმში თამაშში ახალგაზრდები ჩართო და მათმა აქტიურობამ, ბოლოს და ბოლოს, შედეგი გამოიღო: მატჩის უკანასკნელ წუთზე **შოთა კაშიას** პასის მერე **ირაკლი სიხარულიძემ** ზუსტი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა - 2:2.

თავისი მესამე საკონტროლო მატჩი „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: **ლორია, ვუჩემილოვიჩი, ნერგაძე, გ. კაშია, თომაშვილი, ხმალაძე, დილმელაშვილი, კოშკაძე, მერებაშვილი, ჯუისი, ვაწაძე**. მეორე ტაიმში შეცვლაზე შემოვიდნენ: **სომხიშვილი, კაკუბავა, შ. კაშია, ლომია, ჯიშკარიანი, ჩადუნელი, სიხარულიძე, მამუჩიშვილი, ნემსაძე.**

სხვათა შორის, „ჰესენისა“ და „დინამოს“ მატჩს **ნედ ზელიჩი** დაესწრო; შეგახსენებთ, რომ ცნობილმა ავსტრალიელმა ფეხბურთელმა თავისი მდიდარი საფეხბურთო კარიერა სწორედ „დინამოში“ დაასრულა. ნედ ზელიჩი: „საქართველოში და „დინამოში“ გატარებული პერიოდი ყოველთვის კარგად გამახსენდება. კასელში სპეციალურად ჩამოვედი და ჩემი მეგობრები მოვინახულე. მინდა ყველა მოვიკითხო და „დინამოს“ წარმატება ვუსურვო“.


მათე ვაწაძე

„დინამოს“ ბანაკიდან სხვა სიახლეებიც არის: ხორვატი **მარინ ვუჩემილოვიჩი**, ვინც ორ ტესტმატჩში მიიღო მონაწილეობა, ჩვენს გუნდს დაემშვიდობა. აი, რაც შეეხება **მარკო ჩარასს**, არგენტინელი მცველი ტრავმირებულია და სამედიცინო კონსულტაციებისათვის შტუტგარტში გაემგზავრა.

გერმანულ შეკრებაზე მყოფი „დინამო“ ბოლო შეხვედრას დღეს ჩაატარებს; მეტოქედ კი ძველი და „ტკბილი“ ნაცნობი, იენის „კარლ ცაისი“ ეყოლება.

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ნაკრები

# ახალი ხალხი კუპერის ფიქრებში

საქართველოს ნაკრების თავკაცი **ექტორ კუპერი** ახლა სამშობლოშია, მაგრამ ასისტენტების მეშვეობით, ჩვენი ფეხბურთის პულსს ასე თუ ისე გრძნობს. ის თურმე გახარებულია, რომ „ზესტაფონმა“ და „ოლიმპმა“ ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებით იასპარეზეს. არგენტინელ მწვრთნელს ქართველ ასისტენტებთან ბაასის დროს აღუნიშნავს - „ზესტაფონისგან“ სტუმრად ასეთი დიდი ანგარიშით მოგებას არ ველოდიო. უფრო მეტიც, კუპერი ამ გუნდების ფეხბურთელებითაც დაინტერესდა. ეს მოთამაშეები კი ნაკრებისთვის ახლები არიან.

*„დიახ, კუპერს ველაპარაკე და მართლა ძალიან გახარებულია ევროპის ლიგაში ჩვენი გუნდების წარმატებული სტარტით, - ამბობს კუპერის ასისტენტი ნიკა სახვაძე, - „ოლიმპიდან“ მისი ინტერესის სფეროში კვლავ არის ნახევარმცველი გიორგი სეთურიძე. აღსანიშნავია ისიც, რომ ნაკრების თავკაცი მარჯვენა მცველ თემურ ფოფხაძით დაინტერესდა, მას კიდევ დააკვირდება და ალბათ, უახლოეს „სამშაბათობაზე“ მიიწვევს კიდეც. სხვათა შორის, ლონლაძე კუპერს ჯერ კიდევ თასის ფინალურ მატჩში მოეწონა, კუპერი დაინტერესებულია „ზესტაფონიდან“ ნიკა გელაშვილით, შოთა გრიგალაშვილითა და თორნიკე აფციაურით... კუპერმა ერთიც აღნიშნა - ევროპის ლიგაზე ქართული კლუბების წარმატებული ასპარეზობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველოს ჩემპიონატი ისეთი დონის არაა, რომ ეროვნული ნაკრებში ფეხბურთელების მიწვევა არ შეიძლებოდესო. ნაკრების თავკაცს სისტემატურად ვაწვდით ინფორმაციას ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალების შესახებ. სწორედ ასე მოხვდა ეროვნულ გუნდში ლადო დვალიშვილის გამოძახებაც. მას გოლები გაჰქონდა და კუპერიც უმალ დაინტერესდა მისით. კუპერმა უკვე იცის, რომ ოთარ მარცვალაძესა და სანდრო იაშვილსაც გააქვთ გოლები და კარგ ფორმაში არიან“.*

საინტერესოა, ლეგიონერებიდან ვინ დაემატა კუპერის ობიექტივს. ისევ სახვაძე გვიამბობს: *„ვიდრე კუპერი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტს გააფორმებდა, მანამდე ნაკრებს გაეცნო. მას 13 მატჩის ჩანაწერი მისცეს. მათი ნახვის შემდეგ არგენტინელი რამდენიმე ფეხბურთელით დაინტერესდა და მათ შორის იყო ლევან ცქიტიშვილიც. მწვრთნელმა აღნიშნა - ცენტრში ბურთი მშვენივრად უჭირავს და შეტევების ორგანიზებაც კარგად იცისო. კუპერი მიიწვევდა ლევანს ნაკრებში ჯერ კიდევ მაშინ, როცა თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშობდა, მაგრამ მაშინ სათანადო ფორმაში არ იყო. კუპერი ახლაც დაინტერესებულია ცქიტიშვილით, მაგრამ... ეს ფეხბურთელი უთამაშებელია და ამის გამო მწვრთნელი ძლიერ სწუხს კიდეც. ნაკრების თავკაცი ძლიერ განიცდის სირაძის უგუნდოდ ყოფნასაც და იმედი აქვს, რომ დათო მალე კლუბში იქნება. ის 13 მატჩი რომ ნახა, კუპერს კანკავაც მოეწონა. ჯაბას ტრავმა ჰქონდა და არგენტინელმა ამ ფეხბურთელის საქმეში ნახვა აქამდე ვერ მოახერხა. მან იცის, რომ კანკავა უკვე მწყობრშია. კუპერი მას დააკვირდება და შესაძლოა, მომდევნო მატჩისთვის მიიწვიოს კიდეც ეროვნულ გუნდში. ნაკრების თავკაცმა ლევან გვაზავაზე, ლაშა ჯაკობიაზე, დანიაში მოასპარეზე მიხეილ ბარაბაძეზე ინფორმაციების შეგროვება და თამაშის ჩანაწერის მოძიება დაგვავალა და ახლა ამ საკითხზე ვმუშაობთ“.*

კუპერი თბილისში 20 ივლისისთვის დაბრუნდება, 12 აგვისტოს კი საქართველოს ნაკრებს მალტასთან გასვლითი ამხანაგური მატჩი ელოდება.


ექტორ კუპერი
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**დავით ცაბაძე**

ევროპის ლიგა

ზესტაფონი-ლისბერნი

# ლობჟანიძისთვის უკვე მწვანეა

## ჩრდილოირლანდიელები თბილისში იცხოვრებენ და ივარჯიშებენ

ევროპის ლიგაზე მოასპარეზე „ზესტაფონმა“ „ლისბერნთან“ საპასუხო შეხვედრისთვის მზადება გუშინწინ განაახლა. **გია გეგუჩაძის** გუნდი მშობლიურ ქალაქში ვარჯიშობს. კლუბის პრესსამსახურის ხელმძღვანელ **სერგო ფუტკარაძის** თქმით, ტრავმის შემდეგ მომჯობინებულები, მცველი **გიორგი კაჭკაჭიშვილი** და ფორვარდი **რატი წინამძღვრიშვილი** ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობენ. რამდენიმე დღეში კი გუნდთან ერთად, სრულად შეეძლებათ დაიტვირთონ.

მოგეხსენებათ, ევროპის ლიგაზე „ლისბერნთან“ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი დისკვალიფიკაციის გამო მცველმა **უჩა ლობჟანიძემ** გამოტოვა. ამ ფეხბურთელმა უკვე მოიხადა დისკვალიფიკაცია და 9 ივლისს, ჩრდილოირლანდიელთა წინააღმდეგ ლობჟანიძეს უკვე შეეძლება თამაში.

ახლა მეტოქეზე ვთქვათ, **სერგო ფუტკარაძის** თქმით, „ლისბერნი“ ჩარტერული ავიარეისით მატჩის წინა დღეს, 8 ივლისს თბილისში ჩამოფრინდება. ჩრდილოელები დედაქალაქში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ დაბინავდებიან. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, „ლისბერნი“ თამაშის წინა დღეს არა ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე, არამედ თბილისში, ერთ-ერთ სტადიონზე (ჯერ გადაწყვეტილი არაა) ივარჯიშებს. **ჯიმი ბრაუნის** გუნდი თამაშის დღეს, 9 ივლისს გაემგზავრება ზესტაფონში და ჩვენს გუნდს იქ ეთამაშება. იმერეთში, „ზესტაფონი“-“ლისბერნის“ მატჩი 17 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

მგლები/ბაია

# განელს ელიან, ლუნგუ მოსწონთ

**ბესიკ შეროზიას** გუნდი ურეკში მოსამზადებელ შეკრებას აგრძელებს. შეგახსენებთ, რომ ზუგდიდელები 1 ივლისიდან ზღვისპირეთში ემზადებიან. გუნდთან ერთად ვარჯიშობს 18 წლის ზამბიელი ნახევარმცველი **ჩისამბა ლუნგუ**. 3 ივლისს „გაგრასთან“ გამართული ამხანაგური მატჩის (0:2) შემდეგ, ბესიკ შეროზია დღეში ორჯერ ავარჯიშებს ფეხბურთელებს. მისივე თქმით, ამ ეტაპზე აქცენტი ფიზიკურ კონდიციებსა და გამძლეობაზეა. ბოლოს ვწერდით, რომ ზუგდიდელთა გუნდში კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელის, თავდამსხმელის გამოჩენა იყო მოსალოდნელი. ეს ამბავი ზუგდიდელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ შეროზიამაც დაგვიდასტურა:

*„დიახ, მალე კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი დაგვემატება. მასზე კონკრეტულად მეტს ვერაფერს გეტყვით,. სახელი და გვარი ჯერ არ ვიცი. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ განელი ფორვარდია, რომელიც დუბაიდან ერევანში ჩაფრინდება და 10 ივლისს შემოგვიერთდება. მანამდე კი ჩვეულებრივ ვაგრძელებთ ვარჯიშებს... რაც შეეხება ზამბიელ ჩისამბა ლუნგუს, დღითი დღე მოწონებას იმსახურებს. ვნახოთ, დავბრუნდებით ზუგდიდში და მის საკითხს იქ გადავწყვეტთ. ამ ზამბიელ ფეხბურთელს ალბათ დავიტოვებთ“*, - გვითხრა ზუგდიდელთა მთავარმა მწვრთნელმა.

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ოლიმპი

## გიორგი სეთურიძე:
# ფარერებს დიდი ანგარიშით უნდა მოვუგოთ


გიორგი სეთურიძე

„ოლიმპი" ევროპის ლიგის საპასუხო შეხვედრისთვის ემზადება. 9 ივლისს რუსთაველები ფარერის კუნძულებს ესტუმრებიან და პირველ შეხვედრაში მოპოვებული უპირატესობის (2:0) შენარჩუნებას შეეცდებიან.

„ოლიმპისა" და საქართველოს ნაკრების მარჯვენა ნახევარმცველი **გიორგი სეთურიძე** კი დარწმუნებულია, რომ სტუმრად უფრო დიდი ანგარიშით მოიგებენ: „მივდივართ მოსაგებად. „ბ 36 ტორსჰავნი" რაც შეიძლება დიდი ანგარიშით უნდა დავამარცხოთ. დარწმუნებული ვარ, ეს სავსებით რეალურია. 0:2 წააგეს და ბუნებრივია, ფიქრობენ, რომ სხვაობის შემცირება შეუძლიათ. ამიტომ პირველივე წუთებიდან შეუტევენ და გაიხსნებიან. ხომ გახსოვთ, პირველ შეხვედრაში საკუთარ საჯარიმოში ჩაიკეტნენ და მაინც რამდენი მომენტი შევქმენით. როდესაც გაიხსნებიან, დაცვაშიც უამრავ ხარვეზს გამოაჩენენ და მოაშიშვლებენ. ასე რომ, ვფიქრობ, მეორე შეხვედრა უფრო ადვილი ჩასატარებელი უნდა იყოს", - ამბობს სეთურიძე.

> „ბევრი ბრაზილიელი გვახსოვს, რომლებიც ჩამოვიდნენ და ჩვენს უმაღლეს ლიგაში თამაში გაუჭირდათ..."

იქნება თუ არა 2:0 მოგება შემდეგ წრეში გასასვლელად საკმარისი? ამის თქმა ჯერ ძნელია. თუმცა, ლოგიკურად, ფარერებთან მაინც არ უნდა გაგვიჭირდეს. ასე ფიქრობს „ოლიმპის" ნახევარმცველი.

„ფარერელების თამაში ადრეც რამდენჯერმე მინახავს. მახსოვდა ძალიან სუსტი გუნდები, სადაც ფეხბურთის მცოდნე მოთამაშეს ვერ აღმოაჩენდი. გამიკვირდა, რომ რუსთავში შეუდარებლად უკეთესი გუნდი ვნახე. ადრინდელთან შედარებით, პროგრესი აშკარად დაეტყოთ. ეტყობა, მართლა ყველამ ისწავლა ფეხბურთი, თუმცა, მაინც სუსტები არიან და გამოვრიცხავ, რომ 2:0-ზე შეხვედრის ბედის შემოტრიალების უნარი ჰქონდეთ და მოგვიგონ".

რა ძალა გახდება „ოლიმპისთვის" „ატლეტიკო პარანაენსედან" ჩამოსაყვანი ბრაზილიელები? „ეს უფრო მკითხაობას ჰგავს, რადგან არც ერთი მათგანის თამაში არ გვინახავს. ჩვენ ბევრი ბრაზილიელი გვახსოვს, რომლებიც ჩამოვიდნენ და ჩვენს უმაღლეს ლიგაში თამაში გაუჭირდათ. თუმცა, არა მგონია, „ატლეტიკო პარანაენსეს" მოთამაშეებიც ასეთები იყვნენ. წესით, ბრაზილიის უმაღლეს ლიგაში სუსტი ფეხბურთელი არ უნდა იყოს. გამიხარდება, თუკი მაღალი დონის ფეხბურთელებს ჩამოიყვანენ და ევროპის ლიგასა და ჩემპიონატში წარმატებით გამოსვლაში დაგვეხმარებიან".

არ არის გამორიცხული, ბრაზილიელების ჩამოსვლის შემდეგ, გიორგიმ კლუბი დატოვოს. მას აქამდეც ჰქონდა უცხოეთში მიწვევა, საქართველოს ნაკრებში საკმაოდ დამაჯერებელი თამაშისა და **ექტორ კუპერის** შექების შემდეგ კი მის მიმართ ინტერესი გაორმაგდა.

„სიმართლე გითხრათ, არც ვიცი, ახალი სეზონის დაწყებამდე „ოლიმპში" დავრჩები თუ არა. კლუბის ხელმძღვანელობამ ევროთასებზე მთხოვეს დახმარება და ამის შემდეგ, ალბათ, სხვაგან გადავალ. თუმცა, ჯერ მიდის რამდენიმე კლუბთან მოლაპარაკება და წარმოდგენა არ მაქვს, საბოლოოდ, რომელ კლუბში ვითამაშებ. „სატრანსფერო ფანჯარა" აგვისტოში იკეტება და საჩქარო არაფერია. მანამდე ჩემთვისაც კარგია „ოლიმპში" ევროპის ლიგაში თამაში. თუკი რეალური წინადადება გამოჩნდება, კლუბში მომზადებული გავემგზავრები".

სიონი

# ბიუჯეტი შეიკვეცა, სიაც შემცირდა

„სიონი" მზადებას აგრძელებს. შეკვეცილი ბიუჯეტის გადამკიდე, ბოლნისელთა ამბიციებმა იკლო, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ გუნდი მნიშვნელოვნად დასუსტდა. რამდენიმე ლიდერის წასვლის მიუხედავად, კლუბმა ბირთვის შენარჩუნება მოახერხა. „სიონში" საკმაოდ ბევრი მოთამაშე გასინჯეს - მაგალითად, თბილისის „ამერის" მარცხენა მცველი **გიორგი ელბაქიძე** და „ბორჯომის" საყრდენი ნახევარმცველი **ნოდარ დევიძე**. „სიონის" მთავარი მწვრთნელის **ოთარ კორღალიძის** თქმით, ორივე ფეხბურთელი გაუშვეს. მანვე, ამ მომენტისთვის მის განკარგულებაში მყოფი ფეხბურთელების სია გაგვაცნო:

მეკარეები - **გია ჭანტურია, მინდია ბობლიაშვილი, ლადო ზუხბაია;**

მცველები - **დავით სვანიძე, ირაკლი ვაშაკიძე, სერგი ორბელაძე, რეზო ქემოკლიძე, მურმან ქურასბედიანი, ოთარ ნაყოფია, გიორგი ოქროპირიძე, ჩხეტიანი;**

ნახევარმცველები - **ლადო უგრეხელიძე, ლევან სანიკიძე, ზურაბ ავალიანი, გიორგი ბაჯელიძე, აჩიკო ალავიძე, გიორგი ხიდეშელი, ლევან უგულავა, გიორგი ანდრიაძე, ვასილ კუნჭულია;**

თავდამსხმელები - **მიხეილ ბობოხიძე, გია იმედაძე, ლაშა რუსეიშვილი.**

გულშემატკივრისთვის რამდენიმე ფეხბურთელი უცნობია, მაგალითად, მეკარე **ლადო ზუხბაია** სახელგანთქმული **რალფ შუმახერის** საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა და ბუნდესნაკრების ექსკიპერი თურმე ძალიანაც აქებდა. ბოლო წლებში ის ვარჯიშობდა თბილისის „ლოკომოტივშიც", შარშან კი ჯერ ნალჩიკის „სპარტაკში" ისინჯებოდა, ხოლო შემდეგ ბელარუსის უმაღლესი ლიგის კლუბ მინსკის „ლოკომოტივში" (ამჟამად კლუბი სკვიჩ-ის სახელს ატარებს) თამაშობდა.

მცველი ჩხეტიანი ამ გვარის რომელიმე ცნობილ წარმომადგენელში არ აგერიოთ, ის ბოლნისელი ბიჭია. ადგილობრივია **ლევან უგულავაც**, „სიონის" ყოფილი ლიდერის **ბესიკ უგულავას** ვაჟი.

მართალია, **ზაზა ჭელიძე** ამჟამად „ოლიმპს" ევროთასებზე ეხმარება, მაგრამ ბოლნისელებმა ევროთასებისთვის გაანათხოვრეს და საქართველოს ჩემპიონატის დაწყებისთვის დაიბრუნებენ. კორღალიძის თქმით, ზაზა მათ განაცხადში იქნება.

„სიონმა" უკვე ორი საკონტროლო შეხვედრა გამართა - „შავი ზღვის უნივერსიტეტთან" ფრედ 2:2 (**ხიდეშელი, იმედაძე**) ითამაშა, კვირას კი ცხინვალის „სპარტაკს" 3:1 სძლია. 10 ივლისს ბოლნისელები საკუთარ მოედანზე „გაგრას" უმასპინძლებენ.

პირველი ლიგა

# ამერი იცლება

თბილისის „ამერს" ფინანსური პრობლემები მოუგვარებელი დარჩა და შესაბამისად, უმაღლესი ლიგის საგზურით ვერ ისარგებლა. კლუბი იძულებულია, მხოლოდ პირველ ლიგაში გამოსვლას დასჯერდეს. აქედან გამომდინარე, გუნდის ლიდერები სხვადასხვა კლუბში გაიფანტნენ.

თუმცა ჯერ მთავარი მწვრთნელით დავიწყოთ: **გიორგი ჩიხრაძე კახა ცხადაძემ** ბაქოს „ინტერში" მიიწვია და ისიც წინადადებას დათანხმდა. მის შემცვლელად **ნუგზარ ბოჯგუა** დაინიშნა, სოხუმის „ცხუმის", სენაკის „ეგრისის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი, რომელიც წლების განმავლობაში ჩიხრაძის ასისტენტად მუშაობდა.

ბოლო დროს „ამერიდან" ცხადაძე ახალგაზრდულ ნაკრებში ორ მოთამაშეს იწვევდა - მცველ **გიორგი ხატიაშვილსა** და ნახევარმცველ **ირაკლი ხუციძეს**. ორივე მათგანი კლუბიდან წავიდა - ხატიაშვილი უკვე მესამე დღეა, თბილისის „ლოკომოტივში" გადავიდა, ხუციძე კი ახლა ქუთაისში იმყოფება.

„ლოკომოტივში" ვარჯიშობს „ამერის" პლეიმეიქერი **გიორგი ტიკურიშვილიც**. არ არის გამორიცხული, ამავე გუნდში გააგრძელოს თამაში თავდამსხმელმა **მურთაზ კაკაბაძემ**, რომელიც „ამერამდე" ზუგდიდის „ბაიაში" გამოდიოდა.

საერთოდ, „ლოკომოტივი" ახალი სეზონის წინ მნიშვნელოვნად შეიცვალა და ძველი ლიდერებიდან მხოლოდ ცენტრალური მცველი **ნიკა გუშარაშვილი** დარჩა. ისიც მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ფეხბურთიდან წასვლა არ სურდა.

ბოლნისის „სიონში" აპირებდა კარიერის გაგრძელებას მარცხენა მცველი **გიორგი ელბაქიძე**, მაგრამ მას კვლავ კლუბის ძიება მოუწევს.

ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშები თავდამსხმელი **ბესიკ ჩიმაკაძე** კი სომხეთში იმყოფება - 20 წლის ფორვარდს ერევნის ერთ-ერთი კლუბი სინჯავს. „გაგრაში" გააგრძელებს კარიერას 24 წლის მეკარე **ლადო ნადირაშვილი**, „სამტრედიაში" საყრდენი ნახევარმცველი **გიორგი ბენდელიანი** ვარჯიშობს.

სამწუხაროა ამბავი გუნდისა, რომელმაც სულ რამდენიმე წელი დაყო საფეხბურთო „ოლიმპზე", მაგრამ გულშემატკივარს სიყვარული და მონატრების გრძნობა დაუტოვა. დღევანდელი ვითარებით, „ამერი" პირველ ლიგაში იასპარეზებს. ეს იმედს გვაძლევს, რომ დროთა განმავლობაში, კლუბი კრიზისს თავს დააღწევს და უმაღლეს ლიგასა და საფეხბურთო ელიტაში საკუთარ ადგილს დაიბრუნებს.

საწყენია, რომ ამ ქვეყანაში სტაბილური გუნდის შენებისთვის შესაფერისი გარემო არ არსებობს და გუშინ თუ „ამერს" შეექმნა პრობლემა, სავსებით რეალურია, ხვალ გაკოტრებული გუნდების რიგში სხვები ვიხილოთ. სტაბილური გარემოს გარეშე კი განვითარება წარმოუდგენელია.

ინტერვიუ

## რატი წინამძღვრიშვილი
# თამაში სიგიჟემდე მენატრება

1987-88 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა თაობა, ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და იმედის მომცემი აღმოჩნდა. მათ ლინიანოს ოლიმპიურ თამაშებზე ასახელეს საქართველო და ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდამდე გააღწიეს. ნიჭიერი ფეხბურთელების ნაწილი ამ ნაკრებში არ მოხვედრილა, შემდეგ გამოჩნდნენ და აზრიც ჩამოყალიბდა.

მათზე დიდ იმედებს ვამყარებდით, მაგრამ ბოლო დროს პრობლემა ბევრ მათგანს შეექმნა: ბექა გოცირიძე ავტოავარიაში მოხვდა და ბეწვზე გადარჩა, გიორგი განუგრავა ნახევარი წელია უგუნდოდაა და ახლა „დიორი ეტოში" ვარჯიშობს. მენისკის ოპერაციის გამო, ბესო ჩიმაკაძემ ლამის ერთი წელი დაისვენა. სამი სეზონი სანახევროდ ჩაატარა მათე ვაწაძემ, ერთი წელია მენისკს მკურნალობს რეზო ბარაბაძე და ა.შ.

თუმცა, ამ თაობაში დღემდე ყველაზე უიღბლო რატი წინამძღვრიშვილია, რომელმაც ბოლო ორ წელიწადში მხოლოდ ერთხელ ითამაშა. მანამდე და მას შემდეგ კი, მთელი ორი წელწადი ერთსა და იგივე ტრავმას მკურნალობდა - რატის ჯვარედინი იოგების უმძიმესი ოპერაცია გაუკეთეს და დღემდე რეაბილიტაციის კურსს გადის.

20 წლის ფორვარდი მოედანს შარშან დაუბრუნდა, 2008 წლის 5 სექტემბერს მინსკში რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგაც ითამაშა, მაგრამ მას მერე კვლავ საოპერაციო გახდა...

**- რატი, თქვენი თაობა თითქოს დანავსულია. რა ხდება? რა გჭირთ?**

- მიზეზი ბევრია, მაგრამ ახლა არ დავაკონკრეტებ. იმედია, ეს უიღბლობა გადაივლის, მალე მოედანს დავუბრუნდებით და ძველებურზე უკეთ ავთამაშდებით. ძნელი ყოფილა უფეხბურთოდ ცხოვრება. თამაში ისე მომენატრა, წარმომიდგენია, მოედანს როგორი ენერგიით დავუბრუნდები.

**- ბუნებრივია, ორი წლის უთამაშებლობა დაგეტყობათ.**

- დამეტყობა არა იმდენად ფიზიკურად, რამდენადაც ფსიქოლოგიურად.

**- როგორც მახსოვს, მენისკი ხელახლა რუსეთთან მატჩის შემდეგ გაგიღიზიანდათ...**

- დიახ, ასე იყო. შეგრტმა ძირითად შემადგენლობაში დამაყენა. რა თქმა უნდა, მისგან ნდობა გამიხარდა, ფორმაში არ ვიყავი, დატვირთვა არ შეიძლებოდა და მატჩის შემდეგ ისეთი ტკივილები ვიგრძენი, მივხვდი, მოედანზე გასვლით უდიდესი შეცდომა დავუშვი.

**- გულწრფელად გვითხარით, დაბრუნების წინ შიში ხომ არ გაგიჩნდათ?**

- შარშან მართლა ძალიან მეშინოდა. თუმცა, მოედანზე ყველაფერი დამავიწყდა. ეს ბუნებრივი შიშია, რომელსაც ყოველდღიურ შრომაში ივიწყებ. თუმცა, ახლა უფრო რთულ მდგომარეობაში ვარ. გონებაში ჩამჯდარია ნეგატიური აზრები, რომ მენისკის გამო, ორჯერ დავისვენე და მინდა თუ არა, აზრები მიტრიალებს, რაიმე არ შემემთხვეს-მეთქი. იმედია, ყველაფერი წარსულში დარჩება და მალე ძველებურად დავიწყებ გატანას. საერთოდ, ბუნებით მშიშარა და უიმედო კაცი არ ვარ და ჩემი ხასიათის მეიმედება.

**- ვარჯიში თუ დაიწყეთ?**

- ზესტაფონში დღეს ჩავედი და წესით, ვარჯიშის უფლებას ერთ კვირაში მომცემენ.

**- სისუსტეს ხომ არ გრძნობთ?**

- ცხადია, ძველებური ლონე არ მექნება, მაგრამ ვარჯიშებით მოვღონიერდები.

**- „ზესტაფონმა" „ამერიდან" საბოლოოდ გამოგისყიდათ?**

- ტრანსფერზე შეთანხმდნენ, დანარჩენი კი მე არ მეხება. „ზესტაფონმა" მაგრად მომიარა, როგორც ვიცი, ძალიან ძვირი ოპერაცია გავიკეთე და რეაბილიტაციის კურსი გავიარე, ეს ხარჯი კი მთლიანად კლუბმა გაიღო.

**- „ზესტაფონის" წლევანდელ ამბიციებზე რას გვეტყვით?**

- წელს ძლიერი გუნდი ყალიბდება, ბევრ ახალწვეულს ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. მოედანს მეც მალე უნდა დავუბრუნდე. ერთი სული მაქვს, ეს როდის მოხდება.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**


რატი წინამძღვრიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება — სპარტაკი

# უცნაური სპარტაკიადა


კობა ჟორჟიკაშვილი


სერგო გაბელაია

ახლის დაწყებამდე, წინა სეზონის შეფასებას უმაღლესი ლიგის გუნდების მთავარი მწვრთნელები აკეთებდნენ. თანაც, შევეცადეთ თანამიმდევრობა დაგვეცვა: ჩემპიონი გუნდის თავკაცთან ინტერვიუთი დავიწყეთ, მერე - მეორეადგილოსანთან, მესამეადგილოსანთან და ასე შემდეგ. თუმცა, სატურნირო ცხრილის ფსკერს „მივადექით“ და, ცოტა არ იყოს, დავიბენით კიდეც; ჰო, მართლაც უცნაური სიტუაცია შეიქმნა: ბოლო სამ ადგილზე გუნდებში ხომ მწვრთნელთა პერმანენტული ცვლა ხდებოდა! აქედან გამომდინარე, სეზონი ვის უნდა შეეფასებინა? ზოგმა მხოლოდ ერთი წრე იმუშავა, ზოგმა - ერთი ეტაპი, ზოგიც მხოლოდ სეზონის მიწურულს მივიდა გუნდში...

...ცხინვალის „სპარტაკშიც“ ორჯერ შეიცვალა მწვრთნელი: ჩემპიონატი **კობა ჟორჟიკაშვილმა** დაიწყო, ექვსი ტურის შემდეგ კი გუნდის გაძლოლა **სერგო გაბელაიას** დაეკისრა. ამ უკანასკნელმა სეზონი მთავარი მწვრთნელის რანგში ჩაამთავრა, მაგრამ ორი კვირის წინ მის ნაცვლად „სპარტაკში“ გამოცდილი სპეციალისტი **ვლადიმერ ხაჩიძე** დაინიშნა. მწვრთნელების ხშირმონაცვლეობას კი, დაგვეთანხმებით, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში მოაქვს სასურველი შედეგი; ალარაფერს ვამბობთ ფეხბურთელების, მართლაც, სარეკორდო რაოდენობაზე: განვლილი ორი სეზონის განმავლობაში „სპარტაკის“ შემადგენლობაში დაახლოებით ასამდე ფეხბურთელი ვიხილეთ! არანაკლებ უცნაურია ის ფაქტიც, რომ ამ სარეკორდო რაოდენობიდან მხოლოდ ორი ფეხბურთელი იყო, ვინც ორივე სეზონი „ცხინვალში“ თამაშობდა: **ბესიკ ხაჭიპერაძე** და **თორნიკე თარხნიშვილი.** დანარჩენები კი... მიდიოდნენ, მოდიოდნენ, ისევ მიდიოდნენ და ასე შემდეგ...

XIX ჩემპიონატში „სპარტაკი“ ბეწვზე გადაურჩა უმაღლესი ლიგის დატოვებას; მერე, პლეიოფში „გაგრას“ შეხვდა და მინიმალური სხვაობით (1:0) გამარჯვებით უმაღლესში ადგილიც შეინარჩუნა. სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ, ჩვენი აზრით, კობა ჟორჟიკაშვილის გუნდმა შესაძლებლობების მაქსიმუმი აჩვენა - მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რა კონტინგენტთან უწევდა მწვრთნელს მუშაობა. საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატის დაწყების წინაც არავის ჰქონდა ილუზია, რომ „სპარტაკი“ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებდა. მით უფრო, რომ გუნდიდან წავიდა ორი წამყვანი ფეხბურთელი: გამოცდილი მცველი **რევაზ ქემოკლიძე** და ახალგაზრდა ნახევარმცველი **ირაკლი ძარია**. სამწუხაროდ, მეოცე ჩემპიონატის პირველმა წრემ ნათლად დაგვანახვა პირველ ლიგაში დაქვეითების ყველაზე რეალური კანდიდატი: „სპარტაკმა“ ათ შეხვედრაში მხოლოდ ერთი მოიგო და ცხრა წააგო! თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გუნდი... კალენდარმაც „არ დაინდო“: „სპარტაკი“ პირველ ტურში ისვენებდა, მერე კი „დინამოსთან“ (სტუმრად), „ვიტ ჯორჯიასთან“ (შინ) და „მგლებთან“ (სტუმრად) სამი ისეთი შეხვედრა ჰქონდა, ალბათ წინასწარ რომ იყო განწირული. რალა თქმა უნდა, ზედიზედ სამი მარცხი არასახარბიელო შედეგი იყო, მაგრამ მეტოქეთა სიძლიერიდან გამომდინარე, საპანიკოდ საქმე არავის გაუხდია. თუმცა, ამას მეოთხე წაგებაც მოჰყვა: საკუთარ მოედანზე „ბორჯომთან“! მოკლედ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ასეთ შემთხვევებში, მთავარი მწვრთნელის გათავისუფლების საკითხი უკვე დროის ამბავი იყო. ასეც მოხდა - „სპარტაკი“ სერგო გაბელაიას ჩააბარეს, ვისაც რთული და კონკრეტული მიზანი დაუსახეს; ჰო, როგორია, სამქულიან გუნდს რომ ჩაიბარებ... თუმცა, იმავე მეოცე ჩემპიონატში თითქმის ანალოგიური სიტუაციაც კარგად გვახსოვს - „ოლიმპი“ რამდენი ქულით რომელ ადგილზე იმყოფებოდა და სეზონი კი რომელზე დაასრულა...

...თავდაპირველად ვერც ახალი მწვრთნელის ფაქტორმა იმუშავა - „სპარტაკი“ თამაშს თამაშზე აგებდა და აი, დეკემბერში, როგორც იქნა, ზედიზედ ორი დაუმარცხებელი მატჩიც ჩაატარა: „მგლებს“ 4:0 მოუგო, ხოლო „გაგრასთან“ ფრედ (1:1) ითამაშა. თუმცა, უშუალო კონკურენტებთან კვლავაც სერიოზული ჩამორჩენა ჰქონდა და გუნდის გადარჩენის ერთადერთი საშუალება ზამთრის პაუზის დროს შემადგენლობის გვარიანი გადახალისება იყო. ასეც მოხდა: სერგო გაბელაიამ, ფაქტობრივად, ახალი გუნდი „გააკეთა“ და მოსამზადებელი პერიოდიც გუნდისთვის ერთობ ნაყოფიერი გამოდგა. ზამთრის პაუზის დროსაც და მერე, ჩემპიონატის მსვლელობისას „სპარტაკში“ უამრავი ახალი ფეხბურთელი ჩაირიცხა: **გიორგი თურმანიძე, ზაზა სახოკია, ზვიად მეტრეველი, შოთა ჯიქია, გიორგი ჩივაძე, გივი ქარქუზაშვილი, მურმან ქურასბედიანი** და სხვები. თავდაპირველად, პროგრესი აშკარა იყო: გუნდმა ქულების მოგროვება დაიწყო, თანაც ძლიერ მეტოქეებთან („სიონი“, ოლიმპი“), მაგრამ, არასტაბილურობაც თან სდევდა და, რაც მთავარია, უშუალო კონკურენტებთან ვერ იმარჯვებდა.

და აი, მარტში „სპარტაკმა“ ჩემპიონატი კი არ გამოაცოცხლა, ლამის... ოქროს მედლების ბედი გადაწყვიტა! ჰო, უიმედო აუტსაიდერობა უკვე „ბორჯომს“ გადაულოცა და უმაღლესში დარჩენის შანსებიც რომ ნელ-ნელა იზრდებოდა, სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა „სპარტაკის“ ორი საუკეთესო მატჩი! ამას კი ნამდვილად ვერავინ იფიქრებდა: **ირაკლი სირბილაძის** „დუბლით“ ჯერ იყო სტუმრად, „დინამოსთან“ ფრედ (2:2) ითამაშეს (ფაქტობრივად, ამ ვერმოგებულ შეხვედრას გადააყოლეს კიდეც **რაინერ ცობელი**), მერე კი, ერთი კვირის თავზე უკვე, ერთპიროვნულ ლიდერ „ვიტ ჯორჯიას“ დააკარგვინეს ძვირფასზე ძვირფასი ქულები (0:0).

...შემდეგ იყო კვლავაც არასტაბილური ასპარეზობა, ცოტა არ იყოს, საეჭვო საშინაო მატჩი „სიონთან“, ბოლოსწინა ტურში მატჩის უკანასკნელ წამებზე მოპოვებული გამარჯვება „ზესტაფონთან“ და უმაღლესში დარჩენის შანსიც; ეგ კი არა, ფაქტობრივად, ისე მოხდა, რომ XX ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში მხოლოდ ერთ შეხვედრას ჰქონდა ინტრიგა: „მესხეთი“-„სპარტაკის“ მატჩს ვგულისხმობთ. გაბელაიას გუნდს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა, სხვა ნებისმიერ შემთხვევაში კი პირველ ლიგაში დაქვეითება არ ასცდებოდა. სამწუხაროდ, ამ უპრინციპულეს დაპირისპირებას, წინ ერთობ არასასიამოვნო აჟიოტაჟი უძღოდა - „მესხეთის“ გაჭირვება საქვეყნოდ იყო გამოცხადებული, მაშინ, როცა „სპარტაკს“ გავლენიანი პატრონის ხელში ფინანსური პრობლემები არ აწუხებდა. ვინც ის შეხვედრა იხილა, ყველა გაოცებული დარჩა: სტუმრებს არაფერი ეტყობოდათ, რომ მხოლოდ გამარჯვებისთვის იყვნენ ბორჯომში ჩასულნი...

საბოლოოდ, როგორც დასრულდა ყველაფერი, კარგად მოგეხსენებათ: „მესხეთმა“ გაიმარჯვა და „სპარტაკი“ პირველ ლიგაში „გაისტუმრა“. თუმცა, მალე ახალი სეზონი რომ დაიწყება, უმაღლესში ისევ „სპარტაკი“ იასპარეზებს, ხოლო ულიცენზიო, უფულო და უკვე უყველაფრო „მესხეთი“, საერთოდ, იარსებებს თუ არა, ჯერაც არავინ იცის. თანაც, „სპარტაკი“ ახალ სეზონში გუნდი-გამოცანა უნდა იყოს. ეგ კი არა, კლუბის თუ გუნდის ახალი ხელმძღვანელები ხმამაღლა აცხადებენ კიდეც - პირველ ხუთეულში უნდა მოვხვდეთო...

**გია ტუხაშვილი**

| სპარტაკი 2008/09 ყველა მატჩი | |
|---|---|
| **I წრე** | |
| დინამო-სპარტაკი | 4:1 |
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| მგლები-სპარტაკი | 2:0 |
| სპარტაკი-ბორჯომი | 1:2 |
| გაგრა-სპარტაკი | 0:2 |
| სპარტაკი-სიონი | 0:3 |
| სპარტაკი-ლოკომოტივი | 1:4 |
| ოლიმპი-სპარტაკი | 1:0 |
| სპარტაკი-ზესტაფონი | 1:2 |
| მესხეთი-სპარტაკი | 1:0 |
| **II წრე** | |
| სპარტაკი-დინამო | 0:3 |
| ვიტ ჯორჯია-სპარტაკი | 2:0 |
| სპარტაკი-მგლები | 4:0 |
| ბორჯომი-სპარტაკი | 1:3 |
| სპარტაკი-გაგრა | 1:1 |
| სიონი-სპარტაკი | 0:0 |
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 2:1 |
| სპარტაკი-ოლიმპი | 1:1 |
| ზესტაფონი-სპარტაკი | 4:1 |
| სპარტაკი-მესხეთი | 1:1 |
| **III წრე** | |
| დინამო-სპარტაკი | 2:2 |
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| მგლები-სპარტაკი | 2:1 |
| სპარტაკი-ბორჯომი | 2:0 |
| გაგრა-სპარტაკი | 1:1 |
| სპარტაკი-სონი | 2:1 |
| სპარტაკი-ლოკომოტივი | 1:3 |
| ოლიმპი-სპარტაკი | 1:0 |
| სპარტაკი-ზესტაფონი | 1:0 |
| მესხეთი-სპარტაკი | 1:0 |




ლეგიონი



# დოლიძე სიმურგს დაშორდა

აზერბაიჯანული მედიის ცნობით, ზაქათალის „სიმურგში“ ქართველ ლეგიონერთა რიცხვი ისევ 4-მდე დავიდა. კლუბის პრეზიდენტის, **ზაურ მამედოვის** სიტყვებით, გუნდიდან გაუშვეს მარჯვენაფლანგელი **გრიგოლ დოლიძე**. ამის მიზეზი დოლიძის ტრავმა ყოფილა - მას ჯვარედინ მყესებზე სერიოზული პრობლემა აქვს და ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროება. „სიმურგის“ რიგები დატოვა გუნდის ბომბარდირმა **ვლადიმერ მოზიარმაც** და ხმების თანახმად, შესაძლოა, ეს ხვედრი მთავარმა მწვრთნელმა **რომან პოკორამაც** გაიზიაროს, თუკი „სიმურგი“ ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ვერ გავა. ეს კი საკმაოდ ძნელი იქნება, რადგან „სიმურგი“ ებრაულ „ბნეი იეჰუდასთან“ ბაქოში 0:1 დამარცხდა და ახლა საპასუხო შეხვედრა ისრაელში ელის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბორჯომი

# მცირე შანსი


ვახტანგ მაისურაძე

გასული სეზონის დასრულებასთან ერთად გავრცელდა ხმები, რომ „ბორჯომი“ დაშლის პირას იყო. ოციოდე დღის წინ, ამ კლუბის ამბით კიდევ ერთხელ დავინტერესდით და მის დირექტორ **ვახტანგ მაისურაძეს** დავუკავშირდით. მაისურაძემ მაშინ განაცხადა, რომ ერთ ბიზნესმენს სურვილი ჰქონდა, „ბორჯომი“ დაეფინანსებინა. ყველაფერს კი მათი შეხვედრა გადაწყვეტდა, რომელიც ივნისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში უნდა შემდგარიყო. ბუნებრივია, დაგვაინტერესა, თუ რა სტადიაში იყო ეს საკითხი და მაისურაძეს გუშინაც შევეხმიანეთ. თუმცა ბორჯომელთა კლუბის ხელმძღვანელმა რაიმე დამაიმედებელი ვერც ამჯერად გვითხრა.

*„სამწუხაროდ, კარგს ვერაფერს გეტყვით... კი, შეხვედრა უნდა გვქონოდა ბიზნესმენთან, მაგრამ ეს შეხვედრა არ შემდგარა. იმ ბიზნესმენმა უარი შემოგვითვალა. როგორც ჩანს, სასპონსორო საშუალება არ აქვს. „მესხეთის“ დარად, „ბორჯომიც“ თითქმის დაიშალა. არადა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ერთი გუნდი ხომ მაინც უნდა იყოს?! ამჟამინდელი ვითარებით, ერთი პროცენტია დარჩენილი საიმისოდ, რომ „ბორჯომი“ არ დაიშალოს და კლუბმა არსებობა არ შეწყვიტოს. ფინანსები არ გვაქვს და თუ ვითარება არ შეიცვალა პირველ კი არა, მეორე ლიგაშიც არ გვეყოლება გუნდი. ერთპროცენტიანი იმედილა დაგვრჩა და ერთ კვირაში ყველაფერი გაირკვევა. ან „ბორჯომი“ ალარ იარსებებს, ან ვითარება სასიკეთოდ შეიცვლება. ეს არის და ეს, ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით“*, - თქვა „ლელოსთან“ საუბარში „ბორჯომის“ დირექტორმა.

**დავით ცაბაძე**

ვიტ ჯორჯია

## რამაზ მუმლაძე:
# ნავაგეთ, მაგრამ დავინახე ის, რაც მინდოდა

უკრაინულ კრიმტეპლიცაში დაბინავებულმა საქართველოს ჩემპიონმა მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა საკურორტო ქალაქ ევპატორიაში და უკრაინის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე სიმფეროპოლის „ტავრიასთან 2:3 დამარცხდა.

„ვიტ ჯორჯიამ" პირველი ტაიმი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ბედიაშვილი - ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - კახელიშვილი, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი - ლიპარტია, ბერიაშვილი (46. კვარაცხელია).**

მატჩის 57-ე წუთზე „ვიტ ჯორჯიას" დამრიგებელმა **რამაზ მუმლაძემ** 9 ახალი ფეხბურთელი შეუშვა მოედანზე: **ადამაძე, ყველაშვილი, მგელაძე, მაისაშვილი, ვასაძე, ჯანელიძე, ხურცილავა, ლანიაშვილი, ზაქრაძე.**

საქართველოს ჩემპიონი და უკრაინის ჩემპიონატში მე-8 ადგილზე გასული გუნდი სხვადასხვა კონდიციაში იმყოფებიან - „ტავრიას" სეზონი 19 ივლისს ეწყება და, ფაქტობრივად, მოსამზადებელი პერიოდის ბოლო აკორდებს უკრავს, „ვიტ ჯორჯია" კი ცოტა სხვა გეგმით ემზადება - საქართველოს ჩემპიონატი სავარაუდოდ 1 აგვისტოს დაიწყება, მანამდე კი ევროსარბიელია. როგორც უნდა იყოს, შედეგი მაინც გულზე ხვდება ყველას, თუმცა ეს მარცხი ბევრსაც არაფერს არ ნიშნავს.

უკრაინელები შეხვედრის დასაწყისში დაწინაურდნენ, 34-ე წუთზე კი ანგარიში **გიორგი ბერიაშვილმა** გაათანაბრა. „ტავრია" ხელმეორედ 48-ე წუთზე გაიჭრა წინ, ხოლო გამთანაბრებელი გოლი (შვიდ წუთში) წინა სეზონში ვიტელთა საუკეთესო მეგოლე **ვახტანგ კვარაცხელიამ** გაიტანა. სწორედ ამის მერე გადახალისდა ვიტელთა შემადგენლობა, „ტავრიამ" კი გამარჯვების გოლი 78-ე წუთზე გაიტანა. „ტავრიას" რიგებში პირველი ტაიმი ითამაშა **ვასილ გიგიაძემ, ლადო ბურდული** კი არ გამოჩენილა.

„წავაგეთ, მაგრამ ამ თამაშში ვნახე ის, რაც მინდოდა. შეხვედრის პირველი 15 წუთი არეულ-დარეული გამოდგა, პირველი გოლი მეტოქეს, ფაქტობრივად, ვაჩუქეთ. კუთხურის დროს სათანადო ყურადღება ვერ გამოვიჩინეთ და დავისაჯეთ. ამის მერე დავლაგდით, ბურთიც დავიჭირეთ, ანგარიშიც გავათანაბრეთ... დავინახე ის მოძრაობა, რაც ერთობ მნიშვნელოვანია და... ისევ უხეში შეცდომის გამო გავუშვით გოლი. მიუხედავად მარცხისა, ისე არ ყოფილა, თითქოს „ტავრიამ" თამაშით გვაჯობა. უკრაინელებმა მესამე გოლი ჯარიმით, ასე 25-27 მეტრიდან გაგვიტანეს. მეორე ტაიმში ძირითადი შემადგენლობა რომ არ გამომეცვალა, არ წავაგებდით. საქმე ისაა, რომ ძალიან ცხელოდა და ფეხბურთელები ზედმეტად არ გადავტვირთე", - გვითხრა ნამატჩევს ვიტჯორჯიელთა დამრიგებელმა **რამაზ მუმლაძემ.**

მომდევნო საკონტროლო შეხვედრას „ვიტ ჯორჯია" 8 ივლისს, ილიჩევსკის „სტალთან" გამართავს.

**დავით თავართქილაძე**


ვახტანგ კვარაცხელია

ლეგიონერები

# იაშვილის კარლსრუე თარგამაძეზე ისევ ფიქრობს


დავით თარგამაძე

მეორე ბუნდესლიგაში ჩაყურყუმალავებულმა „კარლსრუემ" იმდენი ქნა, **ალექსანდრე იაშვილი** ახალ, 4-წლიან კონტრაქტზე დაითანხმა. და რასა იქმს ახლა იაშვილი?

„გუნდმა ახალი სეზონისთვის მზადება 25 ივნისს დაიწყო, მე კი „კარლსრუეს" მოგვიანებით, 2 ივლისს შევუერთდი, რადგან სეზონის დასრულების შემდეგ ნაკრებშიც მომიწია თამაშმა. „კარლსრუეს" რაც შეეხება, ერთი საკონტროლო მატჩი გვქონდა ერთ-ერთ ქვედალიგელთან და 5:0 მოვიგეთ, მე პირველ ტაიმში ვითამაშე", - გვითხრა იაშვილმა და მერე იმაზეც ვკითხეთ, არის თუ არა იმის შანსი, რომ „კარლსრუეში" მეორე ქართველიც გამოჩნდეს.

გასულ სეზონში19 წლის **დავით თარგამაძის** „ფრაიბურგმა" ბუნდესლიგის საგზური კი მოიპოვა, მაგრამ ჯერაც სათუოა, დარჩება თუ არა თარგამაძე **რობინ დუტის** გუნდში. ბუნდესლიგაში მისი ასაკის ფეხბურთელებს კარს ფართოდ არ ულებენ, იშვიათად ათამაშებენ ძირითადში. წინა სეზონშიც დათოს ხშირად როდი უთამაშია მეორე ბუნდესლიგის „ფრაიბურგის" თერთმეტეულში. ახლა კი ერთ-ერთი გუნდი, სადაც თარგამაძე შეიძლება გადავიდეს, სწორედ „კარლსრუეაა".

„მართლაც იყო ლაპარაკი „კარლსრუეში" თარგამაძის მოსვლაზე, მაგრამ საქმე ამის იქით ჯერ არ წასულა. ვნახოთ, თარგამაძის გადაბირების თემა ამოწურული არ არის. „კარლსრუემ" უკვე დაიმატა 4 ახალი ფეხბურთელი და კიდევ სამის აყვანას აპირებს. ისინი ქართველი გულშემატკივრებისთვის ცნობილი ფეხბურთელები არ არიან, მაგრად საკმაოდ გამოცდილი და კვალიფიციური მოთამაშეები გახლავან", - განგვიმარტა იაშვილმა.

რაც შეეხება თარგამაძეს, შარშანწინ „ფრაიბურგში" რომ მოხვდა, ეს იაშვილის რეკომენდაციის გარეშე არ მომხდარა. თარგამაძეს „ფრაიბურგი" ჯერ არსად არ ანათხოვრებს და როგორც თავად ფეხბურთელმა გვითხრა, მპირდებიან, რომ სათამაშო პრაქტიკია მექნებაო.

რაც შეეხება იაშვილს, „კარსლრუეში" ალუთქვეს, საკვანძო ფეხბურთელი იქნები და შენს საყვარელ პოზიციაზე, თავდამსხმლების უკან გაგამწესებთო. 11 ივლისს „კარლსრუე" ბადენვიურტემბერგის ერთ-ერთ სამთო დაბაში გაემგზავრება და ახალი სეზონის წინ შეკრებაზე ალარ გადავა.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

## ოთარ მარცვალაძე
# რატომ უნდა შევიცვალო მოქალაქეობა?

**რუსული ვიზის არქონის გამო ოთარ მარცვალაძეს და სანდრო იაშვილს ლამის ნახევარი სეზონი გაუცდათ, თუმცა მათ პირველი დივიზიონის „ანჟი" ლამის შტურმით აილეს, პირველ ორ მატჩში ოთარმა და სანდრომ ორ-ორი გოლი გაიტანეს და დაღესტნელი გულშემატკივარის აღიარებაც უმალ მიპოვეს. გთავაზობთ (შემოკლებით) ოთარ მარცვალაძის ინტერვიუს ადგილობრივ სპორტულ გაზეთ „სტადიონთან"...**

**- ოთარ, ჩვენს გულშემატკივარს შენ შესახებ ბევრი ინფორმაცია არ აქვს, მათ მხოლოდ იციან, რომ კიევის „დინამოში" თამაშობდით. იქნებ თავად მოგვიყვეთ?**

- როგორც ყველა, ბავშვობაში მეც ეზოში დავდევდი ბურთს. იქ შემამჩნია რევაზ სანთელაძემ და ფეხბურთზე მიმიყვანა, მაშინ 10 წლის ვიყავი. შემდეგ თენგიზ სულაქველიძის აკადემიაში გადავედი. 16 წლის ასაკში ჩემით თელავივის „ჰაპოელი" დაინტერესდა. ამ გუნდის დუბლებში 7-8 თვე გავატარე. შემდეგ ებრაულ კლუბს ჩემთან 3-წლიანი კონტრაქტის დადება სურდა, იყო შანსი ძირითად გუნდშიც მოვხვედრილიყავი, მაგრამ მათი პირობები არ აკმაყოფილებდა როგორც აკადემიას, ასევე ჩემს უფროს ძმას. ამიტომ „ჰაპოელში" ვერ გადავედი. საქართველოში დავრჩი და „ვიტ ჯორჯიაში" მივედი. ამ კლუბთან ერთად უმაღლეს ლიგაში გადავედი და საქართველოს ჩემპიონიც გავხდი. ჯამში სულ 4 სეზონი გავატარე გუნდში, დამასახელეს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად, ბოლოს 14 გოლით ბომბარდირთა დავაშიც ვლიდერობდი, მაგრამ ამ დროს კიევის „დინამოს" წინადადებამ მომისწრო...

**- ვისი დახმარებით?**

- წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, რევაზ ჩელებაძის. მან ურჩია კიეველებს ჩემი გასინჯვა. 2006 წლის იანვარში კიევში ჩავედი, 3-4 შეკრების შემდეგ „დინამომ" კონტრაქტი გამიფორმა. ანატოლი დემიანენკო შეცვლაზე მიშვებდა ხოლმე, ერთი-ორჯერ ძირითადშიც დამაყენა. მაგრამ ზაფხულში დამეწყო პრობლემები, მივიღე პირველი ტრავმა. სამი თვე ვიმკურნალე დავბრუნდი და ერთ თვეში უარესი ტრავმა მივიღე, საოპერაციო გავხდი. შარშან ზაფხულში, როგორც იქნა, გამოვჯანმრთელდი, მაგრამ კიევში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე ავარიაში მოვყევი. ზუსტად ნახევარი წელი კიდევ მკურნალობას დასჭირდა. მადლობა ღმერთს, ახლა ყველაფერი რიგზეა, ჯანზე ვარ.

**- არ განიცდით დისკომფორტს კიევის „დინამოდან" რუსეთის რანგით მეორე დივიზიონის კლუბში რომ გადახვედით?**

- ძალიან მინდოდა თამაში, ამიტომაც კლუბებს შორის კლასში განხვავება არ მაშინებდა. „ანჟი" ძალიან კარგი კოლექტივია. გუნდს ძალიან მაგარი გულშემატკივრები ჰყავს.

**- რამდენწლიანია თქვენი კონტრაქტი „ანჟისთან"?**

- სამი უახლოესი სეზონის განმავლობაში „ანჟის" ფეხბურთელი ვარ.

**- როგორ ინარჩუნებდით ფორმას საქართველოში რუსეთის ვიზის მოლოდინში?**

- ძველი მეგობრობის წყალობით „ვიტ ჯორჯიაში" ვარჯიშის უფლება მომცეს, მაგრამ მე ორი ოპერაცია მაქვს გადატანილი და ხელოვნურ საფარზე ვარჯიში ჩემთვის საშიშია. ამიტომაც ინდივიდუალურად ვემზადებოდი სულაქველიძის აკადემიაში. ფიზიკურად კარგად ვარ, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის ნამდვილად განვიცდი და ეს ხელს მიშლის თამაშში.

**- ორი თამაშით შეგიძლიათ დაახასიათოთ რუსეთის პირველი დივიზიონი?**

- „ანჟის" მეტოქეების მთავარი ამოცანა მახაჭყალაში არწაგებაა, ჯერ მხოლოდ ეს დასკვნა გამოვიტანე ორი მატჩის მიხედვით.

**- გულშემატკივრებმა პირველ რიგში თქვენი სისწრაფე აღნიშნეს.**

- არადა ტრავმამდე 30 მეტრს 3,4 წამში დავრბოდი, ახლა კი 3,5-3,6 წამი მჭირდება.

**- ასეთი სიჩქარით თქვენი ადგილი ან ფლანგზეა ან შეტევაში, სად უფრო გირჩევნიათ თამაში?**

- ბავშვობიდან თავდასხმაში ვთამაშობ. ნაკრებში ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზეც გამომცადეს, ერთხელ ტაქტიკური გადანაცვლების წყალობით დაცვაშიც აღმოვჩნდი, თუმცა რა თქმა უნდა ეს ჩემი პოზიცია არაა. ჩემი აზრით, ყველაზემეტად სასრაგებლო იმ პოზიციაზე ვარ, რომელზეც ომარ თეთრაძე მათამაშებს „ანჟიში", მეორე ფორვარდად.

**- კლუბში 77-ე ნომრით თამაშობთ, ეს თქვენი საყვარელი ნომერია?**

- უმეტესწილად 22-ნომრიანი მაისურით ვთამაშობდი. მიყვარს 7 ნომერიც, თუმცა „ანჟიში" ორივე დაკავებული დამხვდა, ამიტომ ავირჩიე 77.

**- ახლა თუ გიწვევენ ეროვნულ ნაკრებში?**

- დიახ, მიუხედავად იმისა, რომ სათამაშო პრაქტიკა არ მქონია. ალბანელებთან ამხანაგურ მატჩში ბოლო 25 წუთი ვითამაშე კიდეც.

**- „ანჟის" ქართველთა უმეტესობამ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო თავად ხომ არ აპირებთ?**

- ჯერჯერობით ასეთ რამეზე არ მიფიქრია. ნაკრებში რეგულარულად მეძახიან, რატომ უნდა შევცვალო რამე?

**- პირველი წრე სრულდება, შესვენებას სამშობლოში გაატარებთ? ასეთ შემთხვევაში არ გეშინიათ კიდევ სავიზო პრობლემა შეგექმნათ?**

- პრობლემა აღარ უნდა იყოს, მე ხომ რუსეთში შესვლის ორჯერადი უფლება მაქვს და ჯერ მხოლოდ ერთი გამოვიყენე.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ოთარ მარცვალაძე

ლეგიონი

# რუბინმა დაიბრუნა, ანჟიმ დაკარგა

რუსულ პრემიერლიგაში მე-11 ტურის ერთი გადმოტანილი მატჩი გაიმართა, ჩემპიონი „რუბინი" აუტსაიდერ „ხიმკის" ესტუმრა, 3:2 დაამარცხა და პირველ ადგილს დაუბრუნდა. ქართველთა გუნდმა12 თამაშიდან 24 ქულა დააგროვა და ერთით გადაუსწრო აქამდე ერთპიროვნულ ლიდერ „მოსკვას". ყაზანური კლუბის ქართული ტრიოდან მხოლოდ ერთმა ითამაშა, **ლაშა სალუქვაძემ** (3 თამაში). ლაშამ 90 წუთი დაყო მოედანზე, თუმცა championat.ru-სგან გუნდში ყველაზე დაბალი შეფასება (**პოპოვთან** ერთად), 5,5 ქულა მიიღო. **დავით კვირკველია** არ გამოჩენილა, ხოლო **ნუკრი რევიშვილმა** წინა დღით ამ გუნდების დუბლების მატჩში ითამაშა. რუბინის კაპიტანმა **სერგეი სემაკმა** მატჩის შემდეგ გუნდის დაცვის ხაზი გააკრიტიკა: „ხიმკისთან მატჩში ჩვენმა დაცვის ხაზმა ვერ ივარგა, კიდევ კარგი, ანალოგიურად ცუდად ითამაშა მეტოქის დაცვამაც. საშიში არაფერია, ჩვენ ხომ შევძელით 3 ქულის მოპოვება". მე-13 ტური 10 ივლისს გაიმართება.

პირველ დივიზიონში ლიდერობა დაკარგა **ომარ თეთრაძის** „ანჟიმ", მას შემდეგ რაც ბელგოროდში „სალიუტ-ენერგიასთან" 0:3 შერცხვა. სასტარტო შემადგენლობაში ერთბაშად ხუთმა ქართველმა ითამაშა: **გიორგი ნავალოვსკიმ, ედიკ საჯაიამ, კახაბერ ალადაშვილმა, ოთარ მარცვალაძემ** და **სანდრო იაშვილმა** (ეს უკანასკნელი 70-ე წუთზე შეცვალეს). ამით უმალ ისარგებლა „ალანიამ", „ჩერნომორეცი" 2:0 დაამარცხა და 38 ქულით პირველ ადგილზე გადავიდა. „ანჟი" 36 ქულით მეორე ადგილზეა.

გრაცის „შტურმმა" ამხანაგურ შეხვედრაში 2:2 ითამაშა „კოპენჰაგენთან". **ილია კანდელაკმა** სრულად ითამაშა და ორი საგოლე მომენტიც გაანიავა. მატჩის შემდეგ პენალტების სერია დაინიშნა და საბოლოოდ დანიელებმა 10:9 მოიგეს. კანდელაკმა 5:4-ზე „შტურმის" სასარგებლოდ ვერ გაიტანა პენალტი. გუშინ „შტურმმა" 1:0 აჯობა „ოსტრავას".

მოგეხსენებათ, **ზურაბ ხიზანიშვილის** ტრანსფერი „ბლექბერნ როვერსიდან" თურქულ „გალათასარაიში" ჩვენთვის უცნობი მიზეზით ჩაიშალა. ინგლისური კლუბი შეკრებაზე ავსტრიაში გაემგზავრა და 24-კაციან შემადგენლობაში ჩვენი თანამემამულეც იმყოფება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იუვენტუსი



ფელიპე მელოზე დიდი მოთხოვნაა

# ფელიპე მელო სინიორასთან

## მარკიონისა და გრიგერას თვალი ფიორენტინასკენ უჭირავთ

გუშინ, „სქაი იტალიამ“ ისეთი ინფორმაცია გაავრცელა, რომელიც „იუვენტუსის“ გულშემატკივრებს ძალიან გაახარებთ. „ვეკია სენიორას“ და „ფიორენტინას“ მესვეურები **ფელიპე მელოს** ფლორენციიდან ტურინში გადაბარგებაზე შეთანხმებულან. დიახ, ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი მომავალი სეზონიდან „იუვეში“ ისპარეზებს, ყოველ შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნული წყარო სწორედ ამას იუწყება.

ამ ინფორმაციას, მხარეები ჯერჯერობით არ ადასტურებენ, თუმცა არც უარყოფენ. აი, რას ამბობს „ბებერი ქალბატონის“ სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო**: *„ფელიპე მელოს მიმართ, ინტერესს სეზონის განმავლობაშიც ვიჩენდით და არ დავმალავ, რომ მისი გადაბირებით დაინტერესებულნი ვართ. გვქონდა კონტაქტი ფლორენციელ კოლეგებთან, თუმცა დღეს იმაზე საუბარი, რომ შეთანხმება მიღწეულია, მაინც არ შეიძლება. უახლოეს დღეებში, მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგება და ყველაფერი იქ გადაწყდება. არ უარვყოფ, რომ მელოს შეძენასთან ახლოს ვართ, თუმცა ჩემი თხოვნაა, ჯერ ნუ ვიჩქარებთ“.*

სეკო მოლაპარაკებების დეტალებზე არ საუბრობს, თუმცა ჟურნალისტებმა ყველაფერი მის გარეშეც კარგად გაიგეს. თუ „სქაი იტალიას“ ვენდობით, ფლორენციელები ფეხბურთელის სანაცვლოდ 25 მილიონ ევროს ითხოვენ. ამ თანხის გადასახდელად „იუვეს“ მესვეურები მზად არიან, მაგრამ ამ ეტაპზე მაინც არ ჩქარობენ და ფლორენციელებს კონტრწინადადებას სთავაზობენ. 10 მილიონი ევრო და პლუს, ორი ფეხბურთელი: **მარკო მარკიონი** და **ზდენეკ გრიგერა**. უინტერესო წინადადება ნამდვილად არ ჩანს - შესაძლოა, 15 მილიონ ევროს „ვიოლას“ მესვეურებმა მართლაც ეს ორი ფეხბურთელი არჩიონ. გუნდი მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ისპარეზებს და გაძლიერება ყველა რგოლში სჭირდება. მარკიონი მელოს შემცვლელად შეგვიძლია მოვიაზროთ, გრიგერა კი დაცვის ხაზს გააძლიერებს. ალბათ, ყველაფერი მაინც სეკოს მიერ ხსენებულ შეხვედრაზე გადაწყდება და ჩვენც, უმჯობესია, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

როგორც ხედავთ, „იუვენტუსი“ ძლიერდება, თუმცა, ერთ ფრონტზე ტურინული კლუბის მესვეურებს ხელი მოეცარათ. **ჯოვანი კობოლი ჯილის** დიდი სურვილის მიუხედავად, **ანტონიო კასანო** „იუვეში“ არ გადავა და კარიერას „სამპდორიაში“ გააგრძელებს. ამის შესახებ, პრესასთან საუბარში გენუური კლუბის პრეზიდენტმა **რიკარდო გარონემ** განაცხადა: *„თუ აქამდე მისი დარჩენის ალბათობა 99% იყო, ახლა შემიძლია 100%-იანი გარანტიით გითხრათ, რომ კასანო მომავალ სეზონშიც „სამპდორიაში“ ისპარეზებს. ანტონიოს გადაბირება „იუვენტუსს“ და „ინტერს“ სურდათ, თუმცა მისი გასხვისება ჩვენს გეგმებში არ შედის. აქვე, გეტყვით, რომ არც ერთი წამყვანი ფეხბურთელი „სამპდორიას“ არ დატოვებს. თუმცა, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ამ ზაფხულს მაღალკვალიფიციურ ფეხბურთელებს ვერ დავიმატებთ. შესაძლოა, რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე გადმოვიყვანოთ, რომლებიც ჩვენი თვალთახედვის არეში არიან მოქცეულნი“.*

**ლაშა ნიკლაური**

რომა

# ტოტი: მთავარია, რომაში ვრჩები!

## პუპონეს არც ნაკრებზე ჩაუქნევია ხელი. ლიპისთან შეხვედრის მოლოდინში...

რამდენიმე დღის წინ, იტალიურ პრესაში ერთი ამბავი ატყდა, **ფრანჩესკო ტოტიმ** „რომას“ მესვეურებთან შეთანხმება ვერ შეძლო და შესაძლოა, კონტრაქტი აღარ გაახანგრძლივოსო. ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა და ავსტრიაში, შეკრებაზე მყოფ პუპონემდეც მივიდა. „ჯალოროსის“ კაპიტანმა გაკვირვება გამოხატა და განაცხადა, რომ ხელშეკრულებას შეკრების დასრულებისთანავე გააფორმებს:

*„მოლაპარაკებებმა შესანიშნავ ატმოსფეროში ჩაიარა და როგორც მოსალოდნელი იყო, შეთანხმება შედგა. როდესაც მხარეებს ერთი მიზანი ამოძრავებთ, შედეგს წინ ვერაფერი დაუდგება. ახალი ხელშეკრულება უკვე მზადდება და რომში რომ დავბრუნდები, ხელს მოვაწერ. ფინანსური მხარე ჩემთვის მეორეხარისხოვანია, მთავარია „რომაში“ ვრჩები და მომავალშიც „ჯალოროსის“ ტიფოზებისთვის ვითამაშებ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ კონტრაქტი 2014 წლამდე იქნება გათვლილი, შემდეგ კი ალბათ კარიერის დასრულებაზეც ვიფიქრებ“.*

კარიერის დასრულების რა გითხრათ და ეროვნულ გუნდში დაბრუნება რომ სურს, ეს უკვე არაერთხელ განაცხადა. შემთხვევით გუშინაც ისარგებლა და **მარჩელო ლიპის** ავსტრიიდან მიმართა: *„იტალიაში რომ დავბრუნდები, სენიორ მარჩელოს აუცილებლად შევეხმიანები. ძალიან მინდა შევხვდეთ ერთმანეთს და დავილაპარაკოთ. ეროვნულ გუნდში ასპარეზობის დიდი სურვილი მაქვს და მაინტერესებს, უნდა მქონდეს თუ არა, ამის იმედი. ლიპის გადაწყვეტილებას ყველა შემთხვევაში პატივს ვცემ, თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ გულს არ დამწყვეტს. მჯერა, რომ „სკუადრა აძურასთვის“ კიდევ შემიძლია სარგებლის მოტანა, მთავარია ამის საშუალება მომეცეს“.*

**ლაშა ნიკლაური**

შალკე

# ისევ ლინკოლნი და პოულსენი?

## მაგათი ნიჟიერ ჰოლტბისაც ყიდულობს

„შალკემ“ კიდევ ერთი ტესტმატჩი გამართა და გელზენკირხენელებმა „ვიქტორიას კრებულს“ 6:2 კი მოუგეს (**კობიაშვილმა** და **ყენიამ** მეორე ტაიმში ითამაშეს), მაგრამ გუნდის მთავარი მწვრთნელი და მენეჯერი **ფელიქს მაგათი** მაინც ძალიან უკმაყოფილო დარჩა და საფინალო სასტვენის შემდეგ თქვა: *„გუნდი აქამდე ნელ ტემპში თამაშს იყო მიჩვეული და ეს საშინელებაა. ჩემი ამოცანაა, სიზანტის პრობლემა, რაც შეიძლება, მალე აღმოვფხვრა.“*

გელზენკირხენელებს ბეცირკსლიგისა და ობერლიგის ფეხბურთელების კრებულთან თამაში განსაკუთრებით პირველ ტაიმში გაუჭირდათ (3:2) და ეს იმ დროს, როცა პირველ ნახევარში მაგათმა უფრო მეტი ძლიერი ფეხბურთელი ათამაშა (**ვესტერმანი, ბორდონი, რაფინია, რაკიტიჩი, ფარფანი, კურანი**). შესაბამისად, „დესპოტმა ფელიქსმა“ მატჩის შემდეგ გუნდის ყოფილი მწვრთნელი **ფრედ რუტენი** გააკრიტიკა, პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ ასე გამოუვიდა: ასეთ თამაშს გუნდი რუტენმა მიაჩვიაო.

ამასობაში, კვლავ აქტუალურია **ლუის ჰოლტბის** საკითხი - 18 წლის ფეხბურთელისა, რომელიც აახენის „ალემანიაში“ თამაშობს და რომლის გადაბირება „შალკეს“ დიდი ხანია, უნდა. მაგათი ტრანსფერის გაჩარხვას ამ დღეებში ელოდება და „კიკერის“ ინფორმაციით, კლუბები შეთანხმებასთან ძალიან ახლოს არიან. თვითონ ფეხბურთელს კი „შალკე“ კარგა ხანია, მოურიგდა. ტესტმატჩებიდან გამოჩნდა, რომ მაგათი უპირატესობას 4-4-2 ტაქტიკას ანიჭებს და ასეთ შემთხვევაში, ჰოლტბი, სავარაუდოდ, გამთამაშებლის პოზიციაზე მოიაზრება. სათადარიგო ვარიანტად კი ფელიქსს 4-2-3-1 სისტემა აქვს შერჩეული. ამ შემთხვევაში, 18 წლის დრიბლიორი ჰოლტბი ფლანგის შემტევი ნახევარმცველი უნდა იყოს.

გარდა ამისა, „შალკესთან“ მიმართებაში ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ორი ცნობილი ფეხბურთელის გვარი ახსენეს და საინტერესო ის არის, რომ ორივე ყოფილი შალკელია. ლაპარაკია **ლინკოლნზე**, რომელსაც „გალათასარაიში“ მომავალი აღარ აქვს და საყრდენ ნახევარმცველ **კრისტიან პოულსენზე**. მაგათს ლინკოლნი ყოველთვის მოსწონდა და გასაკვირი ნამდვილად არ იქნება, თუ ბრაზილიელ დირიჟორს „შალკეში“ დააბრუნებს. პოულსენის შესახებ კი იტალიური „კორიერე დელო სპორტი“ იტყობინება. ხსენებული გამოცემა გვაუწყებს, რომ მაგათი უკვე დაუკავშირდა „იუვენტუსის“ მესვეურებს. „კიკერის“ ცნობით, „იუვე“ პოულსენს შვიდ მილიონად აფასებს. შეგახსენებთ, რომ მას მერე, რაც „შალკეს“ **ჯერმეინ ჯონსი** 3 თვით დაუშავდა, მაგათს საყრდენი ნახევარმცველი ძალიან სჭირდება.

**გოტფრიდ ლენცი**

ვოლფსბურგი

# მგლების სამი ფრონტი

## ზიანი, ჯონსონი და მისტერ იქსი

**თომას კალენბერგი** ჯერჯერობით გერმანიის ჩემპიონ „ვოლფსბურგის“ ერთადერთი ახალწვეულია, მაგრამ „მგლების“ ახალი დამრიგებელი **არმინ ფეე** ამაზე შეჩერებას არ აპირებს და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას გეგმავს, რადგან „ვოლფსბურგმა“ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში უნდა ითამაშოს. ფაქტია, რომ ამ შემადგენლობით სამ ფრონტზე ბრძოლა ძალიან გაუჭირდება.

თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ამ დღეებში მარსელის „ოლიმპიკის“ 26 წლის ნახევარმცველი **კარიმ ზიანი** „ვოლფსბურგის“ ფეხბურთელი გახდება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ალჟირელი დრიბლიორი გერმანიის ჩემპიონთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. *„ზიანის გადმობირება ძალიან გვინდა და ვფიქრობ, სწორ გზას ვადგავართ. მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არაფერია,“* - აცხადებს ფეეს ასისტენტი **ფრანკ ელიგი**. ფაქტია, რომ „მარსელი“ მზადაა, მარჯვენა ფლანგზე თამაშის მოყვარულ ფეხბურთელს შეელიოს. კლუბები შეთანხმებასთან ახლოს არიან და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ვოლფსბურგმა „ოლიმპიკს“ თავიდან გასულ სეზონში 28 მატჩში 3 გოლის გამტან ფეხბურთელში ხუთი მილიონი ევრო შესთავაზა. ისევე, როგორც **კრისტიან გენტნერსა** და კალენბერგს, ზიანისაც შეუძლია, იყოს მარჯვენა შემტევი, ფლეიმეიქერი ან მარცხენა შემტევი ნახევარმცველი. ფეეს თქმით, ზიანის ტრანსფერი იმას გამოიწვევს, რომ „ვოლფსბურგი“ მეტოქეებისთვის კიდევ უფრო ამოუცნობი გუნდი გახდება. აღსანიშნავია, რომ ფეეს ზიანის (19 მატჩი, 3 გოლი ალჟირის ნაკრებში) გადაბირება ჯერ კიდევ ორი წლის წინ სურდა, როცა ეს სპეციალისტი „შტუტგარტის“ დამრიგებელი გახლდათ.

ზიანის გარდა, „მგლებს“ მიზანი „მიუნხენ 1860“-ის 21 წლის მარცხენა მცველის, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულის, **ფაბიან ჯონსონის** ყიდვაც სურთ, რომელსაც ფეე **მარსელ შეფერის** ალტერნატივად მოიაზრებს. თანაც, ჯონსონიც გარკვეულწილად უნივერსალია და მარჯვენა მცველის ფუნქციების შესრულებაც შეუძლია. ჯონსონს მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება და მას გადაწყვეტილება მიღებული აქვს: „ვოლფსბურგში“ სურს კარიერის გაგრძელება. ტრანსფერის გაჩარხვას ხელს ისლა უშლის, რომ კლუბები თანხაზე ვერ თანხმდებიან. „ვოლფსბურგმა“ „მიუნხენს“ ერთი მილიონი ევრო შესთავაზა, რაც „ლომებს“ ძალიან ეცოტავათ. მაგრამ „მგლების“ კოზირი ის არის, რომ ფეხბურთელს „ვოლფსბურგში“ გადასვლა უნდა და თუ წელს ვერ იყიდიან, გაისად ჯონსონი „ვოლფსბურგს“ უფასოდ მიაშურებს.

დაბოლოს: გერმანიის ჩემპიონი მაღალი კლასის თავდამსხმელსაც ეძებს, რადგან ფეეს მხოლოდ ორი ასეთი ფეხბურთელი ჰყავს (**ჯეკო** და **გრაფიტე**), ჩემპიონთა ლიგისთვის კი მინიმუმ კიდევ ერთი კარგი გოლეადორია საჭირო. ფეე ამბობს, ამ ეტაპისთვის ფასები ძალიან გაბუქებულია და მჯერა, აგვისტოსთვის ფეხბურთელებს რეალური ფასები დაედებათო. ამასთან, „მგლების“ თავკაცს უჭირს ისეთი ფორვარდის პოვნა, რომელიც გრაფიტესა და ჯეკოს რეალურ კონკურენციას გაუწევს.

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერი

# ჩელსიმ ჟირკოვი დაიმტკიცა

„ჩელსიმ“ მოსკოვის ცსკა-სგან **იური ჟირკოვი** იყიდა. როგორც ამბობენ, ლონდონელებმა რუსში 18 მილიონი ფუნტი გადაიხადეს. ჟირკოვი 25 წლის მარცხენა მცველია, რომელსაც ნაკრებში 28 შეხვედრა აქვს ჩატარებული. განსაკუთრებით თავი 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე გამოიჩინა, სადაც რუსებმა ნახევარფინალამდე მიაღწიეს.

ჟირკოვს, რომელმაც ლონდონელებთან 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა, ნახევარდაცვაშიც შეუძლია თამაში. **კარლო ანჩელოტიმ** ოფიციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა: *„ჟირკოვის ბუნებრივი მდგომარეობა მარცხენა ფრთაზე თამაშია. ვფიქრობ, ის შრომისუნარიანი ფეხბურთელია, რომელსაც დაცვაშიც შეუძლია თამაში და მოედნის შუაშიც“.*

ასე და ამგვარად, „ჩელსიმ“ ამ ზაფხულს უკვე მესამე ფეხბურთელი შეიძინა. ჟირკოვის გარდა, „სტემფორდ ბრიჯზე“ არიან, მეკარე **როს ტარნბალი** და თავდამსხმელი **დენიელ სტარიჯი**. მოსკოვის ცსკა-ში გატარებული წლების განმავლობაში ჟირკოვის ყველაზე დიდი მიღწევა უეფას თასის ფინალში ლისაბონის „სპორტინგის“ კარში გატანილი მეორე გოლი გახლავთ. ის შეხვედრა რუსებმა 3:1 მოიგეს.

ანჩელოტიმ პრესკონფერენციაზე **დეკუსა** და **რიკარდო კარვალიოზეც** იბაასა. მწვრთნელმა თქვა, რომ მიუხედავად „ინტერის“ დიდი სურვილისა, ამ წყვილის სადმე წასვლაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

*„დეკუ და კარვალიო „ჩელსის“ წევრები არიან. მომავალში კი ასე იქნება: ფეხბურთელი, რომელიც წასვლას გადაწყვეტს, ჯერ კლუბს შეატყობინებს თავისი სურვილის შესახებ და შემდეგ ყველა ერთად გამონახავს ყოველმხრივ სასარგებლო გადაწყვეტილებას“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

## უცხოური ფეხბურთი

სატრანსფერო ამბები



სამუელ ეტოო

# რას ელის სამუელი?

**სამუელ ეტოოს** „მანჩესტერ სიტი"ასტრონომიულ ხელფასს რომ სთავაზობს ყველამ კარგად იცის, მაგრამ ის, რომ მან ეს ჯამაგირი შესაძლოა „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლაზე გაცვალოს, ახალი და ერთი შეხედვით უცნაური ამბავია.

დიახ, აგერ უკვე ექვსი კვირაა, რაც „ბარსელონას" კამერუნელი ფორვარდი მსოფლიოს გაზეთებს „მანჩესტერ სიტისთან" ჰყავთ დაკავშირებული. თავიდან ამბობდნენ, რომ „სიტიში" მისი ხელფასი იქნება 200 ათასი ფუნტი, შემდეგ კი 250 ათასზეც ალაპარაკდნენ და, თითქოსდა, ფეხბურთელს მეტი რაღა უნდა ნდომებოდა, მაგრამ კამერუნელს ეყო თავხედობა და დამატებით საკონტრაქტო 12 მილიონი ფუნტი მოითხოვა. თანხები, რომლებიც აქამდე დავასახელეთ, გახლავთ ის, რაც ეტოოს ჯიბეში უნდა წასულიყო (ან, თუ გარიგება კიდევ შედგება, უნდა წავიდეს), ამას გარდა კი, ბუნებრივია არსებობს სატრანსფერო გადასახადი ანუ ფული, რომელსაც ერთი კლუბი მეორეს უხდის და მასთან ფეხბურთელი ალარაფერ შუაშია. ეს ფული ეტოოს შემთხვევაში 25 მილიონი ფუნტია, ყველაფერი ერთად კი არანორმალური თანხა გამოდის, რომლის „გასროლისგან" „სიტიმ" ამ ეტაპზე თითქოს თავი შეიკავა.

მაგრამ, დახეთ საოცრებას: კამერუნელი „მანჩესტერ იუნაიტედისგან" იმავეს არ ითხოვს! მოგეხსენებათ, სერ **ალექს ფერგიუსონმა** ამ დღეებში **მაიკლ ოუენი** შეიძინა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „იუნაიტედის" თავკაცმა სხვა თავდამსხმელის ძებნაზე აილო ხელი, ასე რომ, თუ მხარეებს ერთმანეთი თვალში მოუვიდათ და ფასიც მისაღები გახდა, ტრანსფერს ხელი ალარაფერმა უნდა შეუშალოს.

დავაზუსტოთ: კაცი, რომელიც „მანჩესტერ სიტიში" კვირაში 250 ათას ფუნტს არ ყაბულდებოდა, იმავე ქალაქის მეორე გუნდში, 150 ათასზეც თანახმაა. სხვა ამბავია, რომ თავად „იუნაიტედში" ასეთი ხელფასი მაინც არავის აქვს, მაგრამ განა ეტოოს მიზანი „იუნაიტედის" ფეხბურთელებთან ჯიბრია? მიზანი სხვაა, - ისეთ გუნდში თამაში, რომელიც გარდა იმისა, რომ ქვეყნის ჩემპიონატში პირველობისთვის იბრძვის, ჩემპიონთა ლიგაშიც გამოდის. ვაგლახ, „მანჩესტერ სიტი" ასეთ გუნდთა კატეგორიას არ განეკუთვნება, ჯერჯერობით ის უფრო პროექტია, რომელსაც მდიდარი პატრონი აფინანსებს.

სამუელ ეტოოსთან დაახლოებულმა მავანმა წყარომ საკვირაო გაზეთ News of the world-ს უთხრა: *„სამუელს პრემიერლიგის შუა ადგილზე გასულ გუნდში გადასვლა სულაც არ უნდა და აგრეთვე ის, არავითარ შემთხვევაში არ გააგრძელებს კონტრაქტს „ბარსელონასთან"*.

მოგეხსენებათ, **ჟოან ლაპორტამ** ეტოოს კონტრაქტის კიდევ ორი წლით გაგრძელება შესთავაზა. ამ წინადადების თანახმად, ფეხბურთელის ხელფასი უწინდელი უნდა დარჩენილიყო - კვირაში 100 ათასი ფუნტი.

**ილია ბაბუნაშვილი**

მილანი

# გალიანი დიდ ბაზარზე

„მილანის" გარშემო იმდენი ინფორმაცია ვრცელდება, რომ მათთვის თვალის მიდევნებაც კი ძნელია. ხშირად, ურთიერთგამომრიცხავ ცნობებსაც წააწყდებით, რაც ასევე ჩვეულებრივი ამბავია. „გაძეტა დელო სპორტს" **ლუიშ ფაბიანოს** აგენტი დაუკავშირდა და „მილანთან" მიმდინარე მოლაპარაკებებზე დაწვრილებით ისაუბრა. თურმე, **ადრიანო გალიანის** ფეხბურთელის სანაცვლოდ „სევილიასთვის" 15 მილიონი ევრო შეუთავაზებია, რაც ესპანელებისთვის კატეგორიულად მიუღებელი ყოფილა. პირენეული კლუბი წამყვან თავდამსხმელს 30 მილიონ ევროდ აფასებს და ნახევარ ფასზე დათანხმებას არ აპირებს. და ვაჭრობაც გაჩაღდა. აგენტის თქმით, გალიანიმ ხუთი მილიონით ასწია თამასა და ოცი მილიონის გადასახდელად გამოთქვამს მზაობას. ესპანელთა პასუხი ჯერ ცნობილი არაა, იქამდე კი „როსონერიში" გადასვლის სურვილი თავად ფეხბურთელმა დააფიქსირა. აი, რა განაცხადა ფაბიანომ:

*„სევილიაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ, აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, შესაძლოა კლუბის გამოცვლამ მომინიოს. ვაღიარებ, რომ „მილანის" ინტერესი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. „როსონერი" მსოფლიო ფეხბურთის გრანდია, მდიდარი ისტორიით და დიდი მომავლით. უკვე 28 წლის ვარ და ვაცნობიერებ იმას, რომ ასეთი შანსი მომავალში აღარ მომეცემა. თუ გარიგება შედგა, ძალიან ბედნიერი ვიქნები. თუმცა, თუ კლუბები ვერ შეთანხმდნენ, არც ამით შევქმნი ტრაგედიას. „სევილიამ" ძალიან ბევრი მომცა და ამ გუნდისთვის თამაში ჩემთვის ყოველთვის დიდი პატივი იქნება"*.

აქვე გეტყვით, რომ ფაბიანო „სევილიაში" უკვე ოთხი წელია თამაშობს, შეტევის ხაზის უდავო ლიდერია, რაზეც მის მიერ გატანილი 73 გოლიც მეტყველებს. კიდევ ერთი თავდამსხმელი, რომელთანაც „მილანი" პარალელურ რეჟიმში აწარმოებს მოლაპარაკებებს, **ემანუელ ადებაიორი** გახლავთ. ეს ამბავი ახალი არაა, თუმცა გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თქვენამდე მოტანა საჭიროდ მივიჩნიეთ. ინგლისურ პრესაზე დაყრდნობით, „კორიერე" შემდეგს გვაუწყებს: ადრიანო გალიანი აფრიკელის სანაცვლოდ „არსენალს" 20 მილიონ გირვანქას და პლუს, **მატიო ფლამინის** სთავაზობს. ფაბიანოსი არ იყოს, „მილანში" გადასვლის სურვილი ადებაიორსაც აქვს, მაგრამ კლუბებს შეთანხმების მიღწევა უჭირთ. „არსენალი" დაახლოებით 40 მილიონ გირვანქას ითხოვს, გალიანის" კი ამხელა თანხის გადახდა არ სურს. ვნახოთ, შესაძლოა ფლამინის ფაქტორმა ითამაშოს გადამწყვეტი როლი და გარიგებაც შედგეს.

ამასობაში, **სილვიო ბერლუსკონიმ** აიმაღლა ხმა და მიმდინარე პროცესებზე შემდეგი კომენტარი გააკეთა: *„სანამ სატრანსფერო ფანჯარა დაიხურება, იქამდე არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. შესაძლოა ნებისმიერი ფეხბურთელი გადავიბიროთ, მათ შორის ისეთიც, რომლის შესახებაც ჯერჯერობით მასმედია არ ლაპარაკობს. რაც შეეხება ფაბიანოს, ადებაიორს თუ ჰუნტელაარს, კარგი თავდამსხმელები არიან და თუ რომელიმე გადმოვიყვანეთ, ძალიან გამიხარდება. თუმცა, მინდა აქვე დავძინო, რომ „მილანს" ისედაც უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს იტალიაში და არც ევროპაში ჩამოვუვარდებით ბევრს. გუნდში უმაღლესი კლასის მოთამაშეები არიან, რომლებიც მდიდარი ტექნიკური არსენალით გამოირჩევიან და ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. დარწმუნებული ვარ, „როსონერის" გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე ჩვენს უმთავრეს კონკურენტს, „ინტერს". ასე რომ, თუ ამ ზაფხულს ვერავინ გადმოვიბირეთ, ამისგან ტრაგედიის შექმნას არავის ვურჩევ. მომავალ სეზონში, ყველა იმ ტურნირის მოსაგებად ვიბრძოლებთ, რომელშიც მონაწილეობას მივიღებთ. სხვაგვარად წარმოუდგენელია, რადგან ჩვენ ყველანი „მილანს" წარმოვადგენთ"*.

**ლაშა ნიკლაური**



ადრიანო გალიანი

სატრანსფერო ხლართები

# სად ისვენებდა მისტერ ჩელსი



მარკ ჰიუზი



ჯონ ტერი

„სანმა" გამოჩხრიკა: **ჯონ ტერი** და „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელი **მარკ ჰიუზი** ერთი კვირის წინ, დუბაიში ერთსა და იმავე სასტუმროში ყოფილან... აი, სწორედ ამის მერე შესთავაზა „სიტიმ" „ჩელსის" 30 მილიონი ფუნტი. მოგეხსენებათ, „ჩელსიმ" ტერის გაყიდვაზე უარი განაცხადა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

მოკლედ, მანჩესტერელები ცენტრალურ მცველს ეძებენ, რის გამოც ანკესი ბარსელონაშიც აქვთ ჩაშვებული. იქ მათ **კარლეს პუიოლი** ეგულებათ, მაგრამ პუიოლი პუიოლად და ლონდონელთა უარის მიუხედავად ტერის ყიდვაზე ხელი არ აუღიათ - 30 მილიონს ხუთიც დაამატეს. ისიც ცნობილია, რომ საკუთრივ ტერის ხელფასად „სიტის" არნახული თანხა, კვირაში 300 ათასი ფუნტი აქვთ ნაანგარიშევი. როგორც ინგლისური გაზეთები იუწყებიან, ხუთწლიან ხელშეკრულებაზე გადაანგარიშებით ეს იმას ნიშნავს, რომ „მანჩესტერ სიტის" არაბი პატრონები მზად არიან, მარტო ერთი კაცის ჯამაგირად, დაბეგვრის გარეშე, 80 მილიონი ფუნტი გაიღონ.

მაგრამ, დავუბრუნდეთ დუბაის. ყოფილა დუბაიში ასეთი, „ჯუმეირა ბიჩ ოტელი", რომელიც, რაკილა „ბიჩ ოტელია" ზედ ზღვის პირას მდებარეობს და როგორც ტერის, ასევე ჰიუზს იქ პლაჟზე თავ-თავიანთი ვილები ჰქონიათ. „სანი" კი რის „სანი" იქნებოდა, მყისვე რომ არ გამოექექა იმ „ბიჩ ოტელის" სხვა დამსვენებლების ვინაობა და კომენტარები არ ეთხოვა. აი, მაგალითად, მავანი ჰერტფორდშირელი **ჯეისონ დაიერი** თავისი მონაყოლით:

*„რასაკვირველია, ისინი „ჯუმეირა ბიჩ ოტელში" ერთდროულად იყვნენ. საკუთარი თვალით ვნახე ერთიცა და მეორეც. ის კი არა, რომ ჩავედი, ყველა დამსვენებელი ამას ჰყვებოდა. პირადად მე ტერი რესტორანსა და ბარში ვნახე, ჰიუზი კი საუზმობისას გადამეყარა. ხალხი ხუმრობდა, რა სეირი იქნება, ახლა ჰიუზმა ტერი რომ იყიდოსო და... დავბრუნდი თუ არა ინგლისში გაზეთებში ცნობა დამხვდა, რომ „მანჩესტერ სიტი" „ჩელსის" 30 მილიონ ფუნტს სთავაზობს"*.

ამბობენ, რომ როდესაც „ჩელსი" „სიტის" წინადადებაზე უარს ამბობს, ამით მხოლოდ და მხოლოდ მაზანდას სწევს, 45 მილიონი უნდა - ბოლოს და ბოლოს ნუ დაგვავიწყდება, რომ ლონდონელი „ლურჯების" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩია**, პრაქტიკული გონების ადამიანი. მერე რა, რომ საქმე თვით ჯონ ტერის, „მისტერ ჩელსის" ეხება.

**ილია ბაბუნაშვილი**

ბიზნესი პრიმერაში

# არის, პატრონი!

მრავალტანჯულ ესპანურ კლუბ „ვალენსიას" პატრონი შეეცვალა. ამიერიდან საკონტროლო პაკეტი ანუ აქციათა 51 პროცენტი **ვისენტე სორიანოს** ეკუთვნის. იმისათვის, რომ „ვალენსიას" მთავარი მეპატრონე გამხდარიყო, სორიანომ, რომელმაც კლუბის პრეზიდენტის თანამდებობა ერთი თვის წინ დატოვა, აქციათა ორ გოლიათს, **ვისენტე სილიას** და **ხუან სოლერს** გადაუხადა სათანადო ფული. ახლა, როდესაც „ვალენსიაში" გადამწყვეტი სიტყვა უკვე ყველანაირად სორიანოს ეკუთვნის, ბუნებრივია, კლუბის პრეზიდენტის თანამდებობასაც კვლავ ის და რაც მთავარია, მყარად დაიკავებს, ოღონდ ამისათვის არჩევნების ჩატარებაა საჭირო.

ნოტარიული გარიგება, რომლის თანახმადაც სოლერმა თავის წილ აქციათა ათ, ხოლო სილიამ ოთხ პროცენტზე სორიანოს სასარგებლოდ თქვეს უარი, გასულ პარასკევს შედგა. მანამდე, სორიანო აქციათა მხოლოდ 37 პროცენტის მფლობელი გახლდათ.

შეგახსენებთ, რომ ვისენტე სორიანო „ვალენსიას" გასული წლის ზაფხულიდან წლევანდელ ივნისამდე პრეზიდენტობდა. როგორც ამბობენ, მისი ახალ პოზიციაზე გადასვლა „ვალენსიას" ბიუჯეტს 92 მილიონი ევროთი გაზრდის. გარდა ამისა, სორიანო ყველა ღონეს ხმარობს, რათა 300 მილიონად გაყიდოს მიწა, რომელიც სპორტულ კომპლექს „მესტალიას" ეკუთვნის - მოგეხსენებათ, „ვალენსიაც" „მესტალიაზე" თამაშობს. „ვალენსიას" ვალები ჯამში 700 მილიონ ევროს უტოლდება.

**ილია ბაბუნაშვილი**



ვისენტე სორიანო

საგრანსფერო ამბები


სესკ ფაბრეგასი

# არსენალი ყირაზე

ყველაფერი ყირაზე დგება - „არსენალმა" დაინახა, რომ მისი კატალონიელი კაპიტნის, **სესკ ფაბრეგასის** გადასაბირებლად ერთმანეთს ესპანური ფეხბურთის ორი გრანდი, „ბარსელონა" და „რეალი" ეჯიბრება; დაინახა ისიც, რომ მისი პროტესტი, ფაბრეგასის გაყიდვაზე საწინააღმდეგო აზრი, ჩირადაც არავის უღირს და ამიტომ გადაწყვიტა საქმისთვის სულ სხვა მხრიდან მოევლო:

*„ჩვენს კლუბში, „არსენალში", ფაბრეგასის გაყიდვა არავის სურს, მაგრამ დგება მომენტი, როდესაც შემოთავაზებულ თანხაზე უარის თქმა ძალიან ძნელია. თუ რომელიმე დაინტერესებული მხარე ფეხბურთელის სანაცვლოდ შემოგვთავაზებს თანხას 40 მილიონ ფუნტს, მოლაპარაკებების დაწყება შესაძლებელი იქნება".*

მოგეხსენებათ, „არსენალი" პრობლემის წინაშეა - ბოლო წლების განმავლობაში გუნდი ველარაფერს იგებს, ასე რომ, მწვრთნელი, **არსენ ვენგერი**, ვალდებულია იშოვოს ფული და შემადგენლობა გააძლიეროს. ამასთან, თავის დაწყნარება ყოველთვის შეიძლება, მაგალითად ასე: მართალია, 22 წლის ფაბრეგასის გუნდიდან წასვლა უზარმაზარი დანაკლისი იქნება, მაგრამ სტატისტიკა მეტყველებს, რომ გასულ სეზონში, სწორედ მაშინ, როდესაც კაპიტანი ტრავმის გამო ვერ თამაშობდა, გუნდმა ზედიზედ 20 შეხვედრა არ წააგო. თან, ვიმეორებთ, „ბარსელონა" და „რეალი" არ ცხრებიან და, როგორც მიმომხილველები ამბობენ, აუცილებლად მიმართავენ ლონდონურ კლუბს ოფიციალური წინადადებით.

კატალონიელთა პრეზიდენტმა **ჟოან ლაპორტამ** წინა კვირაში პირდაპირ ინტერვიუთი შესთავაზა ფაბრეგასს მშობლიურ ქალაქსა და გუნდში დაბრუნება: *„სესკს სისხლში „ბარსელონას" დნმ აქვს და დარწმუნებული ვარ, აუცილებლად დადგება დღე, როდესაც ის ჩვენი მაისურით ითამაშებს. ჩვენ, - მწვრთნელს, ტექნიკურ დირექტორს და მე - ფაბრეგასი ძალიან მოგვწონს და მასზე ხშირად ვფიქრობთ".*

შეგახსენებთ, აგრეთვე, რომ დიდი ხმაური მოჰყვა ფაბრეგასის ინტერვიუს, სადაც მან „არსენალს" იმპოტენტი უწოდა, ხოლო „რეალსა" და „ბარსელონას" შორის რომელი ურჩევნა, არ თქვა. მიუხედავად იმისა, რომ კატალონიელია, განაცხადა, „რეალში" თუ გადავალ, ჩემი ოჯახი გამიგებსო, რითაც, როგორც ჩანს, ლაპორტა და ძმანი მისნი პროვოკაციაზე წამოაგო.




უდიდესი საფეხბურთო ტრაგედიები

# ჰეი, გაალეთ სიცოცხლის ჭიშკარი!

იქნებ ვინმემ იცოდეს, რატომ არსებობენ ქვეყნად საფეხბურთო ხულიგნები? ვითომ იმიტომ, რომ არსებობენ ათასი „იზმის" მიმდევარი, მოფაშისტო-მორასისტო-მოკომუნისტო ადამიანები, რომლებიც სინამდვილეში ჩვეულებრივი ბანდის მენტალიტეტით ცხოვრობენ? ალბათ, თუმცა, კიდევ არსებობს ეჭვი, რომ საკუთრივ ბურთს აქვს რაღაც მისტიკური თვისება. ამ თითქოსდა კეთილ, მგორავ და მხტუნავ საგანში არის რაღაც მუხტი, რომელიც შიგადაშიგ მონუსხავს ხოლმე მავანთ, რის მერეც საშინელებები იწყება...

მაგრამ ეს მეორე არ უნდა იყოს მართალი. მოდი, უსულო საგანს ნუ დავაბრალებთ იმას, რაც ჩვენშია. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ უდიდესი საფეხბურთო ტრაგედიები მხოლოდ ხულიგნებს არ გამოუწვევიათ. ხომ გახსოვთ, ცოტა ხნის წინ ლეგენდარული „ტორინოს" თვითმფრინავის სუპეგას მთასთან შეჯახებაზე გიამბეთ - 60 წელიწადი გავიდა მას მერე. და ხანძრები, ჭყლეტა, ტრიბუნების ჩანგრევა.?.. იმასაც ამბობენ, ნებისმიერი საფეხბურთო მატჩი პოტენციური ტრაგედიააო. სადღაც სტადიონია ძველი, სადღაც ადმინისტრატორი ყველა შესასვლელს არ გაალებს - ადმინისტრატორი ხომ იმისაა, რომ თავისი ძალაუფლებით დატკბეს. მას შეუძლია კარი არ გაალოს...

მოკლედ, უბედურებისგან, ძვირფასო მკითხველო, ღმერთმა დაგვიფაროს, აი, ფეხბურთის ისტორიის შავი დღეების გახსენება კი ვინ იცის, უპრიანიც იყოს. ამით იქნებ, მხოლოდ ცნობისმოყვარეობა კი არ მოვიკლათ, სამომავლოდ თავიც დავიზღვიოთ.

ქვემოთ, დაღუპულთა რაოდენობის მიხედვით, 15 ყველაზე დიდ ტრაგედიას ჩამოვთვლით...

### 15. აიბროქსის პირველი ტრაგედია 1902 წლის 5 აპრილი გლაზგო, შოტლანდია. დაიღუპა 25 ადამიანი

იმ დღეს შოტლანდიის ნაკრები ინგლისისას მასპინძლობდა. შეხვედრის 51-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ახალაშენებული სექტორი დასავლეთ ტრიბუნაზე ჩაიშალა. მიზეზი: წინა ღამით გადაუღებლად წვიმდა, გალუმპულმა ტრიბუნამ კი ხალხს ველარ გაუძლო. 517 ადამიანი დასახიჩრდა, 25 დაიღუპა.

იმხანად ტრიბუნები ხის მასალისგან მზადდებოდა, ჩარჩო კი მეტალისა ერტყა. „აიბროქსის" ტრაგედიის შემდეგ, მთელ ბრიტანეთში კონსტრუქციები შეცვალეს, ტრიბუნათა გასამაგრებლად საქმეში მიწის სამუშაოებიც ჩართეს.

### 14. ბარდენ პარკის ტრაგედია 1946 წლის 9 მარტი ბოლტონი, ინგლისი. დაიღუპა 33 ადამიანი

„ბოლტონ უონდერერსი" „სტოკ სიტის" ეთამაშებოდა, როდესაც გადაინგრა კედელი, რომელსაც გულშემატკივრები აწვებოდნენ. ამან ხალხის გარკვეული რაოდენობა წააქცია, დანარჩენებში კი პანიკა გამოიწვია. დაღუპულთა გარდა ოთხასამდე დასახიჩრებულიც იყო. კედლის ნგრევის მიზეზი გახდა ის, რომ მატჩის სანახავად მისული 85 ათასი ადამიანიდან 65 ათასი სტადიონის ტერიტორიაზე შევიდა, დანარჩენები კი ჭიშკრებს ვერ მიუდგნენ და უნებლიეთ კედელს მიაწვნენ.

### 13. ეიზელის ტრაგედია 1985 წლის 29 მაისი ბრიუსელი, ბელგია. დაიღუპა 39 ადამიანი

ეს ტრაგედია კი უკვე ხულიგნობამ გამოიწვია. უბედური შემთხვევა ჩემპიონთა თასის ფინალის დღეს მოხდა. ერთმანეთს „ლივერპული" და „იუვენტუსი" ხვდებოდნენ.

ტრაგედიის მიზეზი გახდა ის, რომ ინგლისელმა ფანებმა იტალიელებზე საჩხუბრად გაიწიეს, იტალიელები წინ გაიქცნენ, ამას კი ტრიბუნის საყრდენმა კედელმა ვერ გაუძლო და ჩაინგრა. დაილუპნენ იტალიელები. დაახლოებით 600 ადამიანი დასახიჩრდა.

თავის გასამართლებლად შემდეგ ინგლისელები იგონებდნენ, რომ 1984 წელს, რომში, „ლივერპულსა" და „რომას" შორის გამართულ ჩემპიონთა თასის ფინალში, იტალიელებმა ინგლისელი ფანები სცემეს და რამდენიმე დაჭრეს კიდეც. შესაბამისად, ამ ვერსიის თანახმად, ის, რაც „ეიზელზე" მოხდა, ყოფილა ლივერპულელების მიერ, რომაელთა ერთი წლის წინანდელი საქციელის გამო, ტურინელებისთვის გაცემული პასუხი...

ტრაგედიის შემდეგ „ეიზელის სტადიონი" ძირეულად გადააკეთეს, რის შედეგადაც აშენდა ფაქტობრივად ახალი ნაგებობა სახელწოდებით „მეფე ბოდუინი". „ეიზელზე" დატრიალებული ტრაგედიის გამო ინგლისურ კლუბებს ხუთი წლით ევროთასებზე ასპარეზობა აუკრძალეს.

### 12. ოპენჰაიმერის ტრაგედია 1991 წლის 13 იანვარი ორკნი, სამხ. აფრიკა. დაიღუპა 42 ადამიანი

ერთმანეთს „კაიზერ ჩიფსი" და „ორლანდო პაირატსი" ხვდებოდნენ. ეს იყო ამხანაგური შეხვედრა, რომლის დაწყების წინ „პაირატსის" დანამომარჯვებულმა ფანებმა „კაიზერის" ფანებს შეუტიეს. ხალხში ატყდა პანიკა, რამაც ჭყლეტა გამოიწვია. დაღუპულთა დიდი ნაწილი ხალხის ნაკადის მოსაწესრიგებელ მეტალის ღობე-წინააღმდეგობებს მიეჭყლიტა.

### 11. ელის პარკის ტრაგედია 2001 წლის 11 აპრილი იოჰანესბურგი, სამხ. აფრიკა. დაიღუპა 43 ადამიანი

სამხრეთაფრიკელებს ორკნის ტრაგედიამ ჭკუა ვერ ასწავლა - ათი წლის შემდეგ, კვლავ „კაიზერ ჩიფსისა" და „ორლანდო პაირატსის" შეხვედრას 60 ათასი კაცი ესწრებოდა, დაახლოებით 30 ათასი კი გარეთ იდგა და სტადიონზე შესვლა უნდოდა. „პაირატსმა" ანგარიში რომ გაათანაბრა, გარეთ ჯიუტად მდგომი ადამიანები განსაკუთრებული ძალით მიაწყდნენ სტადიონს, რათა დაენახათ, რა მოხდა. ბევრი მათგანი პრესის ლოჟაში შევარდა. ხალხის ნაკადის მოზღვავებამ სტადიონზე მსხდომთა შორის პანიკა გამოიწვია. ამბობენ, რომ ამ დროს, ვითარების დასაშოშმინებლად, სტადიონის დასაცავად მივლენილმა პოლიციელებმა ცრემლსადენი გაზი გაუშვეს და ამით მდგომარეობა ორმაგად გააუარესეს. პოლიცია ამ ბრალდებას დღემდე უარყოფს.

### 10. ათათურქ სტადიონის ტრაგედია 1968 წლის 17 სექტემბერი ქაისერი, თურქეთი. დაიღუპა 44 ადამიანი

იყო ასეთი თამაში: „ერჩიესფორი" „სივასფორს" მასპინძლობდა. ქაისერი და სვიასი მეზობელი ქალაქებია და მათ გუნდებს შორის მუდმივი დერბია. მოედანზე მიმდინარე ამბებმა მაყურებელს შორის დაპირისპირება გამოიწვია. ჩხუბში გამოიყენეს დანები და ცეცხლსასროლი იარაღი. 600 ადამიანზე მეტი დასახიჩრდა.

ეიზელის ტრაგებია 1985 წელი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოლტონის ტრაგედია

### 9. ბრედფორდ სიტის ტრაგედია
**1985 წლის 11 მაისი**
**ბრედფორდი, ინგლისი. დაიღუპა 56 ადამიანი**

იმ დღეს „ბრედფორდ სიტი" მესამე დივიზიონის ჩემპიონობას უმიზნებდა - გადამწყვეტი შეხვედრა იყო. მისი მეტოქე გახლდათ „ლინკოლნ სიტი", თუმცა, ხანძარი ტრიბუნაზე ამის გამო არ წარმოქმნილა. ამბობენ, რომ მავანმა მაყურებელმა სიგარეტი პლასტიკატის ჭიქაში ჩადო და სექტორის ქვეშ ჩააგდო - როგორც ჩანს, ადგილი, სადაც მაყურებელს ფეხები უდევს, ერთგვაროვანი არ იყო. სექტორის ქვეშ კი ნაპერწკალს 20 წლის ნაგროვები ნაგავი დახვდა... იოლი წარმოსადგენია, რა მოუვიდოდა 77 წლის ტრიბუნას, რომელშიც დიდი რაოდენობით ერია ხის მასალა. ხალხის დიდი ნაწილი მოედანზე ჩახტა, მეორე ნაწილი კი ტრიბუნის უკან, ვიწრო გასასვლელს მიაწყდა, აქ კი ხანძარმა და მხუთავმა კვამლმა ყველაზე მეტად შეუტია მათ. ტრიბუნიდან გარეთ გასასვლელი კარები, რასაკვირველია ჩაკეტილი იყო. მადლობა ღმერთს, ხალხმა რამდენიმე მათგანის განგრევა მოახერხა და ამით უამრავი ხალხი გადაარჩინა. ხანძარი კი გაძლიერდა და ტრიბუნის ხის სახურავს მოედო.

### 8. აიბროქსის მეორე ტრაგედია
**1971 წლის 2 იანვარი**
**გლაზგო, შოტლანდია. დაიღუპა 66 ადამიანი**

საოცარი სტადიონია „აიბროქს პარკი". ჩვენი წერილი ხომ ამ სტადიონზე დატრიალებული ტრაგედიით დავიწყეთ, მაგრამ იმ ამბამდე, რომელსაც ახლა გიამბობთ, ათი წლით ადრე, აქვე, კიბეზე, ჭყლეტაში ორი ადამიანი დაიღუპა...

ხოლო, იმ 2 იანვარს, „ოლდ ფირმ დერბიში" ანუ გლაზგოს ორი გუნდის, „რეინჯერსისა" და „სელტიკის" შეხვედრაში, 89-ე წუთისთვის კვლავ 0:0 იყო, ანუ მატჩის დასრულებამდე წუთებილა რჩებოდა, როდესაც „სელტიკმა" ანგარიში გახსნა და „რეინჯერსის" განბილებულ გულშემატკივართა გვარიანი ნაწილიც წამოდგა, სტადიონი რომ დაეტოვებინა. სწორედ აქ დატრიალდა ტრაგედია: მე-13 კიბეზე დამაგრებულმა მეტალის წინაღობებმა დიდი ჭყლეტა გამოიწვია. მეტწილად ხალხი ჰაერის უკმარისობისგან დაიღუპა. გარდაცვლილთა შორის ბევრი ბავშვი იყო, მათ შორის, პატარა ქალაქ მერკინჩ ინ ფაიფიდან ჩამოსული ხუთი თანაკლასელი.

მერე დაირხა ხმა, თითქოს, ხალხი რომ გადიოდა, ვილაცამ ყასიდად დაიძახა - **კოლინ სტეინმა** ანგარიში გაათანაბრაო და ნაწილმა შემობრუნება სცადა, რასაც მოჰყვა კიდეც ჭყლეტა, მაგრამ ათასი ჯურის გამოძიებამ დაადასტურა, რომ სტეინის ამბავი ტყუილი იყო - ტრაგედია ტრიბუნის კონსტრუქციამ გამოიწვია. ამ ტრაგედიის გამო „აიბროქს პარკზე" ფეხზე სადგომი ადგილები გააუქმეს.

### 7. ლუჟნიკის ტრაგედია
**1982 წლის 20 ოქტომბერი**
**მოსკოვი, რუსეთი. დაიღუპა 66-ზე მეტი ადამიანი**

უეფას თასზე მოსკოვის „სპარტაკი" „ჰაარლემს" ეთამაშებოდა. ვინაიდან ცოტა ბილეთი გაიყიდა, სტადიონის დირექციამ მხოლოდ აღმოსავლეთი ტრიბუნის კარი გააღო. თამაში მთავრდებოდა, „სპარტაკი" 1:0-ს იგებდა. ხალხმა სტადიონიდან წასვლა დაიწყო და ერთადერთ გასასვლელს გაუყვა. ამ დროს, მსაჯის დამატებულ წუთებში **სერგეი შვეცოვმა** (მოგვიანებით ფეხბურთელმა თქვა, ნატავ ის გოლი არ გამეტანაო) მეორე შეაგდო, რის გამოც უკვე გვირაბში გასული ხალხის ნაწილმა უკან შემობრუნება სცადა. გამოვიდა, რომ ერთადერთ გასასვლელში საპირისპიროდ მიმავალი ხალხი ერთმანეთს შეეზილა. და რა ქნა ამ დროს საბჭოთა მილიციამ? ხალხს შემოტრიალებისა და უკან, ტრიბუნაზე აბრუნების უფლება არ მისცა - არ შეიძლება, თუ გადიხართ, გადითო.

დაღუპულთა ოფიციალური რაოდენობაა 66, თუმცა საბჭოურ რიცხვებს, ცხადია, მაშინვე არავინ ენდო. საბჭოთა პროპაგანდამ ერთადერთი ინფორმაცია მომხდარის შესახებ მეორე დღის „ვეჩერნაია მოსკვაში" გაუშვა. იქ, ორი სიტყვით ეწერა, გუშინ ინციდენტი მოხდა და რამდენიმე ადამიანი დაშავდაო...

ცნობისათვის: დამოუკიდებელი საგამოძიებო წყაროების თქმით, ვ.ი. ლენინის სახელობის სტადიონზე ჭყლეტაში დაღუპულთა რიცხვი 340-ს გაუტოლდა.

### 6. პუერტა 12-ის ტრაგედია
**1968 წლის 23 ივნისი**
**ბუენოს აირესი, არგენტინა. დაიღუპა 71-ზე მეტი ადამიანი**

„ესტადიო მონუმენტალზე" „რივერ პლეიტისა" და „ბოკა ხუნიორსის" შეხვედრა მიმდინარეობდა. დაიხოცნენ ყმაწვილები, სულ ცოტა 71 ადამიანი. გარდაცვლილთა საშუალო ასაკი იყო 19 წელი. დასახიჩრდა 150-ზე მეტი. მიზეზი: როგორც ჩანს, ხალხი ვილაცამ შემთხვევით დაკეტილი ჭიშკრისკენ გაგზავნა. წინანი ჭიშკარს მიეჭყლიტნენ, უკანანი კი აწვებოდნენ და აწვებოდნენ, რადგან არ იცოდნენ, რა ხდებოდა იქ.

### 5. გვატემალას ტრაგედია
**1996 წლის 16 ოქტომბერი**
**გვატემალა სიტი, გვატემალა. დაიღუპა 80-ზე მეტი ადამიანი**

ეს გახლდათ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრის დღე, ოთხშაბათი. გვატემალას კოსტა რიკასთან უნდა ეთამაშა. სტადიონი გადავსებული იყო, მაგრამ გარეთ დარჩენილი ათეულობით ათასი უბილეთო არ ეპუებოდა და ტრიბუნებისკენ ცდილობდა გზის გაკაფვას. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ გარეთ დარჩენილები (ყოველ შემთხვევაში მათი დიდი ნაწილი) უბილეთონი სულაც არ იყვნენ, რადგან გამოძიების ერთი ვერსიით იმ დღეს აურაცხელი ყალბი ბილეთი გაიყიდა. საკუთრივ ტრიბუნებზეც 60 ათასი მაყურებელი იჯდა, არადა, „მატეო ფლორესზე" 45 ათასი ეტევა.

### 4. კატმანდუს ტრაგედია
**1998 წლის 12 მარტი**
**კატმანდუ, ნეპალი. დაიღუპა 93 ადამიანი**

ნეპალი-ბანგლადეშის შეხვედრას 30 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. ამ დროს ამოვარდა ქარი, წამოვიდა საშინელი სეტყვა, რომლისგანაც თავის სტადიონზე შეფარება ქუჩაში მიმავალმა ხალხმა სცადა, რასაც ჭყლეტა და მსხვერპლი მოჰყვა. თვითმხილველები ამბობენ, რომ ხალხი სტადიონის რვავე კარიბჭეს მიაწყდა, მაგრამ ღია მხოლოდ ერთი აღმოჩნდა - ისევ, დირექცია სტადიონის კარს არ აღებს!

### 3. ჰილსბოროს ტრაგედია
**1998 წლის 15 აპრილი**
**შეფილდი, ინგლისი. დაიღუპა 96 ადამიანი**

ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი ტრაგედია შეფილდში, ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში დატრიალდა. გარედან ღრიალით მომავალი ლივერპულელი ფანების შიშით ადგილობრივმა პოლიციამ მხოლოდ ერთი ჭიშკარი გააღო. შედეგად, ამ ერთ ჭიშკარში უეცრად შევარდნილმა ადამიანთა ტალღამ შიგნით მყოფი თუ შემოვარდნილი ხალხი საფეხბურთო მოედნის გარშემო აღმართულ დამცავ ღობეს მიასრისა და ჭყლეტა გამოიწვია. გარდაცვლილთა გარდა იყვნენ დასახიჩრებულნიც - 766 ადამიანი.

### 2. განის ტრაგედია
**2001 წლის 9 მაისი**
**აკრა, განა. დაიღუპა 126 ადამიანი**

„აკრა სპორტს სტედიუმზე" განის ჩემპიონატის ლიდერების, „ჰართს ოფ ოუკისა" და „ასანტე კოტოკოს" შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც გულშემატკივართა ერთმა ჯგუფმა ტრიბუნაზე სკამების დამტვრევა დაიწყო. პასუხად პოლიციელებმა ცრემლმდენი გაზი გაუშვეს და გამოიწვიეს არეულობა, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. წარმოიდგინეთ, შეხვედრას 70 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, სტადიონიდან გასასვლელი ჭიშკრები კი დაკეტილი ჰქონდათ, ალბათ, იმ მოტივით, რომ მატჩი დამთავრებული არ იყო.

### 1. ლიმას ეროვნული სტადიონის ტრაგედია
**1964 წლის 24 მაისი**
**ლიმა, პერუ. დაიღუპა 318 ადამიანი**

უბედურება, რომელიც პერუში დატრიალდა, მსოფლიო ფეხბურთის კი არა, მთელი სპორტის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური იყო, მაგრამ მის შესახებ ბევრი რამ ბურუსითაა მოცული. ცნობილია, რომ ოლიმპიადის შესარჩევ შეხვედრაში პერუ არგენტინას მასპინძლობდა. არგენტინამ ანგარიში გახსნა, რამაც სტადიონზე შეკრებილი პერუელები განარისხა. მაგრამ დიდი ამბები მას მერე დატრიალდა, რაც საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს, მსაჯმა კი გოლი არ ჩათვალა. აქ დაიწყო ის, რასაც ჯოჯოხეთი მოჰყვა, მაგრამ კერძოდ რა და როგორ იყო, პერუელებმა ისტორიას არ შემოუნახეს.

მწვრთნელის ბედი

# მივიწყებული მეფე ოლირი

**დევიდ ოლირიმ** განაცხადა, რომ მზადაა ყოველგვარ ამბიციაზე უარი თქვას და მეორე მწვრთნელად იმუშაოს, ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამას „მანჩესტერ იუნაიტედი" ან „არსენალი" შესთავაზებენ. საქმე ის არის, რომ ფეხბურთელობის დროს იტალიის 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილესა და ირლანდიის ნაკრების გმირს, 2006 წლის მერე გუნდი აღარ გაუწვრთნია. ჯერჯერობით, „ასტონ ვილას" ოფისის გამოსასვლელთან დასვა წერტილი, მაგრამ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, უკვე დროა საფეხბურთო სამყაროს თავი შეახსენოს და ამისათვის მეტად თავისებურ სვლას მიმართა: ასე თქვა, სერ **ალექს ფერგიუსონი** ან **არსენ ვენგერი** თავიანთ ასისტენტობას თუ შემომთავაზებენ, დავთანხმდებიო.

*„ორადორი ადამიანი, ვისაც მეორე ნომრად დავუდგები ალექს ფერგიუსონი და არსენ ვენგერი არიან, - ამბობს ოლირი „დეილი მეილის" ფურცლებზე, - მათ წინადადებას მეორე დღესვე დავთანხმდებოდი, თუმცა ამ თემაზე მეტს აღარ ვილაპარაკებ, რადგან შეიძლება ვინმემ პირმოთნეობაში ჩამომართვას. პირმოთნეობა კი ჩემი საქმე ნამდვილად არ არის".*

ახლა, იმის შესახებ, თუ საიდან მოიტანა ოლირიმ ფერგიუსონის მეორე კაცობა. საქმე ის გახლავთ, რომ 2002 წელს სერ ალექსი თანამდებობიდან გადადგომას აპირებდა. მერე ვითარება შეიცვალა და ფერგიუსონი „იუნაიტედის" თავკაცად დარჩა, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, მისი შემცვლელის გამალებული ძიება მიმდინარეობდა და სწორედ იქ ტრიალებდა დევიდ ოლირის სახელი და გვარი. სხვა ამბავია, რომ თავად ოლირის მტკიცებით მას მაშინვე არ სჯეროდა, რომ ინგლისური ფეხბურთის ყველაზე წარმატებული მწვრთნელი მართლა დატოვებდა თანამდებობას.

*„მე თუ მკითხავთ, კაცმა მხოლოდ ორი კლუბის გაწვრთნაზე უნდა იოცნებოს. ეს კლუბები გახლავთ „მანჩესტერ იუნაიტედი" და „არსენალი". ჯორჯ გრემისგან კი დიდი ხანია ვიცი, რომ მისი მეგობარი ალექს ფერგიუსონი სანამ მოედნის კიდესთან არ მოკვდება, არსად წავა. ალბათ, გესმით რასაც ნიშნავს საკუთარი საქმით ასე ალტაცება. მეც საუცხოოდ მახსოვს ის დღე, როდესაც ალექსს „მანჩესტერ იუნაიტედი" დავუმარცხე. მაშინ ალექსმა თქვა, რომ პირველად ნახა გუნდი, რომელიც „ოლდ ტრეფორდზე" ჩავიდა და ათივე კაცი დაცვაში არ დააყენა".*

მოგეხსენებათ, დევიდ ოლირიმ, როგორც მწვრთნელმა, ყველაზე დიდ წარმატებას 1998-2002 წლებში მიაღწია, როდესაც „ლიდს იუნაიტედს" ედგა სათავეში და ამ ახალგაზრდულ გუნდს ბევრი სახელოვანი მეტოქე დაამარცხებინა. თუმცა, ირლანდიელი მწვრთნელი თავისი იმდროინდელი ფეხბურთელებიდან ყველათი აღფრთოვანებული როდია. ასე მაგალითად, მას მიაჩნია, რომ ავსტრალიელ **ჰარი კიუელს** გაზეთები ზედმეტად აქებენ. მეორე მხრივ, ოლირის გაბრაზება გასაგებია, რადგან კიუელი 2008 წელს სტამბოლის „გალათასარაიში" გადავიდა, „გალათასარაისა" და „ლიდს იუნაიტედს" კი მწარედ გადაუკვეთავთ ერთმანეთის გზები. კერძოდ, გეხსომებათ, 2000 წელი, როდესაც ეს ორი გუნდი უეფას თასის ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ სტამბოლში, თამაშის წინ ორი ლიდსელი ქომაგი თურქებმა დანით მოკლეს.

*„კიუელის ამბავი არ გამკვირვებია, - განმარტა თავისი პოზიცია ოლირიმ, - ის გულცივი ადამიანია. თავის დროზე „ლიდსის" თავმჯდომარეს, პიტერ რიდსდეილს ვუთხარი, სანამ ხალხს გაუგია, კიუელი რა კაციცაა, ჯობს გავყიდოთ და ფული გავაკეთოთ-მეთქი. მერე, ჩემმა მეგობარმა, „ლივერპულის" მწვრთნელმა, ჟერარ ულიემ მკითხა მის შესახებ. მე ვუთხარი, რომ მართალია ის ახალგაზრდა ფეხბურთელს ყიდულობს, მაგრამ მისგან ბევრს არ უნდა ელოდეს".*

სამაგიეროდ, ირლანდიელმა ხულიგნობით ცნობილი **ლი ბოიერი** შეაქო: *„თუ რომელიმე მწვრთნელი ლის შესახებ მკითხავს, მხოლოდ კარგს ვეტყვი. ერთხელ, ბოიერმა ვარჯიშზე დაიგვიანა და მიზეზად წარმოუდგენელი რამ მითხრა, ძაღლი ვეტერინართან მყავდაო. შევამოწმე და მართალი გამოდგა".*

შეგახსენებთ, რომ ლი ბოიერს 2000 წელს საქმე სასამართლოში ჰქონდა. მაშინ, მან ბარში აზიელი სტუდენტი გალახა და კინაღამ დაიჭირეს.

დაბოლოს, დევიდ ოლირის გაუხსენეს ავტობიოგრაფიული წიგნი, რომლის გამოც, მაშინ დარხეულ ხმათა თანახმად, ირლანდიელმა სამსახური და მეგობრები დაკარგა.

*„ამ წიგნის დასაწერად თვითონ კლუბმა ამოიყვანა რედაქტორი. რომ ეთქვათ, არ დაწეროო, არ დავწერდი. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, სათაურია: „ლიდს იუნაიტედი სასამართლოს წინაშე". წიგნში ყველაფერი სწორად წერია, მხოლოდ სხვანაირი სათაურის მოფიქრება შეიძლებოდა".*

გვერდები მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



დევიდ ოლირი

ჯენოა



კრისტიან პანუჩის ჯენოაში ელოდებიანო...

# ხარჯა ჯენოასთვის დაიხარჯება

## პრეციოზი გაჩერებას არ აპირებს: შემდეგი პანუჩია?

„ჯენოა“ დღითი დღე ძლიერდება. **დიეგო მილიტოსა** და **ტიაგო მოტას** წასვლის შემდეგ, გუნდმა სოლიდური შევსება მიიღო. თავად განსაჯეთ, მომავალი სეზონიდან „როსობლუში“ იასპარეზებენ: **ერნან კრესპო** „ინტერიდან“, **ბოშკო იანკოვიჩი** „პალერმოდან“, **ნენად ტომოვიჩი** „ცრვენა ზვეზდადან“, **სერჯო ფლოკარი** „ატალანტადან“ და **რობერტ აკვაფრესკა** „კალიარიდან“.

გუშინ, ამ ფეხბურთელებს „სიენას“ უკვე ყოფილი ნახევარმცველი **ჰუსეინ ხარჯა** დაემატა. მაროკოელ ფეხბურთელში „ჯენოას“ მესვეურებმა 3.5 მილიონი ევრო გადაიხადეს და შემდგარი გარიგებით, დიდი კმაყოფილება გამოხატეს. ხარჯა „სიენას“ ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ და მისი წასვლა ტოსკანელებს ძალიან დაეტყობათ. ხელშეკრულება ალბათ უახლოეს დღეებში გაფორმდება, თუმცა კონტრაქტის დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც შესაძლოა **ენრიკო პრეციოზიმ** უახლოეს პერიოდში „ჯენოას“ დაამატოს, **კრისტიან პანუჩი** გახლავთ. 36 წლის უკანახაზელი ამჟამად თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს, ფაქტობრივად, უკლუბოდ არის და საითაც გული გაუწევს, იქ განაგრძობს კარიერას. კრისტიანის პირადმა აგენტმა **ოსკარ დამიანიმ** ჟურნალისტთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

„პანუჩის რამდენიმე შეთავაზება აქვს, მათ შორის უცხოური კლუბებიდანაც. თუმცა, მას იტალიაში სურს დარჩენა და არჩევანს ალბათ სერია A-ს რომელიმე გუნდზე შეაჩერებს. საკმაოდ საინტერესო წინადადებას გვთავაზობს „პარმა“, მაგრამ ჩემს კლიენტს „ჯენოასკენ“ მიუწევს გული. როგორც იცით, კრისტიანი გენუელია და ბავშვობიდან „ჯენოას“ ტიფოზი გახლდათ. კარიერა სწორედ ამ გუნდში დაიწყო და რა გასაკვირია, რომ გენუელთა შეთავაზებამ განსაკუთრებულად გაახარა“.

როგორც ჩანს, პანუჩის „ჯენოაში“ ჩარიცხვა დროის ამბავია. აქვე, გეტყვით, რომ კრისტიანმა „როსობლუში“ სადებიუტო, 1992/93 წლებში იასპარეზა.

**ლაშა ნიკლაური**

პორტრეტი

# შავ-ლურჯი მალდინი

## დავიდე სანტონი იტალიური ფეხბურთის იმედია

**იტალიის** ნაკრების მთავარ მწვრთნელ მარჩელო ლიპის კონფედერაციათა თასზე ერთი 18 წლის ბიჭი ჰყავდა წაყვანილი - მილანის „ინტერის“ მარჯვენა მცველი დავიდე სანტონი. თუმცა ამ უკანასკნელს ტურნირზე არ უთამაშია. მიუხედავად ამისა, იტალიაში ეჭვი არავის ეპარება, რომ სანტონს დიდი მომავალი აქვს. გასული სეზონის მიწურულს 18 წლის მცველი ჟოზე მოურინიოს ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი გახდა და რეგულარულად თამაშობდა იტალიის მოქმედი ჩემპიონების ძირითად შემადგენლობაში...

### უკვე სკუადრაში...

მსოფლიოს 1982 წლის ფინალში, გერმანიის ნაკრების კარში გატანილი გოლის შემდეგ, ექსცენტრიკულად მოზეიმე, გადარეული **მარკო ტარდელი** ყველას გვახსოვს. მაშინ იტალიას ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავდა და იმ მუნდიალზე „სკუადრა აძურამ“ მესამედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა. იმ გუნდში თამაშობდა 18 წლის **ჯუზეპე ბერგომი**, რომელიც მოგვიანებით „ინტერის“ კაპიტანი და იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი ლეგენდა გახდა. დღეს, ანუ, 27 წლის შემდეგ, იტალიის ნაკრებში „ინტერის“ კიდევ ერთი 18 წლის მცველი გამოჩნდა, რომელსაც იტალიაში შესანიშნავ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ეს არის **დავიდე სანტონი**.

*„ადრეც ვთქვი, რომ ეს ფეხბურთელი გამონაკლისი შემთხვევაა. ეროვნულ ნაკრებში შემთხვევით არ გამომიძახია, მას დიდი ხანია ვაკვირდები და ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩემი მოლოდინი გამართლდა. სანტონი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია,“* - ეს სიტყვები თვით მარჩელო ლიპის ეკუთვნის და ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში კომენტარი ზედმეტია.

„აძურას“ თავკაცმა სანტონს მაისის მიწურულს მისცა იმის საშუალება, რომ იტალიის ნაკრებში დებიუტი ჰქონოდა, მერე კი კონფედერაციათა თასზეც გამოიძახა, სადაც არ ათამაშა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლიპიმ სანტონზე ხელი ჩაიქნია. პირიქით!

### ახალი ფაკეტი, ძანეტი ან მალდინი

*„პირადაც ჩემთვის ეს ყველაფერი დაუჯერებელია. ერთი წლის წინ ჯერ კიდევ „ინტერის“ ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი, ახლა კი უკვე იტალიის ნაკრების ფორმაც მომარგეს. გარდა ამისა, ვითამაშე ჩემპიონთა ლიგაშიც და თანაც, კრისტიანო რონალდოს წინააღმდეგ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩემი ცხოვრება ლამაზ ზღაპარს დაემსგავსა,“* - ამბობს ნიჭიერი მარჯვენა მცველი, რომელსაც „ინტერში“ დებიუტი წლის დასაწყისში ჰქონდა.

სანტონი დღეს უკვე სიამოვნებით ამხელს ერთ საიდუმლოს: *„ერთხელაც, ჩემთვის ძალიან მოულოდნელად, ჩემთან ჟოზე მოურინიო მოვიდა და პირდაპირ მითხრა, ზეგ „ინტერის“ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებ, მაგრამ ეს ჯერ არავის უთხრა, მშობლებსაც ნუ ეტყვიო.“* და მოურინიომ სანტონი იტალიის თასის მატჩში, „რომას“ წინააღმდეგ სასტარტოში გაამწესა.

*„სანტონი ფენომენალური ფეხბურთელია. „რომასთან“ მატჩის შემდეგ ჩემთვის უკვე ცხადი იყო, რომ თავისუფლად შემეძლო, დავიდე ნებისმიერი მნიშვნელობის შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში გამეძნესებინა და მისთვის ნდობა გამომეცხადებინა. სწორედ ამიტომ ვათამაშე ჩემპიონთა ლიგაშიც,* - ეს კი მოურინიოს სიტყვებია, რომელიც იქვე დასძენს - *დარწმუნებული ვარ, რომ 10-15 წელიწადში მას „ინტერის“ ფორმით 200-300 მატჩი ექნება ჩატარებული და ახალ ფაკეტის, ძანეტის ან მალდინის დაარქმევენ.“*

### 18 წლისაა და უკვე კაცია!

თანაგუნდელ და თანატოლ **მარიო ბალოტელისგან** განსხვავებით, სანტონი მოურინიოს ერთ-ერთი უსაყვარლესი შეგირდია. ჟოზე დავიდეს „ბამბინოს“ ეძახის, რაც ქართულად ასე ითარგმნება: ბიჭუნა. სანტონი კი პორტუგალიელ მწვრთნელს ძლიერ ემადლიერება: *„ჯერ ფაქტობრივად არაფრისთვის მიმიღწევია, მაგრამ რასაც მივაღწიე, ყველაფერი მოურინიოს დამსახურებაა. ეს არის პირველი მწვრთნელი, რომელიც სერიოზულად მენდო და დიდი ფეხბურთისკენ გზა გამიხსნა,“* - აცხადებს სანტონი.

მოურინიო მას თავიდან **მაიკონის** შემცვლელად მოიაზრებდა, მერე კი, როდესაც **მაქსველს** კრიზისი დაეწყო, ჟოზემ ის მის ნაცვლად ათამაშა და სანტონმა მარცხენა მცველის პოზიციაზეც შესანიშნავად იასპარეზა. რაც ყველაზე მთავარია, 18 წლის ფეხბურთელს შესაშური სიმშვიდე და სიმსუბუქე ახასიათებს არა მარტო მოედანზე, არამედ მინდორს მიღმაც.

*„როდესაც 18 წლის ბიჭი უკვე ჩამოყალიბებული კაცია, ასეთ დროს მწვრთნელს მასთან მუშაობა ძალიან უადვილდება. ჩემთვის ძალიან მარტივია ის, რომ სანტონს ნდობა გამოვუცხადო. გარდა ამისა, დავიდე მოედანს მიღმა აბსოლუტურად შეუმჩნეველი ტიპია, სამაგიეროდ, მინდორზე თავდადებული და შესანიშნავია,“* - ამბობს მოურინიო.

...და „ინტერის“ ექსცენტრიკული დამრიგებელი ერთადერთი არ არის, ვისაც ასეთი მოსაზრება აქვს. ბოლო თვეების განმავლობაში სანტონს ფაქტობრივად ყველა იტალიელი ექსპერტი აქებდა. ექსთანაგუნდელი **ლუიშ ფიგუ** კი დავიდეზე ამბობს, ეს არის ძალიან ბეჯითი ბიჭი, რომელსაც უნდა, რომ ძალიან ბევრი რამ ისწავლოსო. იტალიის ნაკრების კაპიტან **ფაბიო კანავაროს** თქმით, სანტონი დღესვეა ჩამოყალიბებული, მაღალი დონის მცველი. იტალიური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **პაოლო მალდინი** კი, კითხვაზე, ვინ იქნება მისი შემცვლელი, უკვე ასე პასუხობს: *„ალბათ დავიდე სანტონი, რომელიც ძალიან მომწონს. ის უკვე პიროვნებაა!“*

მალდინი და პიროვნება - ჩვენი იტალიელი კოლეგები ამ ორ სიტყვას სანტონის დასახასიათებლად ყველაზე ხშირად იყენებენ. *„იმედი მაქვს, რომ „ინტერის“ მალდინი გავხდები. მალდინისთან გაიგივება ჩემთვის უდიდესი პატივია. პაოლო იყო, არის და იქნება ჩემთვის ნომერ პირველი მისაბაძი მაგალითი. მაგრამ მე იმ შემთხვევაშიც მადლობელი და ბედნიერი ვიქნები, თუ იმის ნახევარს მაინც შევძლებ, რაც პაოლომ მოახერხა,* - ამბობს დავიდე, - *როდესაც მილანური დერბის შემდეგ მალდინიმ თავისი მაისურა გასახდელში შემომიტანა, მუხლები ამიკანკალდა და ძალიან ავღელდი“.*



დავიდე სანტონი

სანტონი 10 წლის იყო, როცა „ინტერში“ მივიდა, 14 წლის გახლდათ, როცა „ნერაძურის“ ბავშვთა გუნდში თამაშობდა და 15 წლის იყო, როცა „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ჩელსის“ სკაუტებმა დაადგეს თვალი. დღეს ის უკვე ყველას აოცებს იმით, რომ 18 წლისაა და ჩამოყალიბებული პიროვნებაა. მაგალითად, როცა **ზლატან იბრაჰიმოვიჩზე** ჰკითხეს, დავიდემ პირდაპირ თქვა: *„ზლატანი გენიალური ფეხბურთელია და მისი დარი ფორვარდი იშვიათად მინახავს. ძალიან მინდა, რომ „ინტერში“ დარჩეს, მაგრამ თუ დარჩენის სურვილი არ აქვს, უმჯობესი იქნება, წავიდეს,“* - თვითონ დავიდეს კი უნდა, რომ მთელი კარიერა „ინტერს“ „შეწიროს“ და ამ გუნდის ლეგენდა გახდეს.

*„ლიპიმ მითხრა, იტალიის ნაკრებში მოხვედრა ძალიან ძნელია, მაგრამ იქ ადგილის შენარჩუნება კიდევ უფრო რთულიაო. ახლა განმტკიცება სჭირდება ყველაფერ იმას, რაც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მოვიპოვე. ყოველდღიური პროგრესი უნდა განვიცადო, თავდაუზოგავად უნდა ვიშრომო,“* - ამბობს სანტონი. ფაქტია, რომ მას ყველა წინა პირობა აქვს შექმნილი იმისათვის, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს და რომ ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული.

დავიდე სანტონს „ინტერში“ კიდევ ერთი უდიდესი ქომაგი ჰყავს - 2006 წლის მუნდიალის ერთ-ერთი გმირი **მარკო მატერაცი**, რომელსაც დავიდესთვის უთქვამს, გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ არ ითამაშო, აივნიდან ჩემი ხელით გადაგაგდებო...

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ლუსიო ქოზესთან?

## ინტერი ბაიერნს ბურდისოს და ფულს სთავაზობსო

**ცნობილია**, რომ მილანის „ინტერი“ მომავალი სეზონისთვის ერთ მაღალი კლასის ცენტრალურ მცველს ეძებს. **ჟოზე მოურინიოს** ძალიან სურდა **რიკარდო კარვალიოს** გადაბირება, მაგრამ როგორც ალმოჩნდა, ეს უკანასკნელი ძალიან ძვირი ღირს. სწორედ ამიტომ, იტალიური გამოცემა „ტუტოსპორტის“ ცნობით, „ინტერის“ ხელმძღვანელებმა მიზანი „ბაიერნის“ დაცვის ბურჯისა და ბრაზილიის ნაკრების კაპიტან **ლუსიოსკენ** მიმართეს.

როგორც იცით, ბრაზილიელი მცველი უკმაყოფილოა იმით, რომ „ბაიერნის“ ახალი დამრიგებელი **ლუის ვან გაალი** მას ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას არ აძლევს და რეკორდმაისტერიდან აბარგებაზე ფიქრობს. ვან გაალს სურს, რომ დაცვის ცენტრში ერთი ცაცია ფეხბურთელი ჰყავდეს (და ეს ალბათ ახალწვეული **ედსონ ბრააფჰაიდი** იქნება). გამოდის, რომ ლუსიო **მარტინ დემიკელისთან**, **დანიელ ვან ბუიტენთან** და **ბრენოსთან** ერთად, ერთი ადგილისთვის იბრძვის. „ტუტოსპორტის“ ცნობით, „ინტერმა“ „ბაიერნს“ გარკვეულ თანხასთან ერთად, **ნიკოლას ბურდისოც** შესთავაზა.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### რაუმ კარიერა დაამთავრა!

**ტობიას რაუ** ჯერ კიდევ ახლო წარსულში გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნეოდა - „ბაიერნში“ თამაშობდა და გერმანიის ნაკრებშიც იძახებდნენ. დღეს პოზიციით მარცხენა მცველი 27 წლისაა და მოულოდნელად, კარიერას ამთავრებს. მიზეზი, რის გამოც ბილეფელდის „არმინიას“ ფეხბურთელი ბუცებს ლურსმანზე ჰკიდებს, არის ის, რომ პედაგოგობა სურს და უკვე ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში. რაუს არაერთი წინადადება ჰქონდა როგორც მეორე ბუნდესლიგის კლუბებიდან, ისე სხვა ქვეყნებიდანაც, მაგრამ ყველა მსურველი უარით გაისტუმრა. ტობიას რაუ მიუნხენის „ბაიერნში“ 2003-დან 2005 წლამდე თამაშობდა. გერმანიის ეროვნულ ნაკრებში მას შვიდი მატჩი აქვს ჩატარებული.

### მარინმა ათიანი მიიღო

**ბრემენის** „ვერდერში“ **დიეგო მარკო მარინმა** უნდა შეცვალოს. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მიონხენგლადბახის „ბორუსიადან“ შეძენილმა ფლეიმეიქერმა ბრემენულ კლუბში მეათე ნომერი მიიღო. აღსანიშნავია, რომ ათიანი **მესუთ იოზილსაც** სურდა, მაგრამ ვერ მიიღო, თუმცა ამბობს მარინის ნამდვილად არ მშურსო.

**გოტფრიდ ლენცი**

ჭიდაობა

პრესკონფერენცია

# მუტრუკებმა FILA-ც შეაწუხეს

გუშინ ჭიდაობის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც კვირას დამთავრებულ ევროპის ახალგაზრდულ პირველობას დაეთმო. მას ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ **კახა გეწაძის** გარდა, საერთაშორისო ფედერაციის ინსტრუქტორები, ამ ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, შვეიცარიელი **მარიანა ნობსი** და უზბეკი **კონსტანტინ მიხაილოვი**, საქართველოს ახალგაზრდული გუნდების თავკაცები - **ნუგზარ სხირელი, ვლადიმერ ადეიშვილი** და ევროპის ჩემპიონატის ქართველი მედალოსნები ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ კონტინენტის პირველობაზე ორივე ნაკრებმა ჯამში 10 მედალი მოიპოვა - „თავისუფლებმა" - 6, ბერძენ-რომაელებმა - 4.

პრესკონფერენცია გეწაძემ გახსნა, რომელმაც მასპინძელთა მიერ მოპოვებული 10 მედალი წარმატებულად შეაფასა. პრეზიდენტი უფრო კმაყოფილი ჩემპიონატის მაღალორგანიზებულად ჩატარებით გახლდათ. საორგანიზაციო საკითხებში წარმატება შედეგზე მართლაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან დიდწილად განსაზღვრავს სამომავლოდ პირველხარისხოვანი ტურნირების მასპინძლობის საკითხს, საჭიდაო ოჯახში ჩვენს ინტეგრაციას... „საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები კმაყოფილები დარჩნენ. საორგანიზაციო საკითხებს ასე სრულყოფილად ისეთი ქვეყნებიც ვერ აგვარებენ, რომლებიც მსგავს პირველობებს ხშირად ატარებენ. ეს საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებმაც აღნიშნეს. უცხოეთში მეც ბევრ ტურნირს დავსწრებივარ, უფრო მაღალი რანგისასაც, სადაც ბევრი ხარვეზი ყოფილა. ამდენი სტუმარი არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს, რაც იმითაა გამოწვეული, რომ საქართველოს ჭიდაობის სამშობლოდ იცნობენ და ჩვენი სახელოვანი ფალავნების ქვეყანაში ჩამოსვლა ყველას უნდოდა" - განაცხადა გეწაძემ.

მარიანა ნობსი: „პირველობა ძალიან კარგად იყო ორგანიზებული. აეროპორტში დახვედრიდან დაწყებული, გაცილებით დამთავრებული, ყველაფერი ორგანიზებულად ხდებოდა, ყოველგვარი დაგვიანებისა და შეფერხებების გარეშე.

ჩემპიონატი სანახაობრივადაც ძალიან კარგი გამოდგა. ადრე ვფიქრობდით, რომ ახალგაზრდული ტურნირები არ იყო მიმზიდველი, მაგრამ ამ შეჯიბრებამ საპირისპირო სურათი დაგვანახვა. პრაქტიკულად, ის მხოლოდ ერთი ნაბიჯით ჩამორჩებოდა უფროსებში ევროპის პირველობას. ვულოცავ თქვენს ფედერაციას, მთელ საქართველოს ამდენ მედალს. ამ ჩემპიონატზე ისიც კარგი იყო, რომ მედლები ბევრმა ქვეყანამ მოიპოვა და არა გუნდების მცირე რაოდენობამ".

ჩემპიონატი მიხაილოვმაც დადებითად შეაფასა. მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში მონაწილეობდა. საგანგებოდ გამოყო გახსნის ცერემონიალი, რომელიც მართლაც რომ ორიგინალური, ეფექტური და შთამბეჭდავი იყო.

სიტყვა ჩვენი გუნდების დამრიგებლებს მიეცათ. პირველად სხირელმა ილაპარაკა, მაგრამ ტურნირზე ნანერვიულებს, გასაგებია, ხმა ჩახლეჩილი ჰქონდა და მცირე კომენტარით შემოიფარგლა: „ჩემი გუნდის გამოსვლას დადებითად შევაფასებ, თუმცა ცოტა კი მეშინოდა ამ ტურნირისა. მასპინძლები ვიყავით, რაც დამატებით პასუხისმგებლობას გვაკისრებდა და ამიტომ ვნერვიულობდი. სხვათა შორის, შედეგი კი კარგია, მაგრამ შარშან ევროპის ჩემპიონატზე სამი ოქრო მოვიპოვეთ, ახლა - ორი. დიდ მადლობას ვუხდი ფედერაციას, რომელმაც ყველა პირობა შეგვიქმნა კარგად მომზადებისთვის. აგრეთვე, მწვრთნელებს, რომლებიც მუშაობაში მეხმარებოდნენ".

თავისი გუნდის გამოსვლა ადეიშვილმაც დადებითად შეაფასა, თუმცა აღნიშნა, რომ უკეთესი შედეგის მიღწევაში ხელი უიღბლობამ შეუშალა და ყველაზე მეტად **არსენ კახაბრიშვილის** (84) ტრავმამ გააწბილა. „ტრავმა რომ არა, ალბათ, ის ჩემპიონიც გახდებოდა. მეორე შეხვედრაში მან ახალგაზრდებში ევროპის მოქმედი ჩემპიონი, რუმინელი რობერტ ალექსანდრუ პაპი დაამარცხა, ახლანდელ ფინალისტებს კი სულ ცოტა ხნის წინათ საერთაშორისო ტურნირებზე დიდი ანგარიშით მოუგო. ტრავმა რომ არა, ჩემპიონიც გახდებოდა, ამ შემთხვევაში კი გუნდურ პირველობაში რუსებსაც ვაჯობებდით. პირველ დღეს მსაჯებმა ხარაბაძეც დაჩაგრეს და გუნდმა დაგეგმილი შედეგი ვერ აჩვენა. სამაგიეროდ, მეორე დღეს ბიჭებმა მოსალოდნელზე ბევრად უკეთ იჭიდავეს. მეც მინდა, მადლობა გადავუხადო ფედერაციას, ნაკრებისა თუ პირად მწვრთნელებს, რომელთა დამსახურებაც გუნდის მომზადებაში დიდია".

პრესკონფერენციაზე მაყურებელთა შესახებაც ითქვა. გეწაძემ კიდევ ერთხელ ახსნა ის მიზეზები, რის გამოც დასწრება უფასო იყო - ამით გვინდოდა, მომავალ თაობაში ჭიდაობისადმი ინტერესი გაგვეღვივებინაო. ის იქვე იმაშიც გამოტყდა, მაინც ვნერვიულობდი, ვაითუ მაყურებელი არ მოვიდეს და ხალხის ორგანიზებულად მოსაყვანად თადარიგიც დავიჭირეო, მაგრამ ტურნირის მიმდინარეობისას დავრწმუნდი, ამის გაკეთება არ დამჭირდებოდაო. მისი თქმით, ახალგაზრდული ტურნირის კვალობაზე, მაყურებელი ძალიან ბევრი იყო, რადგან უცხოეთში ამხელა ინტერესი არაა. არსებითად, იგივე გაიმეორა მიხაილოვმაც, რომელმაც ბალავაძე-კარტოზიას ტურნირებიც გაიხსენა და ქართველი მაყურებელი ობიექტურობის და აქტიურობისთვის შეაქო.

ჟურნალისტები გადაზრდილთა თემითაც დაინტერესდნენ და იმითაც, როგორ ებრძვის საერთაშორისო ფედერაცია ამ პრობლემას. კითხვაზე მიხაილოვმა უპასუხა, რომელმაც პრობლემის წყაროდ რუსეთი დაასახელა. მიხაილოვმა განმარტა, რომ ეს პრობლემა FILA-საც აწუხებს, მაგრამ მასთან ბრძოლა ძალიან ძნელია. მაგალითად, იმავე რუსეთში ჭირს, გაარკვიო, შორეულ აულებში ვინ როდის დაიბადა, ვინ როდის აიღო პასპორტი ან - ვის სახელზე, რადგან, მაგალითად, დაღესტანში რამდენიმე ათასი მაგომედოვი ცხოვრობს... ჩვენ ხომ ზუსტად არ ვიცით, ადგილებზე რა ხდებაო, თქვა მან და დასძინა, რომ FILA-მ მოჭიდავეთა პასპორტიზაცია დაიწყო - მათი მონაცემები კომპიუტერში შედის, რაც გაყალბებას გამორიცხავს. გეწაძემ დაამატა, ვინც უკვე მოასწრო პასპორტის გამოცვლა, იმათ, ალბათ, ველარ გამოავლენენ, მაგრამ ახლები ვერ გადაიკეთებენო.

ეს ყველაფერი კარგი - პასპორტიზაცია წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ფაქტია, ეს დროში გაწელილი პროცესია და თან, უკვე გადაზრდილების გამოსავლენად არაეფექტურია. მიხაილოვის მკაცრი ტონის მიუხედავად, ისიც ცხადია, რომ ამგვარი რამ ძალზე ფეხმოკიდებულია არამარტო რუსეთში, არამედ მის მშობლიურ უზბეკეთშიც. აზერბაიჯანი, თურქეთი და კიდევ რამდენიმე ქვეყანა კი ამგვარი მაქინაციებით ცნობილია. პრობლემა იმდენად მასშტაბური ხდება, რომ აფრიკელი, აზიის არაბული ნაწილის თუ პოსტსაბჭოელი ემიგრანტების ხარჯზე თვით დასავლეთ ევროპაში - საფრანგეთის, გერმანიის, ესპანეთისა და ბრიტანეთის დარ ქვეყნებშიც შეაღწია - იქ უკვე გადაკეთებული პასპორტებით ჩადიან. არადა, დღეს დნმ-ს ანალიზით ასაკის დადგენა შესაძლებელია, თუმცა ეს ძალზე ძვირად ღირებული პროცესია. უბრალოდ, თუ FILA საამისოდ თანხებს გაიღებს და რამდენიმე ტურნირში ანალოგიური შემოწმების პრეცედენტს დაუშვებს, ვფიქრობ, გამყალბებლები ცოტას მაინც გაფრთხილდებიან. საეჭვოთა ვინაობა სახეზე შეხედვით, ვიზუალურადაც შეიძლება და ამ ანალიზით მათი გამოვლენა სულაც არ იქნება ძნელი. თავის მართლებად ნამდვილად არ გამოდგება ის, რომ საერთაშორისო ფედერაციამ არ იცის, რა ხდება რომელიმე ქალაქსა თუ სოფელში - ეგრე არც ის იციან, დოპინგს ვინ იღებს და ვინ - არა, მაგრამ ანტიდოპინგური სააგენტო მაინც ამოწმებს.



ბარემ აქვე ვთქვათ, რომ კითხვაში დასმულ რუსეთის ნაკრების წევრში 55-ში „თავისუფალთა" ჩემპიონი **გაჯი საიპუდინოვი** იგულისხმება - რუსულ ინტერნეტფორუმებზე იქაურებიც კი წერენ, რომ ის გადაზრდილია და 20-წელს კარგა გვარიანადაა გადაცილებული.

გადაზრდილთა თემა გუშინდელ პრესკონფერენციაზე მეტად აქტუალური გახდა. სხირელმა მარიანა ნობსთან დაკავშირებული ერთი საინტერესო ეპიზოდიც ახსენა. თურმე ის მძიმეწონოსანთა ფინალისას ტრიბუნაზე სახელოვანი **ივან იარიგინის** მეუღლის, FILA-ს ბიუროს წევრ **ნატალია იარიგინასთან** იჯდა. რუსი **ალან ხუგაევისა** და საკანდელიძის ხალიჩაზე გამოსვლისას იარიგინას უკითხავს, რა ხდება, მამა-შვილი ჭიდაობენო!

შეხვედრის დასასრულს გეწაძემ სამომავლო პერსპექტივებზეც ილაპარაკა და აღნიშნა, რომ საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია FILA-ში აუცილებლად წარადგენს განაცხადს რომელიმე დიდი ტურნირის მასპინძლობაზე. საკითხი ჯერ კარგადაა განსახილველი, ვინაიდან FILA-ში მსურველთა რიგები უკვე დგას, და კონკრეტულ ტურნირსაც მერე ამოარჩევენ. ამ ეტაპზე ვარაუდობენ, რომ ან დიდების ევროპის ჩემპიონატზე შეიტანენ განაცხადა, ან - ახალგაზრდების მსოფლიოზე, მაგრამ გეწაძე არც იმას გამორიცხავს, პირდაპირ უფროსების მსოფლიო ჩემპიონატი მოითხოვონ. ეს დეტალებიი მოგვიანებით გაირკვევა, ახლა კი იმის თქმა შეიძლება, რომ 2011 წლამდე (ესეც საუკეთესო შემთხვევაში) ვერც ერთ ასეთ ტურნირს ვერ ვუმასპინძლებთ - მანამდელი კალენდარი FILA-ში უკვე დამტკიცებულია.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი



# ეპიცენტრმა ზღვისპირეთისკენ გადაინაცვლა

ამას წინათ თბილისმა მოჭადრაკეთა ორ დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა სოლიდური საპრიზო ფონდით. ამჯერად ეპიცენტრი ზღვისპირეთისკენ გადაინაცვლებს და ყურადღებას საქართველოს საზღვაო კარიბჭე მიიპყრობს: მოზარდებისთვის 8 ივლისიდან ფოთში **ნანა ალექსანდრიას** სახელობის მეოთხე საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი დაიწყება.

სახელოვან ქართველ დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას დიდი წვლილი მიუძღვის ბრძენთა თამაშის განვითარებაში, რასაც წლების განმავლობაში მის მიერ მოპოვებული ტიტულებიც მოწმობს. საჭადრაკო ოლიმპიადების 6-გზის გამარჯვებულმა და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელმა საზონათაშორისო ტურნირებში ორჯერ მიაღწია წარმატებას. ამდენჯერვე ითამაშა მატჩები დაფნის გვირგვინისთვის და ორჯერვე ვერცხლის მედალს დასჯერდა. 1981 წელს მაია ჩიბურდანიძესთან შეხვედრა ფრედ (8:8) დაამთავრა, რაც ქალთა ჭადრაკის ისტორიაში ერთადერთი შემთხვევაა.

ნანა ალექსანდრია 1992, 1994 და 1996 წლებში საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებული საქართველოს ქალთა ნაკრების კაპიტანი გახლდათ. ფიდეს ცენტრალური კომიტეტის წევრი 1986-2002 წლებში ქალთა კომიტეტს თავმჯდომარეობდა, 1989-1991 წლებში კი საერთაშორისო დიდოსტატთა ასოციაციის ქალთა საბჭოს ხელმძღვანელობდა. ყოველივე ზემოაღნიშნული მცირედი ჩამონათვალია იმ წარმატებისა, რომლისთვისაც ქალბატონ ნანას მიუღწევია. ამჟამად საჭადრაკო კლუბ ნტნ-ის პრეზიდენტია, რომლის ქალთა გუნდმაც 2004-2005 წლებში ევროპის საკლუბო თასი დაიმსახურა.

საამაყო მამულიშვილის ღვაწლის დაფასების დასტურია ის საერთაშორისო ტურნირი, მის მშობლიურ ქალაქ ფოთში ადგილობრივი თვითმმართველობის, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და ნანა ალექსანდრიას სახელობის ფოთის საჭადრაკო სკოლის ინიციატივით და ორგანიზებით რომ გაიმართება. ფესტივალში 8, 10, 12 და 16 წლის გოგონები და ვაჟები იასპარეზებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (შარშან მასპინძლებთან ერთად რუსებმა, უკრაინელებმა, ესტონელებმა, ჰოლანდიელებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა ითამაშეს). ტურნირის საპრიზო ფონდია 15 ათასი ლარი. დაჯილდოვდებიან თითოეულ ასაკში პირველ-მეხუთე ადგილებზე გასული გოგონები და ვაჟები. მაგალითად, პირველადგილოსნებისთვის საპრიზო თანხა, ასაკის გათვალისწინებით, 350-დან 750 ლარამდე მერყეობს. ფულად ჯილდოებს პირველ ხუთეულში მოხვედრილ მოჭადრაკეთა მწვრთნელებიც მიიღებენ; შეჯიბრება გაიმართება შვეიცარიული სისტემით 9 ტურად. თითოეულ მეტოქეს პარტიის ბოლომდე მიეცემა 90 წუთი ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. ასე რომ, ფოთი ორიოდე დღეში საინტერესო ორთაბრძოლების ასპარეზად იქცევა.

**ვაჟა დანელია**

# ქართული კვარტეტი ბარბერაში

ესპანეთის ქალაქ ბარბერაში სტარტი აიღო XXXII საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირმა. მონაწილენი რეიტინგის მიხედვით სამ სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობენ, A-ში, B-სა და C-ში. პირველი ყველაზე პრესტიჟულია, სადაც ქართველთაგან მონაწილეობენ: **ლევან ბრეგაძე** (2426 სარეიტინგო ქულა), საერთაშორისო ოსტატი **ანა მათნაძე** (2413), ქალთა შორის დიდოსტატი **სოფიკო გურამიშვილი** (2339) და **ზურაბ ჯავახაძე** (2309). ორი ტურის შემდეგ ბარბერას ტურნირში 8 მოჭადრაკეს აქვს 2 ქულა და მათ შორის 16 წლის ზურაბ ჯავახაძეცაა, რომელიც თეთრი ფიგურებით პოლონელ **დომინიკ ორჟეჩს** ხვდება. ანა მათნაძის (1,5 ქულა) მეტოქე ტურნირის პირველი დაფა, უნგრელი დიდოსტატი **საბა ბალოგია** (1,5 ქულა). ანაც თეთრი ფიგურებით თამაშობს და სოფიკო გურამიშვილიც (1,5 ქულა) ვისი მეტოქეც კოლუმბიელი დიდოსტატი **ხაიმე გუსტასია** (1,5 ქულა). ლევან ბრეგვაძე (1 ქულა) ირანელ **ანირუდჰა დეშპანდეს** (1 ქულა) შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი

# მსოფლიოს ჩემპიონატიდან დიდ სლემზე

ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი პლაჟბურთში, სადაც ჩვენმა ვაჟთა წყვილმა **გეორ-გიამ** წარუმატებლად ითამაშა, ხოლო **საქა-რთველომ** მე-9 ადგილი გაიყო რამდენიმე გუნდთან ერთად. ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონები ამერიკელები **ჯენ კეისი** და **ეიპრილ როუზი** გახდნენ. ფინალში მათ ბრაზილიელებს, **ჯულიანას** და **ლარისას** მოუგეს - 30:28, 23:21. გამარჯვებულებმა 60 ათასი ამერიკული დოლარი მიიღეს. საქას და რთველოს მონაგარი კი 11 ათასი ამერიკული დოლარი და 400 სარეიტინგო ქულაა, რაც ძალიან კარგი შედეგია. ვაჟებში გერმანელებმა იპირველეს, **იულიუს ბრინკმა** და **იონას რეკერმანმა**. ფინალში მათ ამერიკელები (**ტოდ როჯერსი, ფილ დოლჰაუზერი**) დაჯაბნეს - 21:17, 16:21, 15:10. ჯგუფში ჩარჩენილი გეორ-გია სულ რაღაც 3,4 ათასი დოლარით და 40 სარეიტინგო ქულით დაკმაყოფილდა.



მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა, მაგრამ პლაჟბურთელთა სეზონი გრძელდება, ახლა მსოფლიოს ტურის დროა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს შვეიცარიული გშტაადი მასპინძლობს. გშტაადის დიდ სლემზე ჩვენებურებიც ასპარეზობენ. ტურნირის საპრიზო ფონდი 600 ათასი ამერიკული დოლარია. საქა-რთველოს სულ ცოტა დააკლდა რეიტინგში, რომ ძირითად ბადეში მოხვედრილიყო. ჩვენი წყვილი საკვალიფიკაციო ბადეში მეორე ნომრადაა განთესილი. საკვალიფიკაციო ბადეში იქნება გეორ-გიაც, ეს დუეტი იქ მე-7 ნომრადაა განთესილი. გშტაადის დიდი სლემი დღეს იწყება. მსოფლიო ტურის რეიტინგ-ლისტში საქა-რთველო 600 ქულით მე-15 ადგილზეა. გეორ-გია კი 660 ქულით სულაც საუკეთესო ათეულშია (მე-10 ადგილი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ქართული სპორტი

## კალათბურთი

### საქართველოს ნაკრები. შემადგენლობა

# ფორვ-მარდები

შაბათის ნომერში საქართველოს ნაკრების უკანახაზელებზე მოგიყევით და დაგპირდით, რომ ამ კვირაში ფორვარდებზე გესაუბრებოდით.

ეროვნული გუნდის თავკაცმა **იგორ კოკოშკოვმა** ნაკრებში ექვს ფორვარდს უხმო: **ნიკა ცქიტიშვილს, ვლადიმერ ბოისას, ვიქტორ სანიკიძეს, თორნიკე შენგელიას, ლევან შენგელიას** და **მიხეილ ბერიშვილს.**

ისევე როგორც უკანა ხაზში, ფორვარდებშიც სერიოზული კონკურენციაა. წინასწარ ძნელი სათქმელია, ზემო ჩამოთვლილთაგან რომელი მოხვდება ძირითად ხუთეულში და რომელი – ვერა. იმასაც შეგახსენებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში შეიძლება **მანუჩარ მარკოიშვილმა** მსუბუქი თავდამსხმელის ფუნქცია შეასრულოს. ასევე გამორიცხული არ არის სიაში ცენტრად ჩაწერილი **ნიკა მეტრეველი** მძიმე ფორვარდად ვიხილოთ... ნიკა ხომ „მონტეპასკიში" მეოთხე ნომრად ირჯებოდა, თუმცა სიმაღლით **ზაზა ფაჩულიას** ტოლია – 212 სმ. როგორც უკანახაზელებზე საუბრისას აღვნიშნეთ, შემადგენლობის ასეთი ვარირება მეტ თავსატეხს წარმოშობს, საერთო საქმისთვის კი სასარგებლოა. მარკოიშვილზე ტრილოგიის პირველ ნაწილში უკვე გიამბეთ. მეტრეველზე მომდევნო ნაწილში შევჩერდებით, რომელშიც ცენტრებზე გვექნება საუბარი. ახლა კი ფორვარდებს მივხედოთ.

ზემოთ ორი ტიპის თავდამსხმელი ვახსენეთ – მძიმე და მსუბუქი. მძიმე ფორვარდს სხვაგვარად მეოთხე ნომერი ჰქვია და ძირითადად საჯარიმოში ტრიალებს. საჭიროების შემთხვევაში ცენტრის ფუნქციასაც ასრულებს და მსუბუქი ფორვარდისასაც.

მსუბუქი თავდამსხმელი ერთგვარად ფლანგის მოთამაშეა. მას სხვანაირად მესამე ნომერს უწოდებენ. ტიპური მსუბუქი ფორვარდია **გიორგი მარკოიშვილი,** რომელიც 200 სმ. სიმაღლისაა, დრიბლინგიც აქვს, პერიმეტრიდან ტყორცნაც შეუძლია და ფარქვეშაც თამამად შედის.

მაგრამ, გიორგი ნაკრებში არ არის გამოძახებული. როცა ამა თუ იმ კალათბურთელისთვის ამპლუის შერჩევა უჭირთ, შუალედს მონახავენ (პირველ და მეხუთე ნომრებს შორის) და მესამე ნომრად ათამაშებენ ხოლმე. საქართველოს ნაკრებში უამრავი კალათბურთელია, რომელთათვისაც ამპლუის შერჩევა ბევრ მწვრთნელს უჭირს. მაგალითად, ვიქტორ სანიკიძე, თორნიკე შენგელია, ნიკა ცქიტიშვილი... სწორედ ამიტომ, ეს უნივერსალები უმეტესად მსუბუქ ფორვარდებად თამაშობენ.

უკანახაზელებზე საუბრისას ჩამოვთვალეთ კალათბურთელები, რომლებიც ნაკრებში ვერ მოხვდნენ, არადა მათი გასინჯვა კოკოშკოვისთვის საინტერესო უნდა ყოფილიყო. დღეს არგამოძახებული ფორვარდების გვარებს არ ჩამოვთვლით, რადგან ვინც უცხოეთში თამაშობს, ყველა ნაკრებშია (ამერიკის კოლეჯების ლიგის ბინადართ კიდევ მოსამატებელი აქვთ...), ხოლო საქართველოს ჩემპიონატში ახალი არავინ გამოჩენილა. თავად განსაჯეთ: სუპერლიგის საუკეთესოთა გამოკითხვისას, მწვრთნელ-ჟურნალისტებმა იოლად ჩამოწერეს საუკეთესონი ყველა ამპლუაში გარდა მსუბუქი ფორვარდისა. საბოლოოდ მესამე ნომრის პოზიციაზე ხმების თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს გიორგი მარკოიშვილმა და **შოი ხეცურიანმა.** გიორგი იანვარში კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა, ხოლო შიო ბანკში მუშაობს და კალათბურთი „მეორად სპეციალობადაა" ქცეული. დასკვნები თავად გამოიტანეთ.

### ვიქტორ სანიკიძე

**გორდონ ჰერბერტის** ნაკრებში ვიქტორ სანიკიძე არაფრით გამორჩეული ფიგურა არ ყოფილა. თუ არ გჯერათ, სტატისტიკას გადახედეთ: ევრო-2009-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამართულ 7 მატჩში იგი საშუალოდ 19.6 წუთს თამაშობდა, 5.6 მოხსნას და 5.4 ქულას აგროვებდა. მას 16-დან 12 ორქულიანი ჰქონდა ჩაგდებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ვიქტორს რალაცა ზღუდავდა – 7 მატჩში 17 ორქულიანის სროლა ძალიან ცოტაა. მწვრთნელის ცვლილებამ ვიქტორზე დადებითად იმოქმედა – იგორ კოკოშკოვმა სანიკიძე სასტარტო შემადგენლობაშიც გაამწესა, მეტი ნდობაც გამოუცხადა და ვიქტორიც სრულად გაიხსნა. შარშან გამართულ 4 მატჩში იგი საშუალოდ 32.3 წუთში 21.5 ქულას, 8 მოხსნას და 3.5 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. სანიკიძე საქართველოს ნაკრების სნაიპერი იყო, ხოლო B დივიზიონში – ვიცე-ბომბარდირი. გარდა მწვრთნელის ნდობისა, ვიქტორის ასეთი კარგი თამაში განაპირობა მეტოქეთა გაუცნობიერებლობამ. შვედები, სლოვაკები და ირლანდიელები დაუფარავად აცხადებდნენ – მთავარი ამოცანა ფაჩულია-ელისი-ცქიტიშვილის შეჩერებააო და ამ კალათბურთელებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. სანიკიძემ კი დაამტკიცა, რომ მათზე ნაკლები არ არის. წლეულს ვიქტორსაც სერიოზული მეურვეობა ელის, თუმცა ნამდვილად არაა მოსალოდნელი საშუალო მონაგარის გაუარესება. მას ხომ 2007-08 წლების სეზონთან შედარებით, 2008-09-ში ერთი-ორად უკეთესი სეზონი ჰქონდა – ესტონეთის ჩემპიონატის სნაიპერი გახდა. ესტონეთში მისი საშუალო მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 20 მატჩი, 23.8 წუთი, 16.5 ქულა, 7.8 მოხსნა, 1.2 პასი, 1 დაფარება.

ვიქტორ სანიკიძის სტატისტიკა ბალტიის ლიგაში შედარებით მოკრძალებული იყო (20 წუთი, 9.3 ქულა, 6.3 მოხსნა). ამის მიზეზი იყო სამწვრთნელო შეხედულებები: სეზონის დასაწყისში „ტარტუ როკის" თავკაცი **ულარ კერდე** ვიქტორს ნაკლებად ენდობოდა. შუა სეზონში გუნდში მის ნაცვლად **ინდრიკ ვესპაანუ** დაინიშნა, რომელმაც სანიკიძე ხუთეულში ჩასვა და ქართველი უნივესალის მონაგარმაც იმატა. ბალტიის თასის მატჩების უმეტესობა სანიკიძემ ულარ კერდეს ხელში ჩაატარა...



ვიქტორ სანიკიძე და ნიკა ცქიტიშვილი



ვლადიმერ ბოისა



ლევან შენგელია

### ნიკა ცქიტიშვილი

ნიკოლოზ ცქიტიშვილმა საქართველოს ნაკრებში საუკეთესო შეხვედრები 2005 წელს ითამაშა. მაშინ მან ფინეთში 7 სამქულიანი ჩააგდო. იგი ფინეთ-მაკედონიასთან არც ფარქვეშ შესვლებს ერიდებოდა და მოხსნებიც საკმარისად ჰქონდა.

2008 წლის სექტემბერში ნიკამ გუნდური თამაში უჩვენა. ნაკრებს არაერთი მნიშვნელოვანი ქულა შესძინა და საბოლოოდ 10.3 ქულა და 4.3 მოხსნა მიითვალა. იგი საშუალოდ 22.5 წუთს თამაშობდა.

ცქიტო ფეთქებადი კალათბურთელია და გამორიცხული არ არის, რომ მაჩვენებლები ამ აგვისტოს ერთიორად გააუმჯობესოს.

იგი „ფუენლაბრადაში" ცოტა დაგვიანებით, ნოემბერში გადავიდა და ბევრისთვის მოულოდნელად შემადგენლობაში იოლად ჩაჯდა. იმასაც შეგახსენებთ, რომ სადებიუტო მატჩში „ბარსელონას" 7-დან 6 სამქულიანი ჩაუგდო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლდათ ნიკა ცქიტიშვილის ყველაზე სტაბილური სეზონი. იგი მადრიდული კლუბის სასტარტო ხუთეულის წევრი იყო და ესპანურ გრანდებთან განსაკუთრებული მონდომებით თამაშობდა. „ფუენლაბრადა" სწრაფ კალათბურთს ანიჭებდა უპირატესობას და ნომინალურ ცენტრს (**რამოსს**)დრო მეტად შეზღუდული ჰქონდა. ფორვარდები ცქიტიშვილი და **ლეო მაინოლდი** ცენტრებიც იყვნენ და უკანახაზელებიც...

საქართველოს ნაკრებში სკიტა, სავარაუდოდ, მძიმე ფორვარდის ფუნქციებით დაკავდება.

ესეც ცქიტოს მონაგარი „ფუენლაბრადაში": 28 მატჩი, 20.5 წუთი, 8.3 ქულა, 4.1 მოხსნა, 0.9 პასი, 0.5 ჩაჭრა, 0.5 დაფარება. როგორც სანიკიძეს, ასევე ცქიტიშვილს მომავალი კლუბის ვინაობა ჯერ არ გაურკვევია.

### ვლადიმერ ბოისა

როგორც წესი, კლუბში წარმატებული თამაში კალათბურთელებს ნაკრებშიც მიჰყვებათ. ბოისას შარშან და შარშანწინ საკლუბო საქმე ისე არ მისდიოდა, როგორც სურდა. შესაბამისად, მისმა ქულობრივმა მონაგარმა ნაკრებშიც იკლო. თუმცა, ვოვა დაცვაში მაინც საუკეთესოდ რჩებოდა.

სექტემბერში იგი ნაკრებში 22.3 წუთში 8.5 ქულას და 3.8 მოხსნას ითვლიდა. დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, წლეულს ეს მაჩვენებელი ერთიორად გაიზრდება, რადგან ამ გაზაფხულზე ბოისამ „ზადარში" თავისი თამაში იპოვა. ამ ხორვატულ კლუბში იგი ესპანური „მენორკადან" ზამთარში გადავიდა. თუ ბალეარის კუნძულებზე სათამაშო დრო არასაკმარისი ჰქონდა, ხორვატიაში მწვრთნელმა, **ზმაგო საგადინმა** ნდობა გამოუცხადა, სასტარტო შემადგენლობაში მიუჩინა ადგილი. ვოვამაც ძველი დრო გაიხსენა – რიგ მატჩებში „ზადარს" წინ გაუძღვა და გუნდის სნაიპერობა იკისრა.

შევადაროთ ბოისას „მენორკასა" და „ზადარისეული" სტატისტიკა. ესპანეთის ჩემპიონატი: 21 მატჩი, 17.6 წუთი, 4.2 ქულა, 2.3 მოხსნა. ხორვატიის პირველობა: 16 შეხვედრა, 23.8 წუთი, 9.5 ქულა, 4.9 მოხსნა, 1.8 პასი, 0.9 ჩაჭრა.

### თორნიკე შენგელია

შენგელიას საქართველოს ნაკრებში დებიუტი 2008 წლის 6 სექტემბერს ლუქსემბურგთან მატჩში 17 წლის ასაკში ჰქონდა. მან სულ ორი შეხვედრა ჩაატარა და საშუალოდ 2 წუთში 0.5 ქულა და ამდენივე მოხსნა-ჩაჭრა უწერია. სექტემბრის შემდეგ თორნიკემ უმაღლეს დონეზე ითამაშა – ესპანურ „ვალენსიას" ევროთასზეც დაეხმარა და ესპანეთის ჩემპიონატშიც.

სხვათა შორის, მწვრთნელმა, **ნევენ სპაჰიამ** შენგელია 13 იანვარს სადებიუტო მატჩში მოედანზე პირველივე პერიოდში შეიყვანა (7 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი). ესპანეთის პირველობაზე თორნიკემ ორი მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო. მისი მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 5 შეხვედრა, 12 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა, 0.6 შედეგიანი გადაცემა. თორნიკე ახლა ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს და ეროვნულს 27 ივლისს შეუერთდება.

იგორ კოკოშკოვს თორნიკეს გამოყენება შეუძლია სამ პოზიციაზე – მსროლელად, მსუბუქ და მძიმე ფორვარდად. თორნიკემ ესპანეთში დიდი გამოცდილება მიიღო და კოკოშკოვი 17 წლის ჭაბუკს უკვე თამამად უნდა ენდოს.

### ლევან შენგელია

ლევანი საქართველოს ნაკრებში შარშანაც იყო გამოძახებული, მაგრამ მხოლოდ ერთი ვარჯიშით. იგი ლიტვაში, **მარჩულიონისის** აკადემიაში გამოიწრთო და კარიერის გაგრძელება ამერიკაში აქვს გადაწყვეტილი. ლევანმა როდ აილენდის კოლეჯში გამოცდები უკვე ჩააბარა და გაისად კოლეჯების უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. გასულ სეზონში შენგელია ამერიკაში იყო და ინდივიდუალურად ვარჯიშობდა, თუმცა აშკარაა, რომ კუნთების მასა კიდევ უფრო შეიმატა. მისთვის ნაკრებში ოპტიმალური, მძიმე ფორვარდის პოზიცია უნდა იყოს.

ლევან შენგელია **თორნიკესა და ნიკა მეტრეველთან** ერთად ეროვნულს 27 ივლისს ახალგაზრდული ნაკრების მატჩების მოსტუმრების შემდეგ შეუერთდება.

### მიხეილ ბერიშვილი

ვერ ვიტყვით, რომ მიშასთვის განვლილი სეზონი საუკეთესო იყო, უფრო გაცნობის სეზონი ჰქონდა: იგი ნოემბერში „სასოფლოდან" ამერიკაში წავიდა, თუმცა NBA-ს განვითარების ლიგის ბინადარ „ოკლაჰომაში" არ დარჩა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან ესპანეთს მიაშურა. ითამაშა ვერცხლისლიგელ „პრატში" და 6 მატჩით „ვალიადოლიდს" დაეხმარა. მიშა სეზონის ბოლოს სუპერლიგაში მეორედ დაბრუნდა და „სასოფლოსთან" ერთად ფინალური სერია ითამაშა.

საქართველოს პირველობაზე ბერიშვილის სტატისტიკა ასეთი იყო: 12 მატჩი, 32.1 წუთი, 16 ქულა, 7.5 მოხსნა, 2.1 პასი, 2.1 ჩაჭრა, 1.3 დაფარება. იგი მსუბუქი ფორვარდია.

ესეც ასე, ვიმსჯელეთ უკანახაზელებზე, ფორვარდებზე, დაგვრჩა ცენტრები...



### 20-წლამდელთა ნაკრები

# ახალგაზრდული თორმეტამდე დავიდა

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები 15 ივნისს შეიკრიბა. თავიდან მწვრთნელმა გამოაცხადა, რომ გაფართოებული შემადგენლობა 12 კაცამდე 16 ივლისისთვის შემცირდებოდა. 16-ში ხომ ახალგაზრდების 20-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები დაიწყება. თუმცა, **დავით უსტიაშვილმა** მაკედონიაში, B დივიზიონის მატჩებზე წამსვლელი 12 კალათბურთელის გვარი ნაადრევად, გუშინ გამოაცხადა. ამას თავისი ობიექტური მიზეზი ჰქონდა –ტრავმები.

გაფართოებულ შემადგენლობას ავტომატურად გააკლდნენ დაშავებულები **გიორგი შარაბიძე** და **ირაკლი გაბისონია.**

გიორგი თავიდან გუნდს კი შეუერთდა, მაგრამ ქართველმა ექიმებმა გასინჯეს და მენისკი აღმოაჩნდა. იგი ესპანეთში გადაფრინდა და ოპერაცია გაიკეთა. „სამედიცინოს" კალათბურთელ ირაკლი გაბისონიას ფეხის ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და ნაკრებს ისიც გამოაკლდა.

რაც შეეხება მეფარე **დავით მაისურაძეს,** იგი უკრაინაში გამოცდებს აბარებდა და შეკრებაზე დაუგვიანდა. შესაბამისად, დათოც შემადგენლობის მიღმა აღმოჩნდა.

გუშინ შემოგთავაზეთ ინტერვიუ **ბექა ნივნივაძესთან,** რომელშიც იგი ამბობდა, რომ ახალგაზრდული ნაკრების ყველა წევრმა ტრავმა მოიშუშა და ახლა გუნდი სრული შემადგენლობით ვარჯიშობს. ბექამ ისიც დასძინა, რომ მას აქილევსის მყესები აწუხებს, რაც სრულფასოვნად ვარჯიშში ხელს უშლის.

ვიდრე ახალგაზრდული ნაკრების 12-კაციან სიას ჩამოგიწერდეთ, შეგახსენებთ, რომ B დივიზიონის მატჩები მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში 16 ივლისს დაიწყება. საქართველოსთან ერთად ჯგუფში მოხვდნენ: პორტუგალია, შვედეთი, სლოვაკეთი და ლუქსემბურგი.

აი, შემადგენლობაც:

უკანახაზელები: **ბექა ნივნივაძე (სასოფლო), დავით ნანიტაშვილი (დინამო), ზურაბ მაჭავარიანი (ენერჯი), მალხაზ აბაიშვილი (ენერჯი), ლევან ცეკვავა (ენერჯი)**

ფორვარდები: **კოკა ტომარაძე (საბადელი, ესპანეთი), გიგა კვეტენაძე (ბარბერა, ესპანეთი), ლევან შენგელია (როდ აილენდი, აშშ), თორნიკე შენგელია (პამესა, ესპანეთი), ტატო ჩაჩიბაია (სსაუ)**

ცენტრები: **ნიკა მეტრეველი** (სიენა, იტალია), **რიჩარდ მათიაშვილი** (ავიამშენი)

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# მაკა გრან-პრიზე ითამაშებს



**მაკა ჩახნაშვილი** WTA-ს ტურნირის ძირითად ბადეშია, მან ბუდაპეშტში, „გაზ დე ფრანს სუეცის" გრან-პრის საკვალიფიკაციო ბადე წარმატებით დაძლია. უნგრეთის ტურნირის საპრიზო ფონდი 220 ათასი ამერიკული დოლარია. მესამე საკვალიფიკაციო წრეში ჩახნაშვილმა მასპინძელ **რეკა-ლუკა იანის** აჯობა სამ სეტში - 4:6, 6:2, 6:2. ამით ჩვენებურმა 17 ქულა და 1,8 ათასი დოლარი დაიბევა.

უიმბლდონის ტურნირის მიმდინარეობის გამო ორკვირიანი შესვენების შემდეგ WTA-ს და ATP-ის რეიტინგები გუშინ გამოქვეყნდა. ქალთა შორის საქართველოს პირველი ჩოგანი კვლავ 19 წლის **ანა ტატიშვილია**. ანას 308 ქულა აქვს და ის მსოფლიო კლასიფიკაციაში 191-ე (-1) ჩოგანია. შეგახსენებთ, რომ ამ ორი კვირის განმავლობაში ანამ კრისტიენშამნის (შვედეთი, 25 ათასი $) ტურნირი მოიგო, ხოლო პოცობლანკოს ტურნირში (ესპანეთი, 50 ათასი $) მეოთხედფინალში გააღწია. პირველში 50 სარეიტინგო ქულა და 2,9 ათასი დოლარი მიიღო, ხოლო მეორეში - 18 სარეიტინგო ქულა და 1,2 ათასი დოლარი. 26 წლის მაკა ჩახნაშვილი 268 ქულით მსოფლიოს 210-ე ჩოგანია (+19). მაკამ პერიგოს (საფრანგეთი, 25 ათასი $) ტურნირის ნახევარფინალში გასვლისთვის 1,1 ათასი დოლარი და 24 ქულა მიიღო, პოცობლანკოში კი მისი მონაგარი 800 დოლარი და 10 ქულაა.

18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** 176 ქულით მსოფლიოს 268-ე ჩოგანია, მან 8 საფეხურით წაიწია წინ და კარიერის ახალ უმაღლეს ნიშნულს უწია. აღსანიშნავია, რომ მას ჯერ არ შემატებია ტორუნის ტურნირის (პოლონეთი, 25 ათასი $) კუთვნილი 50 ქულა. ეს კი შემდეგ ორშაბათს მოხდება. ოქსანამ უკვე გადაასწრო რეიტინგში 20 წლის **სოფიო შაფათავას**, სოფიო 174 ქულით კვლავ 273-ე პოზიციაზეა.

სხვა ქართველები WTA-ს სიაში: 507 (+3). **ეკა გორგოძე** - 62 ქულა; 536 (-17). **სოფიო ქვაცაბაია** - 58; 723 (-21). **მანანა შაფაქიძე** - 31; 903 (-15). **სოფიო მელიქიშვილი** - 16.

ვაჟთა, ATP-ის კლასიფიკაციაში ქართველთა შორის პირველი **ირაკლი ლაბაძეა**. ირაკლის 96 ქულა აქვს და ის მსოფლიოს 482-ე ჩოგანია (+12). ლაბაძეს არსად უთამაშია, უბრალოდ მის ირგვლივ კლასიფიკაციაში მყოფთა ნაწილს ქულები დააკლდა, სწორედ ამიტომ მან 12 საფეხურით წაიწია წინ. აი, 17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილის** 72-ადგილიანი ნახტომი კი ნამდვილად კარგი თამაშით არის გამოწვეული. ამერიკულ ტურნირში ნახევარფინალში გასვლისთვის მან 7 ქულა მიიღო, 33 გაუხდა და მსოფლიოს 757-ე ჩოგანი გახდა. რა თქმა უნდა, ეს მისი კარიერის საუკეთესო ნიშნულია.

სხვები: 887 (-50) **ლაზარე კუხალაშვილი** - 21 ქულა; 937 (+8) **ლადო ჩიხლაძე** - 17; 1 356 (-92) **ნოდარ ითონიშვილი** - 4; 1 498 (+21) **ბექა ბუჩუკური** - 2; 1 565 (+26) **დემეტრე თაქთაქიშვილი** - 2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დიდი სპორტის კარიბჭესთან

# სერბეთში მედლისთვის იბრძოლებს



სპეციალისტთა შეფასებით, წარმატებულ სეზონს ატარებს თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრი, 17 წლის გორელი **ომარ გუსოშვილი**.

იგი 100 კგ-ში ასპარეზობს და წლეულს განსაკუთრებით საერთაშორისო სარბიელზე ისახელა თავი, შინ უმედლოდ არ დაბრუნებულა. ახლახან ირანის საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ჭაბუკთა საქართველოს ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა. მაგრამ ეს შედეგი როგორც ნაკრების, ისე მისმა პირადმა მწვრთნელებმა მოულოდნელობად მიიჩნიეს და სწორედ ამიტომ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება საერთაშორისო ტურნირებზე რამდენჯერმე მისცეს. გორელმა ფალავანმა გაამართლა, ნაკრებში უშუალო კონკურენტებზე უკეთ იასპარეზა და **თემურ ბენდიაშვილმაც** გადაწყვიტა, აგვისტოში, სერბეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე აჭიდაოს.

შვიდი წელიწადია გორის თავისუფალი ჭიდაობის დარბაზში **ნუგზარ სხირელის** ხელმძღვანელობით ვარჯიშობს და მეორე წელიწადია, ჭაბუკთა ნაკრების წევრია. თუმცა თანატოლთა ნაკრებში შარშან წონაში მესამე ნომერი იყო, თავის ასაკში ყველა ტურნირზე, როგორც ვთქვით, წარმატებით იასპარეზა. იანვარში, ბაქოში მხოლოდ ფინალში დამარცხდა. აპრილში, აზერბაიჯანის დედაქალაქმა უმასპინძლა საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირს და იქ უკვე პირველობა აღარავის დაუთმო. გასული თვის დასაწყისში იზმირში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, აგერ, სულ ახლახან კი ირანში მოიგო საერთაშორისო ტურნირი. კრიტიკულად აფასებს ბაქოში ნაგებულ ფინალს. არა, უბრძოლველად არ წაუგია. I პერიოდი მხოლოდ გაფრთხილებით დათმო, მეორე კი 4 : 4 დასრულდა და საბოლოოდ გამარჯვება მეტოქეს დარჩა. "ეს იყო ჩემი სადებიუტო საერთაშორისო შეჯიბრება და მაშინ გარკვეულწილად კმაყოფილიც დავრჩი მოპოვებული ვერცხლის მედლით. დღევანდელი გადასახედიდან კი გული მწყდება — ოქროს მედალს უნდა შევწვდომოდი. იზმირში კი შეიძლება ითქვას, რომ „დამსახურებულად" დავკარგე პირველი ადგილი. იქ რუს მოჭიდავეთან წავაგე. მეტოქე გადაზრდილს კი ჰგავდა, მაგრამ ასეთ რამეზე წუწუნი არ მჩვევია, მით უფრო ეს უადგილოა ახლა, როცა ყველაფერი ჩავლილია - ამბობს ჭაბუკი მოჭიდავე.

მალე საჩხერეში სასერბეთოდ ნაკრების შეკრება დაიწყება. ომარს მტკიცედ სწამს, რომ უეჭველად შედგამს ფეხს საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

მწვრთნელები ამ ჭაბუკის შესაძლებლობებიდან ფიზიკურ ძალას თვლიან უფრო გამორჩეულად, აქამდე მიღწეული წარმატებებიც უფრო მეტად სწორედ ამ მონაცემზე დაყრდნობითაა მიღწეული.

**ვასილ ბალახაძე**

ცურვა



გორელი მოცურავეების გუნდი ორიოდ თვის წინათ საქართველოს ჩემპიონატზე მხოლოდ ოთხი სპორტსმენით გამოვიდა. მიუხედავად მცირერიცხოვნებისა, კარგი გუნდური შედეგი აჩვენა. ახლახან, შიდაქართლელები საქართველოს ღია პირველობაზე უკვე 10 სპორტსმენით წარდგნენ და გუნდური მესამე ადგილი მოიპოვეს (უკან ჩამოიტოვეს აზერბაიჯანის ნაკრებიც), გიორგი ბუხრიკიძემ კი სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. გორელთა ადრინდელი და ახლანდელი წარმატებები იმითაცაა საგულისხმო, რომ სპორტსმენები წელიწადში 7-8 თვე უწყლოდ იყვნენ. საცურაო აუზი მიზეზთა გამო არ მუშაობდა. ახლა მდგომარეობა გამოსწორდა.

# აუზი ამუშავდა, შედეგებმაც იმატა

— მას შემდეგ, რაც აუზი ამოქმედდა ხმელეთზე ვარჯიშებისთვის დრო აღარ დაგვიკარგავს, მთელი დრო და ენერგია ცურვას დავუთმეთ. საქართველოს ღია პირველობისათვის ყოველდღიურად ვვარჯიშობდით აუზში. მადლობელი ვართ აუზის დირექტორის, ქალბატონ გიული სამხარაძის, რომელმაც ხელი შეგვიწყო. შეჯიბრებაზე ჩვენი ქვეყნის მოცურავეების გარდა აზერბაიჯანელებიც მონაწილეობდნენ. სასიხარულოა, რომ ასეთ წარმომადგენლობით პირველობაზე 11 სხვადასხვა სინჯის მედალი და გუნდური მესამე ადგილი მოვიპოვეთ. ჩამოვრჩით თბილისის და „ლაგუნა ვერეს" გუნდებს, რომლებიც საქართველოში მუდამ გამორჩეულნი არიან – გვითხრა გუნდის მწვრთნელმა კობა ბუხრიკიძემ.

**— გუნდურის შემდეგ ყველაზე მეტად ალბათ თქვენი ვაჟის მიღწევაა აღსანიშნავი.**

— რასაკვირველია. გიორგი ბოლო ორ შეჯიბრებაზე ახლოს იყო სპორტის ოსტატის ნორმატივთან. აკლდებოდა მხოლოდ 0,3 წამი და აი, ახლა ეს ბარიერიც გადალახა. ამასთან, გიორგი 50 და 100 მეტრ თავისუფალი ყაიდით ცურვაში ჩემპიონი გახდა, 50 მ ბატერფლაიში კი ფინიშთან მესამე მივიდა. ახლა საჭიროა ერთხანს ამ შედეგზე გაჩერდეს, შემდეგ უკვე ახალ სიმაღლეებსაც შეუტიოს.

**— სხვა თქვენი შეგირდების გამოსვლას როგორ შეაფასებდით?**

— ყველას გამოსვლით კმაყოფილი ვარ, პირადი შედეგები გააუმჯობესეს. მკვეთრად მოუმატა გიგა აფციაურმა. გაგვახარეს გოგონებმა 4X50, 4X100 და კომბინირებულ ცურვაში. ამ ოთხეულმა გვანცა ხინჩეგაშვილის, მეგი ხათაშვილის, თათია გოლოშვილის და ანა მაყიშვილის შემადგენლობით მეორე ადგილები მოიპოვა. ამასთან, ბატერფლაიში ხინჩეგაშვილი 50 და 100 მეტრზე ყველაზე საუკეთესო იყო, 100 მ თავისუფალ ყაიდაში კი მესამე ადგილს დასჯერდა. ჩვენთვის სიახლე იყო გოლოშვილისა და ხათაშვილის ინდივიდუალური შედეგები. მათ მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს შესაბამისად, 100 მ გულაღმა ცურვასა და 100 მ ბრასში. აქვე გეტყვით, რომ ხინჩეგაშვილი ამას წინათ ბაქოს საერთაშორისო ტურნირშიც მონაწილეობდა და მედლებითაც დაბრუნდა შინ.

**— დაფინანსების საქმე როგორაა?**

— გორის მუნიციპალიტეტი გვეხმარება. თანხები დროულად და შეუფერხებლად ირიცხება შეჯიბრებებისთვის.

**— მომდევნო შეჯიბრებაზე სად იასპარეზებთ?**

— კალენდარულად წინასაახალწლო საქართველოს პირველობა გვიწევს, მაგრამ იქამდე შესაძლებელია ბათუმში, ან საჩხერეში ჩატარდეს ტურნირები.

ახლა კი გიორგი ბუხრიკიძესაც მოვუსმინოთ: *„ის, რომ ორი ოქროს მედალი მოვიპოვე, ცხადია, ჩემთვის დიდი მიღწევაა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ უფრო მეტად სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებამ გამახარა. გორში ჩემამდე სხვას არავის მიუღწევია ამ შედეგამდე. ერთი მესამე ადგილიც მერგო ისეთ დისტანციაზე, სადაც არც ვფიქრობდი გამოსვლას, თუმცა გუნდს დასჭირდა. ბოლოდროინდელ ჩემს შედეგებზე დიდი გავლენა იქონია თბილისის აუზში ვარჯიშმაც ნაკრების მწვრთნელის ქალბატონ ირინა მინჟულინას ხელმძღვანელობით. იმედი მაქვს, მომავალში უკეთეს შედეგებს ვაჩვენებ და საერთაშორისო არენაზეც მომიწევს ასპარეზობა"* — ამბობს საქართველოს გორელი ჩემპიონი.

**ვასილ ბალახაძე**
ავტორის ფოტო

## იური ჭანტურია



**69 წლისა, ქ. სარატოვში გარდაიცვალა პირველი თანამედროვე ხუთჭიდელი აფხაზეთიდან, სპორტის ოსტატი იური ჭანტურია. ფიზკულტურის ინსტიტუტში ცურვის სპეციალობით შევიდა, მაგრამ ნიჭიერმა სპორტსმენმა მალე თანამედროვე ხუთჭიდის სხვა სახეობებიც აითვისა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი. წარმატებით ასპარეზობდა, როგორც საქართველოს, ისე საკავშირო პირველობებში.**

**ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ აფხაზეთში მუშაობდა მაღალ თანამდებობებზე ხელმძღვანელ ორგანოებში, თავგამოდებით იცავდა საქართველოს სპორტულ ინტერესებს, მხარში ედგა სპორტის სპეციალისტებს. მას ყველა იცნობდა, როგორც ქვეყნის დიდ პატრიოტს, გამოირჩეოდა საქმისადმი პასუხისგებლური დამოკიდებულებით, დაჯილდოებული იყო იუმორის გრძნობით.**

**გუდაუთაში დაბადებული და გაზრდილი კაცისთვის მოუშუშებელი ტკივილი იყო აფხაზეთის ომით გამოწვეული ტრაგედია. სწორედ ამ ტკივილს ვერ გაუძლო მისმა კაცთმოყვარე და კეთილმა გულმა.**

**იური ჭანტურიას ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება იმ ადამიანების ხსოვნაში, ვინც ამ ღირსეულ პიროვნებას ახლოს იცნობდა.**

*ვალერი ჩოლარია, ნოდარ ჩოლარია, შალვა წულეისკირი, მურად ანჯაფარიძე...*

Cito



## ფეხბურთელმა გულშემატკივარი მოკლა

კოლუმბიის საპორტო ქალაქ ბარანკილის საფეხბურთო გუნდის ნახევარმცველმა **ხავიერ ფლორესმა** ქუჩაში პისტოლეტიდან გასროლით მოკლა 27 წლის გულშემატკივარი, რომელმაც ფეხბურთელს დაცინვა და ლანძღვა დაუწყო რამდენიმე დღის წინათ გუნდის მიერ საპასუხისმგებლო მატჩის წაგების გამო. ფლორესი შემთხვევის ადგილიდან მიამალა, მაგრამ მოგვიანებით თავად ჩაჰბარდა პოლიციას. შეგახსენებთ, რომ კოლუმბიაში ფეხბურთთან დაკავშირებული მკვლელობა ჩვეულებრივი ამბავია. 1994 წელს ხომ ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრი **ანდრეს ესკობარი** გამოასალმეს სიცოცხლეს განაწყენებულმა გულშემატკივრებმა.

## მწვრთნელს მოსწავლე დაეხრჩო



ეს ამბავი მოხდა ბაშკირეთში. უფაში მდინარეზე ნიჩბოსანთა მორიგი ვარჯიშის დროს ამოვარდა ქარი, რის შედეგად 14 წლის მოზარდს ნავი გადაუბრუნდა და დაიხრჩო. ბავშვი სავარჯიშოდ გასული იყო დამცავი ჟილეტის გარეშე. მწვრთნელი **სვეტლანა აბრამოვა** სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული გაუფრთხილებლობისა და სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისთვის.

რაგბი

# პირველ ლიგაშიც...

მორიგი, მე-9 ტურის მატჩები გაიმართა სარაგბო პირველ ლიგაშიც. ოთხიდან სამი ორთაბრძოლა საკმაოდ დაძაბულად წარიმართა, თუმცა საბოლოოდ ტურში მაინც ფავორიტებმა იმარჯვეს. „სინათლის" სტადიონზე ერთპიროვნულმა ლიდერმა „არმაზმა" ფოთის „აიეტს" უმასპინძლა და 32:11 მოუგო. ეს „არმაზის" მერვე გამარჯვებაა ამდენივე მატჩიდან. ამავე სტადიონზე „დინამო ივერიამ" წააგო „დევებთან" - 11:27.

„ხულიგანამ" „შევარდენის" სტადიონზე აჯობა თი-ბი-სი-ს გუნდს - 28:16. „ოზურგეთისა" და „ბაგრატის" შეხვედრა ქუთაისელთა სრული უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით - 32:0 დასრულდა. „არმაზი" 8 მოგებით ლიდერობს, ამდენივე გამარჯვება და 1 მარცხი აქვს „ხულიგანას", „ბაგრატი" 6 მოგებით მესამე ადგილზეა, 4 გამარჯვებით მეოთხეა „დევები". შეგახსენებთ, რომ უმაღლეს ლიგაში გამარჯვებული გადადის, ხოლო მეორეადგილოსანი უმაღლესი ლიგის მეშვიდეადგილოსანთან პლეი ოფს გამართავს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი. უიმბლდონის შემდეგ. ინტერვიუ როჯერ ფედერერთან



# ფინიშის ხაზი არ არსებობს

2009 წლის უიმბლდონის ისტორიული ფინალის სანახავად წინა წლებში ამ ტურნირის დიადი ჩემპიონები შეიკრიბნენ: პიტ სამპრასი, როდ ლეივერი, ჯონ მაკინროი, ბიორნ ბორგი... აქვე იყვნენ ჰოლივუდის ვარსკვლავები: კინორეჟისორი ვუდი ალენი, მსახიობი რასელ ქროუ. განსაკუთრებული სტუმრების ლოჟაში შეამჩნევდით "მანჩესტერ იუნაიტედის" დამრიგებელ სერ ალექს ფერგიუსონს. არავის სურდა გამოეტოვებინა ეს ისტორიული მომენტი, როცა როჯერ ფედერერმა სამპრასის თვალწინ ჩაიცვა თეთრი სპორტული ქურთუკი, რომელზეც რიცხი - "15" ეწერა. დიახ, შვეიცარიელმა დაამხო ლეგენდარული ამერიკელის რეკორდი და ახლა "დიდი სლემის" ყველაზე მეტი ტურნირი აქვს მოგებული.

დაჯილდოების ცერემონიისას როჯერმა რამდენჯერმე წარმოთქვა სიტყვა Crazy - ფინალი მართლაც გიჟური გამოვიდა. მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე ენდი როდიკს ოთხი სეტ-პოინტი ჰქონდა და წააგო. ბოლო სეტის მე-17 გეიმში ორი დაფარული მატჩ-პოინტი ვერ გამოიყენა... მოკლედ, ფედერერის მაგია ამჯერადაც უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

**- როჯერ, რამდენად რთული იყო ეს მატჩი წინა წლების ფინალებთან შედარებით?**

- ძალიან გამიჭირდა, რადგან ენდიმ შესანიშნავად ითამაშა. მე ვიცი, როგორ უნდა უიმბლდონის ფინალში თამაში. ვიცი, როგორ უნდა ვიმოქმედო მეხუთე სეტში. მაგრამ დღეს ყველაფერი სხვანაირად იყო. მატჩის სურათი ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, რასაც ბოლო წლებში ნადალის წინააღმდეგ თამაშისას მივეჩვიე. რაფასთან ძირითადად უკანა ხაზზე მიწევდა მოქმედება. დღეს ბალახისთვის დამახასიათებელი კლასიკური თამაში გამოვიდა, სადაც აქცენტი ძლიერ მოწოდებაზე და კარგ მიღებაზე გაკეთდა. რალაც მომენტებში იმედგაცრუებული ვიყავი, რადგან ვერ ვახერხებდი ენდის მოწოდების აღებას. ამიტომაც გამარჯვებისგან უფრო მეტი სიამოვნება მივიღე. მით უმეტეს, რომ მთლიანობაში ვერ ვაკონტროლებდი მატჩის მსვლელობას.

**- რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თითქმის წაგებული მეორე სეტის მოგებას?**

- დიახ, ვფიქრობ, რომ მეორე სეტმა ნაწილობრივ იმოქმედა მომდევნო პარტიების მსვლელობაზე. ენდის ბრწყინვალე თამაშის გათვალისწინებით, შესაძლოა, სეტებს შორის 0:2-ზე ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოვჩენილიყავი. რა თქმა უნდა, ორი სეტის წაგების შემდეგაც არსებობს მდგომარეობის გამოსწორების საშუალება, მაგრამ მეორე პარტიის მოგებამ ჩემი შანსი უფრო მეტად გაზარდა.

**- რა გრძნობა გაგიჩნდათ ენდი როდიკის მიმართ ფინალის შემდეგ ?**

- ეს მეტად რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობაა. სპორტი ხანდახან ძალიან სასტიკია. ჩვენ ეს ვიცით. მეც მომიწია "დიდი სლემის" ფინალებში რამდენიმე ხუთსეტიანი მატჩის ჩატარებამ და დავმარცხებულვარ კიდეც. ვფიქრობ, ენდიმ ბრწყინვალედ ითამაშა. ის არ აპირებს ხელის ჩაქნევას და ყველაფრის მიტოვებას. როდიკს უნდა უფრო ძლიერი დაბრუნდეს კორტზე და უკეთესად ითამაშოს ამერიკის ღია პირველობაზე. ჩემი აზრით, ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი, რაც კი ჩვენ ერთმანეთთან გვითამაშია. მე უმაღლეს დონეზე თამაშმა მომიწია გამარჯვების მოსაპოვებლად.

**- თქვენ თქვით, რომ ბავშვობაში ასეთ რამეზე ვერც იოცნებებდით. თავიდანვე გადაწყვეტილი გქონდათ, რომ სპორტს გაჰყვებოდით?**

- რა თქმა უნდა. თავიდანვე გადავწყვიტე, რომ ჩოგბურთელი ან ფეხბურთელი გავხდებოდი. შემდეგ კი ერთმა მოვლენამ ისე მომაჯადოვა, რომ ჩოგბურთელობა მომინდა.

**- ეს რაიმე ტურნირის ფინალი იყო თუ სხვა მოვლენა?**

- ეს იყო უიმბლდონზე ბეკერისა და ედბერგის ფინალი. არ მახსოვს, რომელი წელი იყო, რადგან მათ რამდენიმე მატჩი ჰქონდათ ჩატარებული. შინ ტელევიზორთან ვიჯექი, მათ თამაშს თვალს ვადევნებდი და ვფიქრობდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მეც მათნაირი გავხდებოდი. აი, ამიტომაც ვფიქრობ, რომ კერპები იმით არიან კარგები, რომ აღმაფრენის წყაროდ გვევლინებიან. ისინი წინსვლისკენ გვიბიძგებენ.

**- უამრავ ჩოგბურთელს ისე გაუვლია მთელი თავისი კარიერა, რომ "დიდი სლემის" არც ერთი ტურნირი არ მოუგია. მაშინ, რას უნდა შევადაროთ თქვენი მე-15 გამარჯვება?**

- კარგი შეკითხვაა. უფრო ბედნიერად ვიგრძენი თავი (იცინის). გაოცებული ვარ იმით, რომ ამდენი წლის განმავლობაში ასე კარგად ვითამაშე და თან ტრავმები ავიცილე თავიდან. სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვარ იმით, რომ ასე კარგად გამოვიდა ყველაფერი. რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც მსოფლიოს პირველი ჩოგანი გავხდი, ზოგიერთი რამ მოსაბეზრებელი გახდა. ამასთან, გავიგე, რას ნიშნავს დიდი ტურნირების მოგება. ცხადია, დიდი გამოცდილება შევიძინე, რომელიც დამატებით შესაძლებლობებს მანიჭებს. იცით, თითქმის ჭკუიდან ვიშლები იმაზე ფიქრით, რომ ასეთ მოკლე პერიოდში ამდენი ტიტულის მოგება მოვახერხე.

**- "დიდი სლემის" პირველი ტიტული უიმბლდონზე მოიგეთ. სარეკორდო მე-15 გამარჯვებასაც აქ მიაღწიეთ. ორივე ტიტული განსაკუთრებულია. მიგაჩნიათ, რომ ეს უბრალო დამთხვევაა და რაიმე განსაკუთრებული ნიშანი?**

- ბევრი მიზეზის გამო მიხარია, რომ სწორედ აქ დავამხე ეს რეკორდი. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს ტურნირი ყოველთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა ჩემთვის. ასე რომ, წრე შეიკრა. ყველაფერი აქ დაიწყო და აქვე დასრულდა. რა თქმა უნდა, ჩემი კარიერის დასრულებამდე ჯერ დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ ასევე სასიამოვნოა იმაზე ფიქრი, თუ რამდენი ლეგენდა ესწრებოდა როდიკთან ფინალს. განსაკუთრებით პიტის მოსვლა გამიხარდა, რომელთანაც ცოტა ხნის წინ, აზიაში შესანიშნავი დრო გავატარე. მე ვიცი, რა ბევრს ნიშნავდა ეს რეკორდი მისთვის და მან იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გამარჯვებას ჩემთვის.

გარკვეულწილად, ახლაც მგონია, რომ ჩვენ ამ რეკორდს ისევ ვიყოფთ. ეს იმიტომ, რომ ის ბრწყინვალე ჩემპიონი იყო. თანაც, მას უიმბლდონზე ჩემზე ერთით მეტი ტიტული აქვს მოგებული. სასიამოვნოა, რომ ის აღიარებს ჩემს მიღწევას. ასევე შესანიშნავია ამდენი ლეგენდის ერთად ხილვა, რომლებიც მოვიდნენ და სიამოვნება მიიღეს ჩვენი ჩოგბურთისგან. არ ვიცი, ეს უკეთ როგორ უნდა ავხსნა. ჩვეულებრივ, ბავშვობაში ვნერვიულობდი, როცა მეგობრები ჩემი თამაშის სანახავად მოდიოდნენ. შემდეგ იყვნენ ჩემი მშობლები, ახლა კი მოვიდნენ ლეგენდები და ადამიანები, რომლებიც მართლაც რაღაცას წარმოადგენენ ამ სამყაროში. დღეს ყველაფერი ნორმალურადაა. დღეს ნებისმიერს შეუძლია მოვიდეს და იხილოს ჩემი თამაში. აღარ ვნერვიულობ. მაგრამ ამჯერად, პიტის თანდასწრებით ეს რაღაც განსაკუთრებული იყო. როცა ის დაწყებულ თამაშზე მოვიდა და მას გავხედე, მართლაც ძალიან ავნერვიულდი.

**- რა თვისებების ხარჯზე მიაღწიეთ ასეთ წარმატებებს?**

- მხოლოდ ბრძოლის ხარჯზე. თქვენ ხომ იცით, იმით ვარ განთქმული, რომ მუდმივად მოდუნებული გახლავართ და განსაკუთრებით არ ვიხარჯები. თავადაც გაკვირვებული ვარ, რომ ჩემგან ასეთი მოთამაშე დადგა. არასოდეს მიფიქრია, რომ გავხდებოდი ჩოგბურთელი, რომელსაც ამდენი ძლიერი მხარე ექნებოდა. ისიც ვიცი, რომ უარყოფითი მხარეებიც მაქვს. სამწუხაროდ, ვარჯიშებზე ყველა ნაკლის აღმოფხვრა შეუძლებელია. ძალიან ბევრ ტურნირს ვთამაშობთ და საკუთარ თავზე სამუშაოდ დრო თითქმის არ გვრჩება. საინტერესო იქნებოდა, 6-თვიანი პაუზის შემთხვევაში, როგორ განვვითარდებოდი, როგორც ჩოგბურთელი.

**- მაისურზე რა გაწერიათ?**

- "ფინიშის ხაზი არ არსებობს. ჯერ ყველაფერი არ არის გაკეთებული".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ფედერერი vs სამპრასი

როჯერის ანგარიშზე "დიდი სლემის" 20 ფინალი მოდის, აქედან მან 15 მოიგო და 5 წააგო. სულ კი შვეიცარიელს 41 ტურნირში აქვს მიღებული მონაწილეობა, სამპრასმა კი თავისი 14 "სლემის" მოგებას 52 ტურნირი მოანდომა. გარდა ამისა, როჯერს შვიდი წელი დასჭირდა თავისი რეკორდის დასამყარებლად, სამპრასს - ცამეტი.

| | ფედერერი | სამპრასი |
|---|---|---|
| დიდი სლემი (მოგება/წაგება) | 182/24 | 203/38 |
| ავსტრალია | 47/7 (3 ტიტული) | 45/9 (2 ტიტული) |
| როლან გაროსი | 39/10 (1 ტიტული) | 24/13 (0 ტიტული) |
| უიმბლდონი | 51/5 (6 ტიტული) | 63/7 (7 ტიტული) |
| აშშ | 45/4 (5 ტიტული) | 71/9 (5 ტიტული) |
| მოგება/წაგება (კარიერა) | 657/155 (80.9%) | 762/222 (77.4%) |
| ტიტულები | 60 | 64 |
| რეიტინგის ლიდერი (კვირა) | 237 | 286 |
| ATP-ის ტურის ჩემპიონი | ოთხჯერ | ექვსჯერ |

## ფედერერის 15 სლემი ციფრებში

1 - წლევანდელი უიმბლდონის შემდეგ, როჯერ ფედერერმა დაიბრუნა პირველი ადგილი ATP-ის კლასიფიკაციაში;

2 - ფედერერმა ორ სეზონში (2006 და 2007) შეძლო "დიდი სლემის" ოთხივე ტურნირის ფინალში გასვლა;

3 - სამჯერ აქვს მოგებული ავსტრალიის ღია პირველობა (2004, 2006, 2007). ასევე სამ სეზონში მოიგო "დიდი სლემის" სამი ტურნირი;

4 - ოთხჯერ (და მეტჯერ) არის ნამყოფი "დიდი სლემის" თითოეული ტურნირის ფინალში;

5 - ხუთჯერ აქვს მოგებული ამერიკის ღია პირველობა; ამდენჯერვე აქვს წაგებული რაფაელ ნადალთან "დიდი სლემის" ტურნირების ფინალებში;

6 - ექვსჯერ აქვს მოგებული უიმბლდონი;

7 - ზედიზედ შვიდი სეზონი "დიდი სლემის" მინიმუმ ერთ ტურნირს იგებდა;

8 - ზედიზედ 21-ჯერ გავიდა "დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალში და ამ სერიის დროს სულ რვაჯერ დამარცხდა;

9 - "დიდი სლემის" ტურნირების ფინალებში ცხრა ქვეყნის (ავსტრალია, ჩილე, კვიპროსი, ბრიტანეთი, რუსეთი, სერბეთი, ესპანეთი, შვედეთი, აშშ) ჩოგბურთელი დაუმარცხებია;

10 - 2005 წლის უიმბლდონიდან 2007 წლის აშშ-ის ღია პირველობამდე ზედიზედ ათჯერ გადიოდა "დიდი სლემის" ტურნირების ფინალში;

11 - როლან გაროსის კორტებზე 11-ჯერ გამოსვლის შემდეგ შეძლო ამ ტურნირზე პირველი ტიტულის მოგება. "დიდი სლემის" ტურნირების ფინალებში 11 სხვადასხვა მონინაალმდეგე დაუმარცხებია;

12 - სწორედ ამდენი ტიტული მოიგო 2006 წლის სეზონში;

13 - "დიდი სლემის" ტურნირებზე ზედიზედ 20-ჯერ ნახევარფინალში გასვლის პერიოდში მის ანგარიშზე 13 ტიტული მოდის;

14 - როლან გაროსის მოგების შემდეგ, "დიდი სლემის" ტიტულების რაოდენობით პიტ სამპრასს გაუთანაბრდა - 14 მთავარი პრიზი;

15 - "დიდი სლემის" ამდენი ტიტული არავის მოუგია. ფედერერი ახალი რეკორდის მფლობელი გახდა.

## ფედერერის ყველა ფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 2003 | უიმბლდონი | მარკ ფილიპუსისი | 7:6, 6:2, 7:6 |
| 2004 | ავსტრალიის ღია | მარატ საფინი | 7:6, 6:4, 6:2 |
| 2004 | უიმბლდონი | ენდი როდიკი | 4:6, 7:5, 7:6, 6:4 |
| 2004 | აშშ-ის ღია | ლეიტონ ჰიუიტი | 6:0, 7:6, 6:0 |
| 2005 | უიმბლდონი | ენდი როდიკი | 6:2, 7:6, 6:4 |
| 2005 | აშშ-ის ღია | ანდრე აგასი | 6:3, 2:6, 7:6, 6:1 |
| 2006 | ავსტრალიის ღია | მარკო ბაღდატისი | 5:7, 7:5, 6:0, 6:2 |
| 2006 | როლან გაროსი | რაფაელ ნადალი | 6:1, 1:6, 4:6, 6:7 |
| 2006 | უიმბლდონი | რაფაელ ნადალი | 6:0, 7:6, 6:7, 6:3 |
| 2006 | აშშ-ის ღია | ენდი როდიკი | 6:2, 4:6, 7:5, 6:1 |
| 2007 | ავსტრალიის ღია | ფერნანდო გონსალესი | 7:6, 6:4, 6:4 |
| 2007 | როლან გაროსი | რაფაელ ნადალი | 3:6, 6:4, 3:6, 4:6 |
| 2007 | უიმბლდონი | რაფაელ ნადალი | 7:6, 4:6, 7:6, 2:6, 6:2 |
| 2007 | აშშ-ის ღია | ნოვაკ ჯოკოვიჩი | 7:6, 7:6, 6:4 |
| 2008 | როლან გაროსი | რაფაელ ნადალი | 1:6, 3:6, 0:6 |
| 2008 | უიმბლდონი | რაფაელ ნადალი | 4:6, 4:6, 7:6, 7:6, 7:9 |
| 2008 | აშშ-ის ღია | ენდი მიური | 6:2, 7:5, 6:2 |
| 2009 | ავსტრალიის ღია | რაფაელ ნადალი | 5:7, 6:3, 6:7, 6:3, 2:6 |
| 2009 | როლან გაროსი | რობინ სიოდერლინგი | 6:1, 7:6, 6:4 |
| 2009 | უიმბლდონი | ენდი როდიკი | 5:7, 7:6, 7:6, 3:6, 16:14 |

ფედერერმა თავისი 15 ტიტული 11 მონინაალმდეგესთან ბრძოლაში მოიპოვა: ენდი როდიკთან (სამჯერ), რაფაელ ნადალთან (ორჯერ), ანდრე აგასისთან, მარკოს ბაღდატისისთან, ნოვაკ ჯოკოვიჩთან, ფერნანდო გონსალესთან, ლეიტონ ჰიუიტთან, ენდი მიურეისთან, მარკ ფილიპუსისთან, რობინ სიოდერლინგთან და მარატ საფინთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# რაშიდმა ბოსტონი აირჩია, კიდი დალასში დარჩა

"დეტროიტ პისტონზის" მძიმე ფორვარდმა **რაშიდ უოლასმა** "ბოსტონ სელტიქსში" გადასვლა გადაწყვიტა. NBA-ის ყოფილმა ჩემპიონმა, რომელიც თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს, თანხმობა განაცხადა ორწლიან კონტრაქტზე, რომლის მიხედვითაც მისი წლიური ხელფასი 5.8 მილიონი დოლარი იქნება. კალათბურთელის აგენტმა **ბილ სტრიკლენდმა** განაცხადა, რომ მისმა კლიენტმა უარი თქვა "ორლანდოსთან", "სან ანტონიოსთან" და "დალასთან" დაგეგმილ მოლაპარაკებებზე.

35 წლის უოლასმა ბოლო ექვსი სეზონი "დეტროიტში" გაატარა და 2004 წელს ამ გუნდთან ერთად საჩემპიონო ბეჭედი მოიგო. გასულ სეზონში რაშიდის საშუალო მაჩვენებლები 12.0 ქულასა და 7.4 მოხსნას უდრიდა.

■ ■ ■

"ბოსტონ სელტიქსი" მხოლოდ უოლასის შეძენით არ კმაყოფილდება და კიდევ ერთი გამოცდილი ფორვარდის **გრანტ ჰილის** დამატება სურს. გუშინ, ფინიქსელი კალათბურთელი "სელტიქსის" მთავარ მწვრთნელ **დოკ რივერსს** ორლანდოში შეხვდა და მასთან კონტრაქტის გაფორმების შესაძლებლობა განიხილა. ამის შემდეგ, ჰილი ნიუ იორკში გაემგზავრა, სადაც "ნიქსის" გენერალურ მენეჯერ **დონი უოლშთან** და მთავარ მწვრთნელ **მაიკ დ'ენტონისთან** უნდა გამართოს მოლაპარაკებები.

ჰილმა, რომელიც ბოლო ორი სეზონი "ფინიქსის" შემადგენლობაში თამაშობდა, ამ ზაფხულს მიიღო თავისუფალი აგენტის სტატუსი. სხვათა შორის, ნიუ იორკში ჩავიდა "სანზის" გენერალური მენეჯერი **სტივ კერიც**, რათა ვეტერან ფორვარდს ახალი კონტრაქტი შესთავაზოს.

■ ■ ■

გაირკვა კიდევ ერთი თავისუფალი აგენტის, ვეტერანი გამთამაშებლის **ჯეისონ კიდის** ბედი. "დალას მავერიქსის" ხელმძღვანელობამ მოახერხა გამოცდილი მცველის შენარჩუნება. კიდმა მიიღო "კოვბოების" პრეზიდენტის **მარკ ქიუბანის** ახალი წინადადება და სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებას დათანხმდა. მომავალი სამი სეზონის განმავლობაში კიდი 25 მილიონ დოლარს მიიღებს.

34 წლის გამთამაშებელმა უარი თქვა "ნიუ იორკის" წინადადებაზე. "ნიქსი" ასევე სამწლიანი ხელშეკრულების სანაცვლოდ ჯეისონს მხოლოდ 19 მილიონს სთავაზობდა.

შარშანდელ რეგულარულში კიდის სტატისტიკურმა მონაცემებმა 9.0 ქულა, 6.2 მოხსნა, 8.7 პასი და 2.0 ჩაჭრა შეადგინა.

■ ■ ■

"მილუოკი ბაქსიდან" **რიჩარდ ჯეფერსონის** გადაბირების შემდეგ, "სან ანტონიო სპურსმა" ამ ზაფხულს მეორე შენაძენი გააკეთა. ფორვარდმა **მარკუს ჰეისლიპმა** NBA-ის ამ კლუბთან შეთანხმებას მიაღწია და ესპანეთის "უნიკახას" დატოვება გადაწყვიტა. 28 წლის კალათბურთელი ადრეც თამაშობდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში - ის "ინდიანასა" და "მილუოკის" ღირსებას იცავდა. მალაგაში ორი წელი თამაშის სანაცვლოდ ჰაისლიპმა 3.3 მილიონი ევრო გამოიმუშავა.



მარკუსი შარშანდელ ევროლიგაზე საშუალოდ 10.8 ქულასა და 4.8 მოხსნას აგროვებდა, ესპანეთის ჩემპიონატში მისი ანალოგიური მაჩვენებლები 15.8 ქულასა და 5.0 მოხსნას შეადგენდა.

■ ■ ■

ამ დღეებში კიდევ ერთი კალათბურთელი გადავიდა ევროპიდან NBA-ში. "მილუოკი ბაქსის" ხელმძღვანელობამ "ბარსელონადან" ფორვარდი **ერსან ილიასოვა** აიყვანა და მასთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. თურქი ლეგიონერის ხელფასი საიდუმლოდ დარჩა.

ევროლიგაზე ამ კალათბურთის შედეგიანობა 10.5 ქულას უდრიდა.

ჩოგბურთი. დევისის თასი

# ამერიკას როდიკი გამოაკლდა, ესპანეთს ფერერი



ახლოვდება დევისის თასის მეოთხედფინალური მატჩები. 10-12 ივლისს ოთხი საინტერესო შეხვედრა გაიმართება: ხორვატია-აშშ, ჩეხეთი-არგენტინა, ისრაელი-რუსეთი და ესპანეთი-გერმანია.

ჩვენ უკვე გაგაცანით ამ მატჩებისთვის ამერიკისა და ესპანეთის ნაკრებთა შემადგენლობები. უიმბლდონის შემდეგ, ამ გუნდებში თითო ცვლილება მოხდა. როგორც აღმოჩნდა, კვირას გამართული ფინალის ერთ-ერთ ეპიზოდში **ენდი როდიკმა** ბარძაყის ტრავმა მიიღო, რის გამოც უარი თქვა ხორვატების წინააღმდეგ თამაშზე. უიმბლდონის ფინალისტს **მარდი ფიში** შეცვლის, გუნდის დანარჩენი სამი წევრი კი უცვლელი დარჩა: **ჯეიმს ბლეიკი, ბობ და მაიკლ ბრაიანები**.

ესპანელებს გერმანიასთან მატჩში ტრავმირებული **დავიდ ფერერი** ვერ დაეხმარება. პირენეელთა დამრიგებელმა **ალბერტ კოსტამ** უკვე მონახა მისი შემცვლელი - ეს გახლავთ უიმბლდონის მეოთხედფინალისტი **ხუან-კარლოს ფერერო**. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ესპანეთმა მსოფლიოს მეორე ჩოგანი **რაფაელ ნადალი** დაკარგა.

ნაკრებში ფერეროს პარტნიორები იქნებიან **ფერნანდო ვერდასკო, ნიკოლას ალმაგრო, ტომი რობრედო** და **ფელისიანო ლოპესი**. ესპანეთი გერმანიას მარბელიაში უმასპინძლებს.

ჰოკეი

# რუსებს 19 ლეგიონერი ჰყავთ

კანადისა და ამერიკის ნაკრებების შემდეგ, ვანკუვერის ოლიმპიადისთვის მზადების ციკლში გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა მესამე ფავორიტმა - რუსეთის ნაკრებმა. გუნდში სულ გამოძახებულია 23 ჰოკეისტი და აქედან 19 მოთამაშე ჰოკეის ეროვნულ ლიგას წარმოადგენს.

**მეკარეები** - ევგენი ნაბოკოვი ("სან ხოსე"), ნიკოლაი ხაბიბულინი ("ჩიკაგო"), სემინო ვარლამოვი ("ვაშინგტონი");

**მცველები** - სერგეი გონჩარი ("პიტსბურგი"), ანდრეი მარკოვი ("მონრეალი"), ფედორ ტიუტინი ("კოლამბუსი"), დენის გრებეშკოვი ("ედმონტონი"), დანილ მარკოვი ("დანამო" მოსკოვი), ანტონ ვოლჩენკოვი ("ოტავა"), დმიტრი კარინინი ("რეინჯერსი");

**თავდამსხმელები** - ალექსანდრ ოვეჩკინი, ალექსანდრ სიომინი (ორივე - "ვაშინგტონი"), სერგეი ფიოდოროვი ("მეტალურგი" მ), ევგენი მალკინი ("პიტსბურგი"), ილია კოვალჩუკი ("ატლანტა"), პაველ დაციუკი ("დეტროიტი"), ალექსეი კოვალიოვი ("მონრეალი"), ალექსანდრ ფროლოვი ("ლოს ანჯელესი"), ალექსანდრ რადულოვი, ვიქტორ კოზლოვი (ორივე - "სალავატ იულიაევი"), ნიკოლაი ჟერდიოვი, არტიომ ანისიმოვი (ორივე - "რეინჯერსი), ევგენი არტიუხინი ("ტამპა ბეი").

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| იანგ ბოიზი-შახტარი | 2:1 |
| ბაზელი-პანათინაიკოსი | 2:0 |
| დუისბურგი-კაპფენბერგი | 1:3 |
| შტურმი-ბანიკი | 1:0 |
| კობლენცი-კიოლნი | 3:1 |
| **ნორვეგია** | |
| ბრანი-ფრედრიკსტადი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| ელფსბორგი-იორგრიტე | 3:0 |
| მალმიო-კალმარი | 1:2 |
| ჰალმსტადი-გიოტებორგი | 0:0 |
| **ფინეთი** | |
| ჰონკა-ტურკუ | 0:0 |
| **რუსეთი** | |
| ხიმკი-რუბინი | 2:3 |
| **II დივიზიონი** | |
| ლ. ენერგია-კამაზ | 0:0 |
| სკა ენერგია-ვოლგა | 0:0 |
| სიბირი-მვდ | 0:0 |
| ურალი-ჩიტა | 1:0 |
| შინიკი-ნოსტა | 2:1 |
| ალანია-ჩერნომორეცი | 2:0 |
| მეტალურგი-გაზპრომი | 1:2 |
| ნიჟნი ნოვგოროდი-კრასნოდარი | 1:2 |
| ბალტიკა-ვიტიაზი | 2:1 |
| სალუტი-ანჟი | 3:0 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ნიუპორტი** | |
| არმიტრაჟი-უდომჩოკე | 6:1, 6:4 |
| ლევინე-გუჩიონე | 7:6, 7:6 |
| ბეკერი-ევანსი | 6:7, 6:3, 5:7 |
| დენტი-დანიელი | 6:2, 6:1 |
| სპეიდი-ბრანდსი | 0:6, 4:6 |
| ჯინეპრი-ვენტურა | 6:2, 1:6, 6:4 |
| **WTA. ბასტადი** | |
| დულკო-დომახოვსკა | 6:4, 6:0 |
| სუარეს ნავარო-ვიენეროვა | 6:0, 7:5 |
| კირსტეა-ლარსონი | 4:6, 6:2, 7:5 |
| კნაპი-კუდრიავცევა | 1:6, 1:6 |
| კრეიბასი-პავლიუჩენკოვა | 6:3, 3:6, 3:6 |
| ბენეშოვა-უ. რადვანსკა | 3:6, 6:2, 6:2 |
| **WTA. ბუდაპეშტი** | |
| დომინგეს ლინო-კამერინი | 6:4, 0:6, 1:6 |
| ა. ბონდარენკო-შპრემი | 4:6, 7:5, 6:1 |
| პირონკოვა-გალოვიტცი | 5:7, 2:6 |

TV პროგრამა

**7 ივლისი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:40** არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-ურაკანი.
**09:30** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბატე-ზენიტი.
**11:30** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალაგა.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რეალი-იუვენტუსი.
**18:15** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბორდო.
**20:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:30** ლიბერტადორესის თასი.
**21:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.
**23:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:25** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა.
**01:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ფიორენტინა-ლიონი.
**03:10** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ბაიერნი.
**05:00** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**05:30** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ატლეტიკო.

**EUROSPORT**

**10:30** ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
**11:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. III ეტაპი. მარსელი-ლე გრან მოტი.
**12:45** პარაოლიმპიური სპორტის სახეობები. მსოფლიოს თასი.
**13:45** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ლევერკუზენი-კასაბლანკა.
**15:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. III ეტაპი. მარსელი-ლე გრან მოტი.
**16:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IV ეტაპი. მონპელიე (LIVE).
**19:45** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ლევერკუზენი-კასაბლანკა.
**21:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. ახალი ამბები.
**21:30** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ტვენტე-შალკე (LIVE).
**23:30** პროფესიული კრივი. მძიმე წონა. დ. ბახტოვი (რუსეთი)-ს. კრეჩმანი (გერმანია). გერმანია.
**00:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IV ეტაპი. მონპელიე.
**01:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**01:30** ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. მიმოხილვა.
**02:00** ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
**02:15** მულტისპორტი.
**02:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IV ეტაპი. მონპელიე.

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი



მარკ კავენდიში

# ლენსის ამბიციები

ტურ დე ფრანსის მესამე ეტაპზე ბრიტანელმა **მარკ კავენდიშმა** ზედიზედ მეორე გამარჯვებას მიაღწია და დაამტკიცა, რომ დღეს მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერია.

თუმცა გუშინდელ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. ყველაზე საინტერესო ამბები ფინიშამდე 40 კილომეტრით ადრე დაიწყო, როცა "თიმ კოლუმბიამ" სრული შემადგენლობით ტემპს მოუმატა, რაც სიურპრიზი აღმოჩნდა ტურის ფავორიტებისთვის, მათ შორის "ასტანას" ლიდერ **ალბერტო კონტადორისთვის**.

"კოლუმბიელების" გაქცევას ფავორიტთაგან მხოლოდ "ასტანას" მეორე ლიდერი **ლენს არმსტრონგი** გამოეხმაურა. ამერიკელმა თანაგუნდელების - **აიმარ სუბელდიასა** და **იაროსლავ პოპოვიჩის** დახმარებით შეძლო "თიმ კოლუმბიას" ტემპის შენარჩუნება და ფინიშზე ამგვარი აქტიურობისთვის დაჯილდოვდა კიდეც.

არმსტრონგმა დაამტკიცა, რომ მხოლოდ კონტადორის დამხმარის როლით არ შემოიფარგლება და ამ ტურზე დიდი მიზნები აქვს. ეს კი წლევანდელ ველომარათონს კიდევ უფრო საინტერესოს გახდის.

"თიმ კოლუმბიას" გაქცევამ კი ის მოიტანა, რომ პელოტონის პირველმა ნახევარმა მეორეს 41 წამი მოუგო. ამის წყალობით ლენსმა საერთო ჩათვლაში კონტადორს გადაასწრო და მესამე ადგილზე დამკვიდრდა. ახლა ამერიკელი ესპანელ თანაგუნდელს 19 წამს უგებს.

**III ეტაპი**

**მარსელი-ლა გრან-მოტი. 196,5 კმ**

1. **კავენდიში** (ბრიტ, თიმ კოლუმბია) - 5.01,24; 2. **ჰუშოვდი** (ნორ, ჩერველო) - იგივე დრო; 3. **ლემუანი** (საფ, სკილ-შიმანო) - - იგივე დრო; 4. **დემულენი** (საფ, კოფიდისი) - იგივე დრო; 5. **პინო** (საფ, ქუიქ-სტეპი) - იგივე დრო; 6. **კანჩელარა** (შვეიც, საქსო ბანკი) - იგივე დრო... 15. **მარტინი** (გერ, თიმ კოლუმბია) - იგივე დრო... 19. **არმსტრონგი** (აშშ, ასტანა) - იგივე დრო... 25. **როჯერსი** (ავსტრა, თიმ კოლუმბია) - იგივე დრო... 32. **ევანსი** (ავსტრა, საილენს-ლოტო) - +0,41... 44. **ფ. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - იგივე დრო... 49. **კონტადორი** (ესპ, ასტანა) - იგივე დრო... 52. **მენშოვი** (რუსეთი, რაბობანკი) - იგივე დრო... 54. **ე. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - იგივე დრო... 82. **კროიციგერი** (ჩეხ, ლიკუიგასი) - იგივე დრო... 88. **ლაიპჰაიმერი** (აშშ, ასტანა) - იგივე დრო... 93. **კლოდენი** (გერ, ასტანა) - იგივე დრო; 94. **სასტრე** (ესპ, ჩერველო) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **კანჩელარა** (შვეიც, საქსო ბანკი) - 9.50,58; 2. **მარტინი** (გერ, თიმ კოლუმბია) - +0,33; 3. **არმსტრონგი** (აშშ, ასტანა) - +0,40; 4. **კონტადორი** (ესპ, ასტანა) - +0,59; 5. **ვიგინსი** (ბრიტ, გარმინ-სლიპსტრიმი) - +1,00; 6. **კლოდენი** (გერ, ასტანა) - +1,03... 8. **ევანსი** (ავსტრა, საილენს-ლოტო) - +1,04... 10. **ლაიპჰაიმერი** (აშშ, ასტანა) - +1,11; 11. **როჯერსი** (ავსტრა, თიმ კოლუმბია) - +1,13; 12. **კროიციგერი** (ჩეხ, ლიკუიგასი) - +1,13.,. 24. **ე. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +1,41... 26. **სასტრე** (ესპ, ჩერველო) - +1,47... 56. **მენშოვი** (რუსეთი, რაბობანკი) - +2,12... 70. **ფ. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +2,17...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2009

# ვარსკვლავები უიმბლდონზე


როჯერ ფედერერი და მისი მეუღლე მირკა ვაერინეცი ლონდონის ინტერკონტინენტალის სასტუმროს წინ, სადაც ჩემპიონთა ვახშამი გაიმართა


დიადი ჩემპიონები უიმბლდონის თასით: ბიორნ ბორგი, პიტ სამპრასი, როჯერ ფედერერი და როდ ლეივერი


ჰოლივუდის ვარსკვლავი ბენ სტილერი და მისი მეუღლე კრისტინი ფინალის დროს


ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი


ფინალისტთა ცოლები: მირკა ვავრინეცი (წინ) და ბრუკლინ დეკერი


სერ ალექს ფერგიუსონი


მარცხნიდან მარჯვნივ: კინორეჟისორი ვუდი ალენი, მსახიობი რასელ ქროუ და დიზაინერი რალფ ლორენი


ბრიტანეთის დედოფლის ელიზაბეტ II-ის შვილიშვილი ზარა ფილიპსი და მისი ბოიფრენდი - რაგბისტი მაიკ თინდელი

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge